გუსამ მაისურაძე

ლორწოვანი ქსოვილის

თვალსაზრისი კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობაზე

„კავკასიური სახლი“
თბილისი
2010

UDC (უაკ) 94(=353·1)(093)+94(=35)(093)+930·2:003·07(479)
მ—178

პროექტის ავტორი **ნაირა გელაშვილი**

მხატვარი **გიორგი წერეთელი**

ISBN 978-9941-400-50-6

ლეონტი მროველის თვალსაზრისი კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობაზე

თხზულების დედაარსია კავკასიის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანებისაკენ მოწოდება, ამ ხალხთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის საჭიროებისა და შესაძლებლობის თეორიული დასაბუთების ცდა. ლტოლვა ასეთი გაერთიანებისაკენ თანაბრად ახასიათებდათ, როგორც ძველ, ისე შუა საუკუნეებში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს, რისი საფუძველიც არა მარტო ცალკეულ ხელისუფალთა მიერ საკუთარი პოლიტიკური სივრცის გაფართოებისაკენ დაუცხრომელი სწრაფვა იყო, არამედ ამას ითხოვდა ქვეყნის გეოპოლიტიკური გარემო და თვით კავკასიის გეოგრაფიული აღნაგობა, რომელიც ერთიან სამეურნეო ორგანიზმსა და მთლიან თავდაცვის ზღუდეს წარმოადგენდა გარე სამყაროს მიმართ.

არსებობდა გაერთიანების საწინააღმდეგო ფაქტორებიც: დიდი ეთნიკური სიჭრელე, კონფესიური სხვაობა, განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაცია, ენობრივი და კულტურულ ტრადიციათა ცალკეული სხვაობანი და ა. შ. ამიტომ, კავკასიის ხალხთა პოლიტიკური გაერთიანების აუცილებლობის დასასაბუთებლად კონცეფციის ავტორს ისეთი ძლიერი და შთამბეჭდავი არგუმენტის გამოძებნა სჭირდებოდა, რომელიც ყველა კავკასიელის კულტურულ-პოლიტიკურ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა. ასეთი ძალის მქონედ იმ დროს, ე. ი. XI საუკუნის 60-იან წლებში, სისხლით ნათესაობის არგუმენტი, საერთო წინაპრიდან წარმომავლობის იდეა ჩანდა, რასაც განსაკუთრებულ დამაჯერებლობას სძენდა კავკასიის ხალხთა ხანგრძლივი, ისტორიული თანაცხოვრების ფაქტი. ასე რომ, სისხლით ნათესაობის არგუმენტს, სხვასთან შედარებით, უკეთ უნდა შესძლებოდა ხალხებს შორის ურთიერთგაგებისა და სოლიდარობის უზრუნველყოფა, მით უმეტეს, საერთო საფრთხის (თურქ-სელჩუკების) მოახლოების პირობებში.

ამასთან, გაერთიანების ხელშემწყობი და მისი საწინააღმდეგო ფაქტორების ერთდროული არსებობა, ბუნებრივია, გავლენას ახდენდა და სიმწვავეს მატებდა ისტორიულ პროცესს, რაც არ შეიძლებოდა არ ასახულიყო კონცეფციის აგებულებასა და მისი ცალკეული დეტალების ფორმირებაზე. შესაბამისად, საზოგადოებისა და ისტორიოგრაფიის დამოკიდებულებაც ლეონტისა და მისი კონცეფციის მიმართ, გასაგებია, ყოველთვის ერთგვაროვანი ვერ იქნებოდა.

ლეონტი მროველის კონცეფცია კონკრეტული ისტორიული ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოსა და კავკასიის მომავალი განვითარების თანხვედრილი ინტერესებით იყო განპირობებული. უფრო მეტიც, კავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ დიდ მეტოქეთა შორის მოქცეული კავკასიის მცირერიცხოვანი ხალხების დამოუკიდებლობისათვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო და არის მათი ძალების გაერთიანება და ძმური თანამშრომლობა, რომ ლეონტის მოწოდება არა მხოლოდ შუა საუკუნეებისათვის იყო აუცილებელი და პროგრესული, არამედ დღესაც საყურადღებო და სიცოცხლისუნარიანია. ვფიქრობ, ლეონტის იდეოლოგია კავკასიისათვის სამარადისო მნიშვნელობისად დარჩება.

საკითხის ისტორიოგრაფია

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთაგან არც ერთს არ გამოუწვევია სამეცნიერო წრეებისა და ინტელექტუალური საზოგადოების ისეთი განსაკუთრებული ყურადღება, არც ერთის გარშემო არ შექმნილა აზრთა იმგვარი დაპირისპირება და ავტორის პიროვნებისა თუ მისი ნაღვაწის ერთმანეთისაგან იმდენად განსხვავებული შეფასება, როგორიც წილად ხვდა ლეონტი მროველსა და მის მთავარ თხზულებას „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა"-ს, რომელსაც თავიდანვე „ქართლის ცხოვრების" დასაწყის ნაწილში მიეკუთვნა ადგილი. ლეონტის კრიტიკა, ფაქტობრივად, XIX საუკუნიდან იწყება, ჯერ ერთგვარად შეფარული სახით (თეიმურაზ ბატონიშვილი, სოლომონ დოდაშვილი), შემდეგ კი ის თანდათან ღია და ფართო ხასიათს იღებს. ლეონტი და მისი კონცეფცია სამეცნიერო წრეების დისკუსიის საგანი ხდება, რაც სამეცნიერო-ლიტერატურული ჟურნალების ფურცლებზეც ინაცვლებს. ვნებათაღელვა მის გარშემო კვლავაც გრძელდება. 1998 წლიდან მოკიდებული დღემდე ქართულ პერიოდიკაში დროდადრო ერთმანეთის საპირისპირო შეხედულების წერილები იბეჭდება, რაც იმის მაუწყებელიცაა, რომ ლეონტის კონცეფციაზე შეთანხმებული თვალსაზრისის შემუშავება ჯერ ისევ ჭირს, რისი მიზეზიც, ვფიქრობ, თვით საკვლევი თემის თავისებურებაშია საძიებელი. საქმე ეხება ერთობ ფაქიზ საკითხებს: ქართველთა წარმომავლობას, ქართული სახელმწიფოს შექმნას, ქართული დამწერლობის გაჩენას, ქართველი ხალხის, ქართველი ერის ფორმირება-„დადგინების" პრობლემას. და ეს ყველაფერი განხილულია კავკასიაში ქართველთა ერთადერთ (ანგარიშგასაწევ და სერიოზულ) მეტოქე კულტურულ ძალასთან (სომხეთთან) კავშირში, რაც, ბუნებრივია, ეროვნული ღირსების შეგრძნებას მნიშვნელოვნად ამძაფრებს, რის გამოც, ზოგჯერ, ემოციები მეცნიერულ განსჯას

სჭარბობენ. ასეთ ვითარებაში მკვლევართა თვალთახედვის ზედაპირზე ტექსტის, ერთი შეხედვით, „საჩოთირო" ადგილები იჩენენ თავს, რომელთაც ისინი გაცილებით მეტ მნიშვნელობას აძლევენ, ვიდრე თვით ტექსტის ავტორს შეიძლებოდა, ალბათ, მიენიჭებინა. ჩნდება ე. წ. საჩოთირო ადგილების შეკეთებისა თუ სასურველი ახსნის მოთხოვნილება, რამაც არა ერთი გამოჩენილი მეცნიერის შრომებშიც კი ჰპოვა თავისი ასახვა.

პრობლემის ყველაზე უფრო მარტივი გადაწყვეტა იყო არასასურველი ადგილების ყალბისმქნელის ნახელავად გამოცხადება (მ. ჯანაშვილი, ა. ხახანაშვილი). მ. ჯანაშვილი იმდენად იყო დარწმუნებული „ყალბისმქნელის" არსებობით, რომ დაუფარავად საყვედურობდა მ. ბროსეს „გარყვნილი ვარიანტის ტექსტზე დამყარებული" „ქართლის ცხოვრების" გამოცემას.[1] თანადროულმა საზოგადოებამ მ. ბროსეს მიმართ გამოთქმული ეს საყვედური არ გაიზიარა. ექ. თაყაიშვილი წერდა: „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში" უძველეს ხანაში სომხეთისა და სომხური ენის განდიდება ყალბისმქნელის მოღვაწეობის შედეგი არაა. არც მ. ბროსე და არც სომეხი მთარგმნელი აქ არაფერ შუაშია.[2] ექ. თაყაიშვილთან ერთად მ. ბროსეს დასაცავად ივ. ჯავახიშვილიც გამოვიდა, რომლის ავტორიტეტმა, ჩანს, საბოლოოდ გაფანტა ტექსტის დამახინჯების ვერსია. ამ დედნის გამოცემისთვის, წერდა მაშინ ივ. ჯავახიშვილი, „მ. ჯანაშვილი მოურიდებლივ მ. ბროსეს სდებდა ბრალსა, იმ ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე და სიცოცხლე ქართული მწერლობის შესწავლას შესწირა. ექ. თაყაიშვილმა დაამტკიცა, რომ ეს ცნობა უძველეს, ვახტანგის წინა დროინდელს ქართლის ცხოვრებაშიც მოიპოვება. რასაკვირველია სიყალბე აქ არავის ჩაუდენია: ეს ცნობა უეჭველია თვით ლეონტი მროველს ეკუთვნის".[3] ასე რომ, ტექსტის გაყალბების ვერსია უპერსპექტივო აღმოჩნდა.

---

[1] ქართველთა მატიანე, „მოამბე", 1903, № 4.

[2] Е. Такаишвили, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, вып. 1, Тифлис, 1906, с. 93-96.

[3] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, თბილისი, 1977, გვ. 182.

ამასთან ერთად, ძიება წარიმართა ლეონტის მიერ გამოყენებული ეთნიკური ტერმინების, პირველ რიგში, სატომო სახელ „სომეხი“-ს შინაარსის გასაშიფრად. ასეთი ძიების ამოცანა თავიდანვე ნათელი იყო: ტერმინი „სომეხი“ არმენიელის შინაარსისაგან უნდა განთავისუფლებულიყო. ა. შანიძე წერდა: დასაშვებია, რომ „სომეხი“, როგორც ტომობრივი ტერმინი, თავდაპირველად ხანმეტ კილოზე მოუბარ ქართველ ტომს ეწოდებოდა და მხოლოდ შემდგომში იქნა გადატანილი ეს სახელწოდება სამხრეთით მოსახლე, მეზობელ ერზე (ჰაიებზე – არმენიელებზე). თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება აიხსნას ის უცნაური არაქრონისტული ადგილი ლეონტი მროველის ისტორიულ ნარკვევში, სადაც ვკითხულობთ: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო...“ ეგების ამ სიტყვებით ყრუდ იყო გადმოცემული ისტორიული ფაქტი, რომ პირველად ქართული სამწერლობო ენა გაჩნდა სომხითის (ხანმეტ) კილოზე, ხოლო შემდეგ ეს კილო მიტოვებული იქნა და მის ნაცვლად ქართლის (ჰაემეტ) კილოზე განაგრძო ლიტერატურამ განვითარება.[1]

მსგავს თვალსაზრისს ავითარებდა ს. ყაუხჩიშვილიც. „ქართლის ცხოვრების“ II ტომისათვის დართულ შესავალ წერილში, სადაც ქართული ენის წარმოქმნის შესახებ ლეონტის შეხედულების განმარტებას ცდილობს, შენიშნავს, რომ „ქართული“ ძველი „ქართლის ცხოვრების“ ფარგლებში არასდროს არ ნიშნავს „ქართულს“ ჩვენი დღევანდელი გაგებით. ის ნიშნავს მხოლოდ-და-მხოლოდ „ქართლურს“.

აქედან გამომდინარე, მკვლევრის აზრით, ლეონტის საუბარი აქვს ქართულ დიალექტებზე, რომლებიც ქართული ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე ერთმანეთს შეენაცვლნენ... დადგა დრო, როდესაც ქართლოსიანთა ენას საფუძვლად დაედო „ქართლური დიალექტი“, ხოლო მანამდის, „ქართლურ დიალექტამდე“, ქართლოსიანთა ენას საფუძვლად ედო

[1] ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, თსუ მოამბე, III, 1923, გვ. 361.

სხვა დიალექტი, ეს დიალექტი იყო „სომხური დიალექტიო (არა армянский язык, არამედ ქართული ენის „სომხური დიალექტი"). ლეონტი მროველის სიტყვების სხვანაირად გაგება, ს. ყაუხჩიშვილის აზრით, არც კი შეიძლება, და განაგრძობს: რაც შეეხება სიტყვას „სომხითი", ყველას კარგად მოეხსენება, რომ ასე ეწოდებოდა თბილისის სამხრეთით მდებარე საქართველოს იმ მხარეს, რომელსაც შემდეგ საბარათიანო ერქვა. ამ ქართული პროვინციის „სომხითის" მცხოვრებნი იყვნენ, ალბათ, „სომხები". როდესაც ინდოევროპელმა ტომებმა გადმოლახეს კავკასიის საძოვრები და მათი ერთი ნაწილი („არმენიელები") დასახლდა ქართული პროვინციის „სომხითის" საზღვრებთან, ქართველებმა „სომხითის" სახელწოდება გადაიტანეს არმენიელების ქვეყნის აღსანიშნავად და თვით მცხოვრებლებსაც („არმენიელებს") უწოდეს „სომხები".[1] იგივე აზრი გაიმეორა ს. ყაუხჩიშვილმა 1966 წ. ისტორიის ინსტიტუტში მოწყობილ დისკუსიაზეც. მაშინ მან განაცხადა: ლეონტი მროველის აზრით, ქართლოსიანთა ენა სომხური იყო... აქ სომხური (არმენების) ენა არ შეიძლება იგულისხმებოდეს, ეს ენა ხომ ინდოევროპულია. ლეონტისთან ჩამოთვლილი ტომები კი ყველა კავკასიური მოდგმისაა (ალანები აქ არ არიან მოხსენიებულნი). ამიტომ ინდოევროპული ენა არ შეიძლება იგულისხმებოდეს. მაშ ვინღაა ეს „სომეხი"?... ეს არის ერთ-ერთი ქართული ტომი, რომელსაც ერთ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.[2]

სატომო სახელ „სომეხი"-ს განმარტებისათვის ერთობ ორიგინალური თეორია განავითარა ნ. მარმა. მისი აზრით, ლეონტი მროველი ქმნიდა რა თავის შეხედულებას კავკასიის ძირითადი ენების საერთო წარმომავლობის, უფრო ზუსტად, ამ ენათა ნათესაობის შესახებ, სრულიად შემთხვევით ის იაფეტური ენათმეცნიერების ერთ უმთავრეს დებულებას დაამთხ-

[1] ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 057.
[2] ჟურნ. „მაცნე", 1968, № 1, გვ. 321-322.

ვია. აშკარაა, რომ ასეთ დასკვნამდე ნ. მარი თავისი ცნობილი თეორიის ისტორიულ წყაროში დადასტურების სურვილმა მიიყვანა. ამ თეორიიდან გამომდინარე, სატომო სახელ „სომეხს“ ორი სატომო სახელისაგან „სვან“-ისა და „მესხის“ შერწყმის შედეგად მიღებულ ტერმინად წარმოგვიდგენს. ის, თურმე, თანაბრად აღნიშნავდა, როგორც ქართველებს, ისე სომხებს. მისი აზრით, კავკასიაში ოდესღაც არსებულან ჰიბრიდული წარმოშობის ტომები, რომელთაგან გამოირჩეოდა სო-მეხის (სვან-მესხის) ტომი. ის შედგებოდა ინდოევროპული არმენული მოსახლეობისა და იაფეტური, ქართული, უფრო ზუსტად სვანური ელემენტისაგან. სწორედ ეს სო-მესხური ენა წინ უსწრებდა შემდგომში შეჯვარების საფუძველზე აღმოცენებულ თანამედროვე ქართულ ენას. ასე რომ, ლეონტი მროველის სომხურ ენაში ეს სო-მესხური ენა იგულისხმება, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ქართველები წინაისტორიულ ხანაში.[1]

ტერმინ „სომეხის“ ახსნის სხვა ცდებიც იყო (მ. ბროსეს მიხედვით, „სომეხი“ და „სომხეთი“ სიტყვა „სამხრეთი“-დანაა წარმოშობილი. გრ. ხალათიანცმა და ალ. ხახანაშვილმა „სომეხი“ და „სომხეთი“ სალმანასარ III-ის ასურულ-ლურსმულ წარწერებში მოხსენიებულ ქვეყანა „სუხმეს“ დაუკავშირეს. არჩილ ბარამიძის აზრით, ლეონტისეულ სომხურ ენაში ქართულ-ზანური და ურარტული ენა იგულისხმება, კირილ თუმანოვის დაკვირვებით კი, იბერიულ საისტორიო ტრადიციაში ქართლოსიანთა თავდაპირველი ენის შესახებ შესაძლოა შემორჩენილი იყოს საინტერესო მოგონება, უკეთუ სომხურ ენაში ვიგულისხმებთ ჰაიასას (ხაიასას), ანდა ურარტელების ე. წ. კავკასიური წარმოშობის ენას და სხვ.). მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა, უკვე აღნიშნულთან ერთად, ვერ გაამართლა, რადგანაც ლეონტის ტექსტში ტერმინი „სომეხი“, „სომხეთი“ თუ „სომხითი“ ყველგან „არმენიელისა“ და „არმენიის“ შინაარსითაა წარმოდგენილი.

[1] ნ. მ ა რ ი ს ხელნაწერი ნაშრომი „О языковом скрещении в связи со словами Лсонтия Мровели о грузинском языке. Ленинград, 1924, с. 51-53, 57-58; ქართული ისტორიოგრაფია, I, თბილისი, 1968, გვ. 53-54.

ასეთ მტკიცებათა ფონზე, რა თქმა უნდა, უფრო რაციონალური ჩანდა ლეონტის თხზულების წყაროების ძიება, რომელთა ანალიზს, შესაძლოა, გაერკვია როგორც ლეონტისთან დაცული ცნობების სანდოობა, ისე, ერთი შეხედვით, თვითგვემის მსგავსი ადგილების წარმომავლობაც. 1940 წ. შემოდგომაზე არმაზის ბილინგვის აღმოჩენასთან დაკავშირებით გ. წერეთელი წერდა: ცხადია, რომ ლეონტი მროველს უხვად მოეპოვება ეპიკური, ხალხური შემოქმედების ელემენტები, მაგრამ, როგორც ჩანს, მის მიერ გადმოცემული ზოგიერთი ცნობის შესახებ მოგვიხდება აზრის შეცვლა (მკვლევარი აქ ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებულებას გულისხმობს ლეონტის ცნობების მიმართ, რომლებიც, დიდი მეცნიერის აზრით, ქართველი ერის უძველესი ისტორიისათვის თითქმის გამოუსადეგარი იყო), რადგან ისინი ასე თუ ისე პოულობენ დასტურს მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ძეგლებში. კერძოდ, წარწერებში დამოწმებული პოლიტიკური ინსტიტუტები მრავალმხრივ მოგვაგონებენ ლეონტი მროველის მიერ ჩამოთვლილ ინსტიტუტებს და შეიძლება მისი სიტყვები სახელმწიფო სისტემის შესახებ, მიმსგავსებულსა „სამეფოსა სპარსთასა“ რამდენადმე მართლაც შეეფერებოდეს სინამდვილეს. იგივე უნდა ითქვას ლეონტის მიერ შემონახული ცნობების შესახებ, რომ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდის „იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა“. ახლა ოთხი თუ ხუთი ამ ენათაგანი უკვე დოკუმენტურად არის დამოწმებული.[1]

ლეონტი მროველის ზოგი დებულების საკონტროლო მასალით დადასტურების მიუხედავად, ბევრი მისი ცნობა ჯერ ისევ უნდობლობას და ზოგჯერ პროტესტის გრძნობასაც იწვევს მკვლევართა შორის. განსაკუთრებით ეს ითქმის ქართული ენის წარმოშობის ლეონტისეულ ვერსიაზე, სადაც ავტორი სომხური ენის პირველადობას აღნიშნავს. ამ დებულების წინააღმდეგ პირველი პროტესტის ხმა უკვე XII საუკუნეშივე

[1] არმაზის ბილინგვა, ენიმიკის მოამბე, XIII, თბილისი, 1942, გვ. 47.

გაისმა, თუმცა შუა საუკუნეების ბოლომდე მას გაგრძელება აღარ ჰქონია. ს. ჯანაშია 1940 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში „ფსევდო-არსენი" შენიშნავდა: ბრძოლა ქართული ფეოდალური საზოგადოებრივი აზროვნების სხვადასხვა მიმართულებათა შორის განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს აზოს შესახები თხრობის განმარტებაში... ფსევდო-არსენის მტკიცებით, არა მარტო „ჩუჱნ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან ქართლით გამოსრულთანი და ენა მათი უწყით", არამედ „ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილისშვილნი არიან". ამით ძირეულად უარყოფილი იქნა ლეონტისეული კონსტრუქცია დინასტიათა ცვლის შესახებ ქართლში და სუმბატ დავითის ძის ისტორიული ცნობები და ბაგრატიონების სამეფო პრეროგატივების გენეზისიც თვით ქართლის სამეფოს დასაწყისს დაუკავშირდა ფარულად. რამდენადაც კატეგორიულად, იმდენადვე სამართლიანად უკუაგდო ფსევდო-არსენიმ ლეონტის უსუსური დებულებაც ქართული ენის წარმოშობის შესახებ. ჩვენ „ენა მათი (ე. ი. არიან ქართველების) ვუწყით", ძველსა და ახალ სამშობლოში ხალხი ერთსა და იმავე ენაზე მეტყველებდაო, ასეთი იყო ახალი დებულება.[1]

კავკასიის ხალხებისა და ენების ნათესაობის ლეონტისეული ვერსია მეცნიერებაში დროდადრო, სხვადასხვა ზომითა და ფორმით მომხრეებსაც იძენდა. ჯერ კიდევ 1937 წ. გამოქვეყნებულ წიგნში ივ. ჯავახიშვილი წერდა: თავდაპირველად ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ერთი და იმავე ბუნებისა და უმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა და მხოლოდ შემდეგში, სხვადასხვა მიზეზის გამო დროთა განმავლობაში დაჰშორებიან ერთმანეთს და სამი-ხუთი დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან.[2] ანდა „ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა".[3] აკად. გიორგი ჩიტა-

[1] ს. ჯანაშია, შრომები, VI, თბილისი, 1988, გვ. 99-100.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. XIII.

[3] იქვე, გვ. XV.

იას 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კრებულში დასტამბულ წერილში ვ. შამილაძე კავკასიის ხალხთა ერთიან წარმომავლობაზე საუბრობს. იგი წერს: ებრაელთა საღვთო წიგნის ლეგენდარულ სიუჟეტებზე ქართულ ისტორიულ მწერლობაში დამკვიდრებულ ეთნოგენეტიკურ კონცეფციას კავკასიის ხალხთა ერთიანი წარმომავლობის შესახებ, საზოგადოების განვითარების ადრეული ეტაპების შემსწავლელ ყველაზე უტყუარ მეცნიერებათა — ანთროპოლოგიური, არქეოლოგიური და ეთნო-ლინგვისტური მონაცემების ანალიზი აშკარად მიგვანიშნებს კავკასიის მოსახლეობის რასობრივი და ეთნოგენეტიკური ერთიანობის ფაქტზე.[1] ამ დებულებასთან თანხმობაშია ო. ჯაფარიძის ახალ გამოკვლევათა საფუძველზე მიღებული დასკვნაც, რომლის მიხედვითაც კავკასიის უძველესი მოსახლეობა მონათესავე ტომებს წარმოადგენდნენ და მათ ერთი საერთო წინარე ენა უნდა ჰქონოდათ. აქედან გამომდინარე ვ. შამილაძე ფიქრობს, რომ კავკასიის მოსახლეობის ერთიანი გენეტიკური წარმომავლობის იდეა ბოლომდე შემორჩა ხალხთა მეხსიერებას და, ბუნებრივია, იგი მთელი სიცხადით ბიბლიურ სიუჟეტებშიც აისახა.[2] თანამედროვე მეცნიერება, ლეონტისგან განსხვავებით კავკასიელთა ეთნოგენეზის თანამონაწილედ სომეხი ხალხის წინაპრებს, გასაგებია, ვერ მიიჩნევს, რამდენადაც სომხური ენა, სრულიად გამოკვეთილად, ინდოევროპულ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. თუნდაც ამიტომ, ერთობ უცნაურად ჟღერს ლეონტის ანგარიშგასაწევი მთელი რიგი ცნობების ფონზე მისი მტკიცება ქართველთათვის სომხური ენის პირველადობაზე, რასაც წყაროებში რეალურად არავითარი საყრდენი არ გააჩნია.

ივ. ჯავახიშვილი პირველი შეეცადა ლეონტის ამ უცნაური

---

[1] ვახტანგ შამილაძე, ლიტერატურული ტრადიციები კავკასიის ხალხთა ერთიანი წარმომავლობის შესახებ პალეოანთროპოლოგიური და ეთნო-არქეოლოგიური მონაცემების შუქზე, კრ-ში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის" თბილისი, 2001, გვ. 102.

[2] იქვე, გვ. 104-105.

განცხადების მიზეზი ლეონტისავე გამოყენებულ წყაროებში დაეძებნა. ასეთად მან მიიჩნია ასურული „განძთა ქვაბი", რომლის მიხედვითაც თავდაპირველად გაბატონებული იყო ერთი ენა – ასურული, ვრცელ მანძილზე, რომელიც მიაწევდა „ვიდრე სომხითამდე". მაშასადამე, სომხითში ასურული არ ყოფილა გავრცელებული, არამედ სომხური. ასე უნდა ეფიქრა, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — და სწორედ ასეც უფიქრია ჩვენ ისტორიკოსსო, რაკი სომხეთის მეტი ზემომოყვანილ თხზულებაში სხვა არც ერთი ქვეყანა დასახელებული არ არის, ამიტომ სომხეთი და სომხური ენა დიდმნიშვნელოვნად მიუჩნევია. ამით აიხსნება, რომ ლეონტი მროველი „ჰაოსს" და სომხურ ენას ასეთ უპირატესობას ანიჭებს.[1]

მსგავსი ძიებისას კ. კეკელიძემ ლეონტის თეორიაზე გადამწყვეტი გავლენის მქონე თხზულებად მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორია" ჩათვალა. რამდენადაც ამ თხზულებაში სომეხთა სამფლობელოდ მთელი კავკასიაა წარმოდგენილი, ხოლო სომეხთა მამამთავრის ჰაიკის ერთ-ერთი შთამომავალი არამი, თურმე, მის ხელქვეით ქვეყნებს აიძულებდა სომხური ენის სწავლას. შესაძლოა, ამით აიხსნას ლეონტის თვალსაზრისი სომეხთა და სომხური ენის უპირატესობაზე.[2]

ისტორიოგრაფიაში ამ ახსნათაგან არც ერთი არ იყო გაზიარებული. ივ. ჯავახიშვილის ანალიზი ამჯერად ვერ გამოიყურებოდა დამაჯერებლად, ხოლო კ. კეკელიძის დაკვირვება არამის მიერ დამორჩილებულ ქვეყნებში სომხური ენის დანერგვის ცდებზე, სიზუსტეს იყო მოკლებული, რამდენადაც ეს ცნობა, ფაქტობრივად, კაბადოკიის მოსახლეობას მიემართება.[3] მოგვიანებით, კ. კეკელიძე თვითვე განერიდა ამ თვალსაზრისს.

სომეხთა განმადიდებელმა ადგილებმა და სომხური ენის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, თბილისი 1977, გვ. 182-183.

[2] კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თსუ „მოამბე", ტ. III, 1923, გვ. 35.

[3] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბილისი, 1984, გვ. 77.

პირველადობის ცნობამ ლეონტის თხზულებაში, გასაგებია, რომ სომხური ისტორიოგრაფიის ყურადღებაც მიიპყრო და მათი კომენტირება ამიერკავკასიის ისტორიის გაშუქების საკუთარ ტრადიციას შეუფარდა, რის გამოც, ცალკეული სომეხი ავტორების თვალსაზრისი ლეონტი მროველის თხზულებაზე, არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. არგუმენტებიც მათ, ფაქტობრივად, ერთნაირი აქვთ. ესაა ლეონტის ტომობრივი კუთვნილება, სომხეთის პოლიტიკური უპირატესობა შუა საუკუნეებში და ბაგრატუნთა დინასტიის გავლენა ლეონტის კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. ასე რომ, ლეონტი მროველის „არმენოფილობის“ თვალსაზრისი აშკარაა, რომ სომხური ისტორიოგრაფიიდან უნდა მომდინარეობდეს.

ისტორიოგრაფიაშილეონტიმროველის„არმენოფილ“ავტორად მიჩნევის აზრს პირველად XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში საფუძველი ჩაუყარა ქერობე პატკანიანმა. მისი განცხადებით, ძველი ქართული მატიანის ავტორი უნდა იყოს მცირე, ნაკლულოვანი ცოდნის სომეხი ბერი, რომელიც მასალას იღებდა არა ქართველთა შორის გავრცელებული ხალხური გადმოცემებიდან, არამედ წიგნებიდან, უპირატესად მ. ხორენაცის „სომხეთის ისტორიიდან“. წარმოუდგენელია, რომ ქართველს, როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისი განათლების დონე, შესძლებოდა ამგვარი აზრის გამოთქმა (იგულისხმება ქართველთა თავდაპირველ სასაუბრო ენად სომხურის გამოცხადება). ქ. პატკანიანის აზრით, თხზულებაში მოყვანილი სომეხთა განმადიდებელი ფაქტები „უბრალოდ გამოგონილია ერთი კაცის მიერ წინასწარ დასახული მიზნის შესაბამისად“... ავტორისათვის ამ მატიანის დაწერის იდეა, — განაგრძობს ქ. პატკანიანი, — ბაგრატიდებს უნდა ჩაენერგათ... უპირატესობა, რომელიც ენიჭებათ სომხეთს და სომხურ ენას მატიანის დასაწყისში, შესაძლებელია აიხსნას ქართველი მეფეების უშუალო ჩამომავლობით სომხეთის ბაგრატიდებისაგან. და კიდევ ერთი არგუმენტი: „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ მიხედვით, — წერს ქ. პატკანიანი, —

ქართველთა მთელი უძველესი მოგონებანი მეტყველებენ სომეხთა მიმართ მათი იმთავითვე დაქვემდებარების შესახებ. თუ ყოველივე ეს არაა მემატიანის მიერ გამოგონილი, მაშინ იგი ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმით, რომ ჩვენი ერის პირველ საუკუნეებში საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი, მტკვრის სამხრეთი მხარე, სომხური სამეფოს საზღვრებში შედიოდა; ტაო და გუგარქი პოლიტიკურად სომხეთს ეკუთვნოდნენ, თუმცა ამ მხარეთა მოსახლეობა, ალბათ, იმ დროსაც სანახევროდ ქართული იყო. ადგილობრივ მოსახლეობაში, შესაძლებელია, შემორჩენილი იყო მოგონება მათი ადრინდელი დამოკიდებულების შესახებ სომხეთისადმი.[1]

ლეონტი მროველის თხზულებაზე საუბრისას მსგავს მსჯელობას ავითარებს ნ. ადონციც. ამასთან, იგი კიდევ უფრო მკაფიოდ გამოხატავს ძველი და შუა საუკუნეების სომხეთის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ამიერკავკასიისა და თვით მსოფლიო ისტორიისათვისაც. ნ. ადონცი წერს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთას" ავტორი სასულიერო პირია. რა ზომამდეც არ უნდა ყოფილიყო მისი გონება ეროვნული თავმოყვარეობით გათანგული, მას არ შეეძლო, ბერისათვის დამახასიათებელი ღვთისმოსაობის გამო, უარეყო წმინდა წერილის ავტორიტეტი, რომლის თანახმად კაცობრიობის აღორძინების აკვანი არის არარატი, სომხეთი. შემდეგ კი განაგრძობს: ლეონტი მროველს არ შეეძლო უგულებელეყო ისტორიული ჭეშმარიტება, რომ სომხეთი თავისი სიდიდით თუ წარსული ცხოვრებით „ყოველთა ჩრდილოელთა შორის გამორჩეული" იყო. ბაგრატუნი მეფეების პოლიტიკის გავლენის მნიშვნელობაზეც ხაზგასმით აღნიშნავს: გასათვალისწინებელია ბაგრატუნთა სამშვიდობო, ხალხთა შემაკავშირებელი პოლიტიკა. იყვნენ რა სომეხი ხალხის შვილები, ისინი საქართველოში იღვწოდნენ, როგორც ქართველები და ალვანეთშიც ადგი-

[1] К. Патканов, Ванские надписи и значения их для истории Передней Азии. О древней Грузинской хронике. Журнал Министерства Народного Просвещения, 1883, № 12, с. 205-268.

ლობრივი ინტერესების დაკმაყოფილებისათვის ზრუნავდნენ. ბაგრატუნებმა ნაწილობრივ მიაღწიეს თავის მიზანს. ამის დასტურია, თითქოს, ლეონტი მროველის მიერ შემონახული თქმულება, რომ თარგამოსის რვა ვაჟი ჰაოსის მეთაურობით შეადგენდა ერთ ოჯახს და რომ ისინი ლაპარაკობდნენ სომხურად... მასში შეიმჩნევა გამოძახილი ბაგრატუნთა ხანის არა მარტო იდეოლოგიისა, არამედ ფაქტიურად შექმნილი ვითარებისაც.[1] ხსენებული არგუმენტები მეტ-ნაკლები სისრულით მეორდებოდა სხვა ავტორთა შრომებშიც (ა. სარუხანი, ა. ჰოვჰანესიანი და სხვ.), ბოლოს კი, ისინი განსაზღვრულ სისტემურ ფორმაში მოაქცია და კონცეფციის სახით წარმოგვიდგინა ს. ერემიანმა, რაც შუა საუკუნეების საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკურ ურთიერთობათა გაშუქების მთავარ საყრდენად იქცა შემდეგ თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში. ს. ერემიანის კონცეფციით, პოლიტიკურმა სისტემამ, რომელსაც შირაკის ბაგრატიდები მოთავეობდნენ, თავისი ასახვა ჰპოვა ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის (XI ს.) ეთნოგონიურ კონცეფციაში ბიბლიური თარგამოსის რვა ვაჟის შთამომავალ მოძმე ხალხების შესახებ, რომელთა შორის უფროსი იყო ჰაოსი (ჰაიკი) — სომეხი ხალხის ლეგენდარული მამამთავარი, სომეხთა სიმბოლური გამოხატულება. მას უნდა დამორჩილებოდნენ დანარჩენი შვიდი ძმა-ხალხები: ქართლოსი (ქართველები), ბარდოსი მოვაკანი (თანამედროვე აზერბაიჯანის მაშინდელი მოსახლეობა), ლეკოსი (ლეკები), ჰეროსი (ჰერები ან ალბანელები), ეგროსი (მეგრელები) და კავკასოსი (კავკასიის მთიელები). საგულისხმოა, — აღნიშნავს ს. ერემიანი, — რომ თარგამოსის ვაჟების განსახლების ტერიტორია თანხვდება არაბთა სამეფისნაცვლოს „არმინიის" ტერიტორიას. ეს კონცეფცია ძმა-ხალხების შესახებ მოწმობს, რომ ამიერკავკასიის ფეოდალურ ხალხებს შეცნობილი ჰქონდათ ერთმანეთს შორის ჭეშმარიტი კავშირის აუცილებლობა, მათი საკუთარი

[1] Ն. Ադոնց, պատմական ուսումնասիրություններ, Փարիզ, 1948, էջ 50-51.

ბედის განუყოფლობა და იზოლირებულად არსებობის შეუძლებლობა.[1]

წარმოდგენილი სომხური თეორია ცალმხრივი და ხელოვნურია. ლეონტის კონცეფციის შექმნის დროს, XI საუკუნის შუა წლებში ანისის სამეფო აღარ არსებობდა (დაეცა 1045 წ.) და სომხური სახელმწიფოებრიობის ნაშთები გაქრობის პირას იყო, რის გამოც მათი პირდაპირი გავლენა ლეონტიზე გამორიცხულია. ანისის ე. წ. „უზენაესობის პერიოდში" კი საქართველოში ბაგრატ III მეფობს, რომელიც თვით სომხური ისტორიოგრაფიის ცნობილი წარმომადგენლის, ამერიკელი კირილ თუმანოვის აზრითაც ყველაზე ძლიერი ხელისუფალი იყო კავკასიაში. თარგამოსის ვაჟების განსახლების ტერიტორიის დაკავშირება არაბთა სამეფისნაცვლოს „არმინიის" ტერიტორიასთან ჩვენ სრულიად უადგილო გვგონია. სომხური სახელმწიფო და „არმინია" სხვადასხვა სიდიდის ცნებებია და მათი გაიგივება უსაფუძვლოა. ქართლის ერისმთავარი, სომხეთის იშხანი თუ რანის მთავარი თავისი უფლება-მოვალეობებით და ფუნქციებით ადგილობრივი უზენაესი არაბი მოხელის მოადგილედ ითვლებოდა და არც ერთი მათგანი, ამ მხრივ, არ განსხვავდებოდა. არაბული წყაროები უფლებრივად მათ ერთმანეთისაგან არ ანსხვავებდნენ და ყოველ მათგანს ერთი და იმავე ხარისხის ტიტულით „ბატრიკად" მოიხსენიებდნენ.[2]

ასე რომ, ლეონტის თხზულებაში გატარებული კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობისა და ძმობის იდეა ვერ გამოდგება ძველსა და შუა საუკუნეების კავკასიაში სომეხთა უპირატესობის სამტკიცებლად. ეს იდეა XI საუკუნის შუა და შემდგომ ხანაშიც, სომეხთა კი არა, მხოლოდ ქართველ ხელისუფალთა პოლიტიკური ინტერესების სამსახურში შეიძლებოდა ჩამდგარიყო, რამდენადაც სომხეთის დამხობის შემდეგ მაინც

[1] Еремян С. Т., Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья в IX-XIII вв., «Кавказ и Византия», I, Ереван, 1979, с. 6-7.

[2] ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 379. Тер-Гевондян А. Н., Армения и арабский Халифат, Ереван, 1977, с. 171-172.

ერთადერთ ანგარიშგასაწევ სამხედრო-პოლიტიკურ ძალას კავკასიაში, რომელიც შეებრძოლებოდა კავკასიაში შემოჭრილ საერთო მტერს, გაერთიანებული საქართველო წარმოადგენდა.

რაც შეეხება ლეონტის ტომით სომხობის ქ. პატკანიანისა და სხვების ვარაუდს, არც მას გააჩნია რამდენადმე სერიოზული საფუძველი. ლეონტი მროველის თხზულება, საერო მხატვრული მწერლობის სტილის ნაწარმოებია საგმირო რომანის ელფერით,[1] შესრულებული დახვეწილი ქართულით, რომლის დაწერა სომეხი ბერის, ისიც „ნაკლულოვანი ცოდნის" მქონე პირის მიერ, ძალზე ძნელი წარმოსადგენია. რეალურადაც ლეონტის ტექსტში არმენიზმების კვალი, ფარსადან გიორგიჯანიძისაგან განსხვავებით, არსად არ შეიმჩნევა. ესეც არ იყოს, ვინც არ უნდა ყოფილიყო თხზულების ავტორი, თუ მისი ნაწარმოები არ შეესატყვისებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, „ქართლის ცხოვრების" კრებულში მას არავინ შეიტანდა.

სომეხი ავტორების მტკიცება, რომ ლეონტის კონცეფცია სომეხთა კარნახითა და მათივე ინტერესების შესაბამისად ჩამოყალიბდა, ქართველ მემატიანეს ტომით სომეხს, ან სომხური შეგნების ისტორიკოსად წარმოგვიდგენს. ძნელად არგუმენტირებადი ეს თვალსაზრისი, მიუხედავად მისი ხელოვნურობისა, მკითხველი საზოგადოების შედარებით მცირე ნაწილმა და თვით ქართული ისტორიოგრაფიის ცალკეულმა წარმომადგენლებმაც გაიზიარეს. პროფ. გ. ყორანაშვილის შეხედულებით, ლეონტი მროველის არმენოფილობის მიზეზი თვით მის პიროვნებაში უნდა ვეძიოთ და ასეთი მტკიცების საფუძვლიანობის საჩვენებლად სომხურ ისტორიოგრაფიაზე მიგვითითებს. მისი შენიშვნით, „ლეონტის სომხურ წარმომავლობას უკვე აღნიშნავდნენ სომეხი ისტორიკოსები ქ. პატკანო-

[1] პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ენიმიკის მოამბე, X, თბილისი, 1941, გვ.95.

ვი და ა. სარუხანი". მისივე ღრმა რწმენით, ლეონტი მროველის კონცეფციის არმენოფილური არსი ელემენტარული საღი აზრის დონეზეც კი უეჭველია.[1]

ლეონტი მროველის კონცეფციის არმენოფილურობის აზრს ეთანხმება აკად. გ. მელიქიშვილიც. მისი განმარტებით, ავტორის (ე. ი. ლეონტი მროველის) არმენოფილური ტენდენცია ჩანს არა მარტო ნაწარმოების დასაწყისში, ეთნარქების დასახელებისას, არამედ მკვეთრად გასდევს მთელ ნაწარმოებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ნაწარმოების იმ მონაკვეთზე, რომელიც იწყება მეოთხე მეფე ფარნაჯომიდან ვიდრე ქართლის გამაქრისტიანებელ მირიან მეფემდე. — თუ მართლა რაიმე კონცეფციაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს არის ნაწარმოებში მკვეთრად გამოხატული ჰაოსიანთა პირველობის კონცეფცია და მეტი არაფერი, — შენიშნავდა მკვლევარი 1966 წ. ისტორიის ინსტიტუტში გამართულ დისკუსიაზე.[2]

მკაფიოდ ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენს ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური კონცეფციის მიმართ პროფ. დ. გოგოლაძე. ლეონტის საკითხის გასარკვევად მან სპეციალური გამოკვლევა დაწერა, სადაც სკურპულოზურად გაანალიზა ლეონტის მიერ გამოყენებული ყველა შესაძლო წყარო და მივიდა დასკვნამდე, რომ „ლეონტის შენათხზით მისი თავანკარა არმენოფილობა აშკარად ჩანს, რადგან არც ერთ განხილულ მის წინამძღვარ წყაროებში არც ჰაოსის უფროსი ძმობა კავკასიაში, არც ჰაოსის სომხური, როგორც მათი თავდაპირველი მშობლიური ენა, და არც „ენების შერევის" შედეგად ახალი ენის წარმოშობა არაა მოცემული... ქართველთა ეთნოგენეალოგიისა თუ ქართული ენის თხრობისას, როგორც აშკარად, ისე ქვეტექსტებით, მთელ სიგრძეზე, მკვეთრად, წითელი ზოლივით გასდევს არმენოფილური პოზიცია, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების, ღირსების დამამცირებელი. წარმოუდგენელია ქარ-

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 60, 14 მარტი, 1998 წ.
[2] ჟურნ. „მაცნე", 1, 1968, გვ. 322-323.

თული ეროვნული შეგნების რომელიმე წარმომადგენელს შუა საუკუნეებში შეექმნას ასეთი ანტიქართული ეთნოგენეტიკურ-ლინგვისტიკური ისტორიული შენათხზი.[1] პროფ. დ. გოგოლაძე, ამასთან, გაკვირვებასაც გამოთქვამს, რომ ლეონტისეულ ანტიქართულ არმენოფილურ კონცეფციას სათანადო რეაქცია და უარყოფა არ გამოუწვევია შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში.[2]

ლეონტი მროველის თხზულების „მკვეთრად გამოხატული არმენოფილური პოზიციისა" და მისი ამგვარი შეფასების „ელემენტარული საღი აზრის დონეზეც კი უეჭველობისა", მაინც აუხსნელი რჩება ხსენებული თხზულების „ქართლის ცხოვრების" კრებულში შეტანის მიზეზი. თვით პროფ. გ. გოგოლაძის აზრითაც, „გამორიცხულია საქართველოს სამეფო სახლს შეგნებულად ნებართვა მიეცა ასეთი ანტიქართული არმენოფილური კონცეფციის შეტანისათვის „ქართლის ცხოვრებაში" და გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა, სამეფო სახლი და საპატრიარქო არც გასცნობოდა თავის დროზე (XI საუკუნის II ნახევარი) ლეონტისეულ კონცეფციას.[3] ასეთი ვარაუდი, ვფიქრობ, ძნელად გასაზიარებელი უნდა იყოს. ჯერ ერთი, დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ „ქართლის ცხოვრება" ქართული ფეოდალური საზოგადოების აღიარებული სახელმძღვანელო წიგნი იყო, რომლითაც საქართველოს თავგადასავალი შეისწავლებოდა. სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის" გვერდით, ის მოწოდებული იყო ფეოდალური საქართველოს იდეურ-მორალური დასაყრდენი ყოფილიყო და წარმატებითაც ასრულებდა ამ თავის დანიშნულებას. შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებაც ყოვლად დაჯერებული იყო „ქართლის ცხოვრების" ცნობათა სანდოობაში და ამდენადვე, ის ამ საზოგადოებისათვის მეცნიერული ისტორიაც იყო.[4] ამიტომ,

---

[1] ჟურნ. „მნათობი", № 9-10, 2000, გვ. 134.

[2] იქვე, გვ. 134-135.

[3] იქვე, გვ. 140.

[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966, გვ. 332; V, თბილისი, 1971, გვ. 131-132.

ამ ოფიციალურ, სახელმწიფოს მეთვალყურეობით შედგენილ საისტორიო კრებულში თხზულების დაუდევრად თუ შემთხვევით შეტანა ყოველად გამორიცხულია. ესეც არ იყოს, შვიდი საუკუნე (XI — XVIII) საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ რომელიმე ქართველ უმაღლეს ხელისუფალს ვერ შეემჩნია ქვეყნისათვის საზიანო და მიუღებელი იდეის მატარებელი თხზულება და „წმინდა წიგნიდან“ ის არ ამოეკვეთა. არც ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიას და არც ჩვენს დიდ ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს, რომელთაც „ქართლის ცხოვრების“ შევსება და გაუმჯობესება ჰქონდათ მიზნად დასახული, კრებულიდან არ ამოუღიათ და არ შეუსწორებიათ ლეონტის კონცეფციის შემცველი ადგილები. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ თხზულებაში გატარებული იდეები არ ეწინააღმდეგებოდნენ შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

ლეონტი მროველის თხზულების ოფიციალურ საისტორიო კრებულში ყოფნა თავისთავად დიდი მნიშვნელობის ფაქტია და საინტერესო კითხვებს აღძრავს, რომლებიც ხსენებული თხზულების სხვა პოზიციებიდან განხილვა-შეფასებასაც ითხოვენ.

1982 წ. დაიბეჭდა ა. აბდალაძის ნაშრომი „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა“, რომელიც, ფაქტობრივად, „ლეონტის საკითხის“ მონოგრაფიული შესწავლის ცდას წარმოადგენს. ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ლეონტის კონცეფციასთან დაკავშირებით მანამდე გამოთქმულ ყველა თვალსაზრისს და მათ სათანადო შეფასებასაც აძლევს, მაგრამ მკაფიოდ გამოკვეთილ საკუთარ პოზიციას მაინც ვერ აყალიბებს, რამდენადაც მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, ხშირად, საპირისპირო თვალსაზრისთა თანაარსებობის ფაქტებსაც უშვებს. მაგალითად, პოეტ ა. მირცხულავას კრიტიკული გამოსვლის პასუხად, რომელიც აღშფოთებული იყო 1955 წ. გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომში ლეონტი მროველის ე. წ. „არმენოფილური“ თვალსაზ-

რისის შემცველი თხზულების უცვლელად შეტანის გამო, ა. აბდალაძე წერს: ა. მირცხულავას მხედველობიდან გამორჩა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ავტორები საქართველოს სამეფო კარის დაკვეთით, თვალყურის დევნებით მუშაობდნენ და მათი თხზულებები საქართველოს მეფეების პოლიტიკის საფუძვლიანობის დასაბუთებას ისახავდნენ მიზნად. ამდენად, „ქართლის ცხოვრებაში“ წარმოდგენილი ესა თუ ის თვალსაზრისი, მით უმეტეს, როცა ეს თვალსაზრისი თავიდან ბოლომდე წითელ ზოლად გასდევს დიდი მოცულობის თხზულებას, საქართველოს სამეფო კარზე მიღებული (თუნდაც გარკვეული მოსაზრების გამო) შეხედულებების შესატყვისია და არა ავტორთა მიერ ნებისმიერად შემუშავებული. ასე რომ, ლეონტი მროველის თხზულებაში წარმოდგენილი ე. წ. „არმენოფილური“ თვალსაზრისი საქართველოს სამეფო კარის მიერ შეწყნარებული იყო.[1]

ა. აბდალაძის ეს პასუხი აშკარად ა. მირცხულავას თვალსაზრისს უპირისპირდება, რომელიც ლეონტის თხზულებას „არმენოფილურად“, და ამდენად, მიუღებლად მიიჩნევდა, რისთვისაც, ჩანს, ა. აბდალაძე სიტყვა არმენოფილურს ბრჭყალებში ათავსებს და მას „ე. წ.“-საც უწინამძღვრებს. და მართლაც, თუ ლეონტის თხზულება საქართველოს მეფეების პოლიტიკის საფუძვლიანობის დასაბუთებას ისახავდა მიზნად და ქართული სამეფო კარიც იზიარებდა ლეონტის იდეებს, ცხადია, ის აღარ შეიძლებოდა არმენოფილური ყოფილიყო. ციტირებული ტექსტიდან გამომდინარეც უნდა ვიფიქროთ, რომ ა. აბდალაძე ქართულ სამეფო კართან ერთად ლეონტის არმენოფილად არ უნდა მიიჩნევდეს, მაგრამ ნაშრომის შემდეგ გვერდზე ამ პოზიციიდან გადახრა აშკარად შეიმჩნევა. იგი წერს: ჩვენი აზრით, რადგან ქართველი მემატიანე საქართველო-სომხეთის ურთიერთობის აღწერისას აშკარად აზვიადებს სომხეთისა და სომხური

[1] ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბილისი, 1982, გვ. 11-13.

ენის როლს, რაოდენ კეთილშობილური მიზნებითაც არ უნდა ხელმძღვანელობდეს იგი ამ დროს, პირობითად მაინც შესაძლებელია მის „არმენოფილობაზე“ ლაპარაკი.[1] პირობითობა, ცხადია, გაურკვევლობის სიმპტომსაც შეიცავს და საკითხის გადაწყვეტისას რწმენის დეფიციტსაც უნდა გამოხატავდეს. ასეთი განწყობის მანიშნებელია რამდენიმე გვერდის შემდეგ დასკვნის სახით მოცემული თეზისი, სადაც წერია: ვფიქრობთ, მისაღებია ის შეხედულება, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში აშკარად შეიმჩნევა ე. წ. „არმენოფილური“ ტენდენცია. ამ „ე. წ.“-ის ამჯერადაც გამოყენება, ალბათ, იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ ლეონტის არმენოფილობაში ავტორი ბოლომდე არაა დარწმუნებული და მავნე ტენდენციას ლეონტის შინაგან ბუნებას კი არ მიაწერს, არამედ გარე გავლენის შედეგად აღიქვამს. ამას ა. აბდალაძე სრულიად გასაგებად ამბობს: „ჩვენი აზრით, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს „არმენოფილური“ ტენდენცია სომხური წყაროების საფუძველზეა აღმოცენებული“.[2] მისივე განმარტებით, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში არ მოიპოვება ძველ ხანაში კავკასიაში სომხეთისა თუ სომხური ენისათვის უპირატესობის მიმნიჭებელი არც ერთი ისეთი ცნობა ან თვალსაზრისი, რომლის მსგავსი არ იყოს სომხურ საისტორიო მწერლობაში, ანდა მათი არსებობა არ ივარაუდებოდეს სომხურ ზეპირსიტყვიერებაში.[3] ასე რომ, ლეონტის თხზულებაში არსებული „მავნე ტენდენცია“, სრულიად გარკვევით, სომხური წყაროების გავლენას მიეწერება. ამასთან ერთად, ნაშრომში ვხვდებით ისეთ დებულებებსა და დასკვნებსაც, რომლებიც ამ კატეგორიულ განცხადებას თავის მნიშვნელობას, ფაქტობრივად, უკარგავენ. ნაშრომის 168-169 გვერდებზე ავტორი წერს: უძველეს და ანტიკურ ხანაში კავკასიაში სომხეთისა და სომხური ენისათვის უპირატესობის მინიჭება ვერ აიხსნება მარტო იმით, რომ ლეონტი მროველი სომხურ წყაროებს

[1] ა. აბდალაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.
[2] იქვე, გვ. 80.
[3] იქვე, გვ. 17.

იყენებდა. საქმე ისაა, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა"-ში, თავიდან ბოლომდე, საქართველო-სომხეთის ურთიერთობის აღწერისას გამომჟღავნებულია ავტორის დამოკიდებულებაც ამ საკითხისადმი, მისი კეთილგანწყობა სომეხთა მიმართ. „არმენოფილური ტენდენცია" ახლა უკვე პიროვნული ხასიათის მოვლენად ცხადდება, რაც ეწინააღმდეგება ადრე გამოთქმულ მის თვალსაზრისს აღნიშნული ტენდენციის „პირობითობაზე". საკითხის ამგვარ გააზრებასთან არის დაკავშირებული ისეთი შესაძლებლობის დაშვებაც, რომ თითქოს მარიამ დედოფალსაც მიუძღოდეს გარკვეული წვლილი ლეონტი მროველის მიერ „არმენოფილური" თვალსაზრისის შემცველი თხზულების დაწერაში. ამას გვაფიქრებინებს, — წერს ა. აბდალაძე, — წარმოშობით სომეხი, საქართველოს დედოფლის აქტიური მოღვაწეობა პოლიტიკურ სარბიელზე[1]. ასეთი მინიშნებები, რა თქმა უნდა, ლეონტის თეორიის უარყოფითად შეფასებას უწყობენ ხელს და, ფაქტობრივად, ანეიტრალებენ ნაშრომის დასაწყისსა და სხვა ადგილებშიც გამოთქმულ თვალსაზრისს საქართველოს ინტერესებისათვის ლეონტის ე. წ. „არმენოფილური" ტენდენციის უვნებლობის შესახებ, რომელთა მიხედვით, ის ხელსაც კი უწყობდა საქართველოსათვის სომხეთის შემოერთებისა და შემომტკიცების უაღრესად რთულ საქმეს. ამ მხრივ ა. აბდალაძეს ნიშანდობლივად მიაჩნია „ქართლის ცხოვრების" სომხურად თარგმნა XII თუ XIII საუკუნეში.[2]

ასე არაერთმნიშვნელოვანი და განსაზღვრულწილად წინააღმდეგობრივიცაა ლეონტისა და მისი კონცეფციის შეფასება ა. აბდალაძის ხსენებულ წიგნში.

1998 წ. გამოქვეყნებულ საგაზეთო წერილში უკვე მკაფიოდაა გამოხატული ა. აბდალაძის ნეგატიური დამოკიდებულება ლეონტისა და მისი კონცეფციის მიმართ. იგი წერს: სხვა გზა არ არის, ლეონტი მროველი არმენოფილად უნდა მივიჩნიოთ.

[1] ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ, 185.

[2] იქვე, გვ. 128.

უფრო მეტიც — შეიძლება ითქვას, რომ ჩნდება ეჭვი, რომ ლეონტი მროველი, ალბათ, წარმოშობით სომეხი იყო... საკითხი, თუ რატომ შეიტანეს ლეონტი მროველის არმენოფილური თხზულება „ქართლის ცხოვრებაში“, იმდენად რთულია, რომ საქართველო-სომხეთის ურთიერთობის შესახებ ჩვენი ცოდნის დღევანდელ დონეზე შეიძლება მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა. მისი გადაჭრა მომავლის საქმეა.[1]

ამ განცხადებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ა. აბდალაძე, განეული დიდი შრომის მიუხედავად, ბოლომდე არც ლეონტისა და მისი კონცეფციის უარყოფით შემფასებელთა და არც მათ მოწინააღმდეგეთა პოზიციას არ იზიარებს. მას ერთგვარად შუალედური მდგომარეობა უკავია დაპირისპირებულ თვალსაზრისთა შორის. ამიტომაც არის, რომ საკითხის გადაჭრას სამომავლოდ სდებს.

ამრიგად, ლეონტის კონცეფციის უარყოფითად შეფასებისას აუხსნელი რჩება და ამდენადვე, დაუძლეველიც, ქართველი მემატიანის ღვაწლის დამფასებელთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი — თხზულების „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანის ფაქტი და თვით კონცეფციის დიდი სიცოცხლისუნარიანობა შუა საუკუნეთა მთელ სიგრძეზე. ამიტომ არის, რომ „ლეონტის მომხრეები“, რომელთა შორის ისეთი გამოჩენილი მეცნიერებიც არიან, როგორიცაა კ. კეკელიძე, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, დ. მუსხელიშვილი, ზ. ალექსიძე და სხვები, ყურადღებას ხშირად ამახვილებენ ლეონტის კონცეფციის პრაგმატულ მიმართულებაზე, ეპოქის ამოცანებთან მის თანხვედრაზე, რითაც ლეონტი მროველი სავსებით თავისუფლად დგება XI-XIII საუკუნეების გამოჩენილ ქართველ პატრიოტ მოღვაწეთა რიგში. ლეონტის მიმართ ქართველ ისტორიკოსთა ამ ნაწილის დამოკიდებულებას გამოხატავდა ნ. ბერძენიშვილი, როცა წერდა: აღმავალი ხანის ქართველი ისტორიკოსები (ლეონტი მროველი, დავითის და თამარის დროის ისტორიკოსები,

[1] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წ., 18 მარტი, № 63-66.

ჟამთააღმწერელი და სხვანი) მშვიდი მემატიანე ქრონისტები კი არ არიან, არამედ ღრმად განათლებული პოლიტიკური მწერლები, ამა თუ იმ საზოგადოებრივი დაჯგუფების ენერგიული მოსარჩლენი.[1] იდეურ-პოლიტიკური მოწიფულობის მხრივ კი ნ. ბერძენიშვილი ლეონტის გიორგი მთაწმინდელისა და დავითის ისტორიკოსის გვერდით მოიხსენიებს.[2]

ჯერ კიდევ 1959 წ. ლეონტის მემკვიდრეობაზე საუბრისას ვ. დონდუა შენიშნავდა: მსჯელობა „ქართლოსიანთა" და მათი ბედის შესახებ ალექსანდრეს „შემოსვლის" პირობებში, რომელიც წარმოდგება ლეონტის პრაგმატული წყობიდან, მისი შემოქმედებიდან (და არა უშუალოდ მისი, დღემდის მიგნებული წყაროებიდან), ცხადად აჩენს ლეონტის უნარს, აქტიურად გამოიყენოს წყარო თუ წყაროები, ხელი დარიოს მათ, როგორც მკვლევარმა, შემოქმედებითად გამოიყენოს ისინი... საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ლეონტი მროველი, ქართველი ხალხის მეჭირისუფლე ისტორიკოსი, დიდი ზნეობრივი კმაყოფილებით წერდა იმის შესახებ, თუ როგორ დაზოგა ალექსანდრემ ქართლოსიანები.[3] ვ. დონდუას აზრით, „არმენოფილური" ტენდენციის თვალსაზრისით იგი თითქოს არაა ამას მოკლებული, მაგრამ მის არმენოფილობაზე მაინც არ შეიძლება ლაპარაკი. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ის ქართლოსიანთა მიმართ... ლეონტის უნდა ჰქონოდა სურვილი, რომ მის კონცეფციას დაეკმაყოფილებინა სომხეთი. ამ მომენტების გათვალისწინებაა საჭირო ლეონტის კონცეფციის ჯანსაღი მოტივების გამოვლინებისათვის.[4]

ლეონტის თავისუფალი და პრაგმატული დამოკიდებულება წყაროებისადმი ადრევე შენიშნა კ. კეკელიძემ. საიდან შეეძლო სცოდნოდა ლეონტის, რომ ქართველები და სომხები თარგამოსიდან წარმოიშვნენ? ასეთ ცნობას ის ვერ ნახავდა ვერც

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 294.
[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 210.
[3] ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, თბილისი, 1967, გვ. 28-29.
[4] „მაცნე", № 1, 1968, გვ. 332.

ბიბლიაში (თავი X) და ვერც რომელიმე წერილობით წყაროში, — წერდა ძველი ქართული ლიტერატურის დიდი მკვლევარი. იპოლიტეს ქრონიკისა და მოსე ხორენელის მიხედვით, თარგამოსიდან სომხები წარმოიშვნენ და რადგან უშვებს, რომ ქართველები და სომხები ძმები არიან (არსებული ვითარების მოთხოვნილებიდან), გამოყავს დასკვნა, რომ ქართლოსიც თარგამოსის შვილია.[1]

ლეონტის ამგვარ დამოკიდებულებას წყაროებისადმი არანაკლები სიცხადით უჩვენებდა ნ. ბერძენიშვილიც... რაგინდ დამოკიდებული ჩანს ლეონტი მოსე ხორენელისაგან, კავკასიის ხალხთა მონათესაობის და ქართველების ტომობრივი შედგენილობის საკითხში ის არავისგან დამოკიდებული არ ჩანს (შეიძლება დავუშვათ, რომ ის იცნობდა ბერძნულ ქრისტიანულ მწერლობას, სადაც ხალხთა მონათესავეობის საკითხი და მისი სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა უხვად მოიპოვებოდა, მაგრამ ისეთი გადაწყვეტა, როგორსაც ჩვენი ავტორი გვთავაზობს, რამდენადაც ცნობილია, არავის მოეპოვება). მით უფრო საყურადღებოა ლეონტის ეს ორიგინალური კონცეფცია. ყალბი ეფრემისა და მოსე ხორენელის წიგნებში მოცემული იდეები ლეონტის არ ავალებდა მისი დროის კავკასიის ხალხები ურთიერთის მონათესავე თარგამოსიანებად წარმოედგინა. ქართველების შესაყვანად მსოფლიო ისტორიის ფერხულში საკმაო იქნებოდა, ვთქვათ, ქართლოსის გამოცხადება ჰაოსის ძმად და თუ ლეონტი ამას არ დაკმაყოფილდა და ამ კონცერტში მთელი კავკასიის ხალხები შემოიყვანა, უეჭველია, ამას საკმაო საფუძველი მოეპოვებოდა.[2]

ლეონტი მრეველის თეორიის ორიგინალობასა და წყაროებისადმი მემატიანის თავისუფალ დამოკიდებულებას აღნიშ-

---

[1] К. Кекелидзе, Идея братства Закавказских народов по генеологической схеме Грузинского историка XI века Леонтия Мровели, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 554-557.

ნავს ა. ბოგვერაძეც. მისი აზრით, ლეონტიმ საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დასაკავშირებლად და ქართველების შესაყვანად ხალხთა დიდ ოჯახში, ბიბლიურ ნიადაგზე შეიმუშავა ქართველებისა და მათი მამამთავრების გენეალოგიისა და ნათესაობის საკუთარი სქემა. ამაზე ააგო მან ერთი მთლიანი ისტორიულ-პოლიტიკური კონცეფცია და მის საფუძველზე წარმოგვიდგინა ქართველი ხალხის ისტორია უძველესი დროიდან XI საუკუნემდე.

ა. ბოგვერაძის მიხედვით, ლეონტი ბრმად კი არ მიყვება წყაროების ჩვენებებს, არამედ საჭიროებისდაგვარად იყენებს მათ და ზოგჯერ კიდევაც თხზავს. ფარნავაზის შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური უპირატესობა, ლეონტის მიხედვით, ამიერკავკასიაში მთლიანად სომეხი მეფეების ხელთაა, — წერს მკვლევარი, — რომლებსაც მორჩილებენ ქართველთა მეფეები და ქართველები. ასე გრძელდება ქართლში მირიანის გამეფებამდე. ლეონტი აღარ ასახელებს იმის მიზეზს, თუ რამ განაპირობა სომეხთა უპირატესობა ქართლოსიანებზე, მაგრამ საეჭვო არაა, რომ მისი აზრით, ამას ჰქონდა ისტორიულ-გენეტიკური საფუძველი, რომლის ძალითაც ჰაოსი თავის ძმებზე ჯერ იყო „განმგებელ და უფალ“ და მერე „მეფე“. ეგროსის შთამომავალ ქუჯის სიტყვები ქართლოსიანელ ფარნავაზისადმი რომ მოვიმარჯვოთ, ჰაოსიანებს ისტორიულად „მართებდათ უფლობა“ ქართლოსიანებისა. ამიტომ იყო, რომ სომეხ-ქართველთა ომებში ცალკეული წარმატების მიუხედავად, საბოლოოდ გამარჯვება სომხებს უნდა დარჩენოდათ და რჩებოდათ კიდეც ლეონტის თანახმად. ეს კონცეფცია ლეონტიმ სომხების სიყვარულით კი არ შეიმუშავა, არამედ ხორენაცის თხზულებიდან გამომდინარე შექმნა, რომელსაც ამიერკავკასიის უძველესი ისტორიის მისეული ცოდნაც (გამომდინარე, ალბათ, ამავე რიგის წყაროებიდან) ემოწმებოდა. ამ ნაწილში მკვლევარი, ჩანს, იზიარებს სარგის კაკაბაძის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სომხური ტენდენციის არსებობა იმით აიხსნება, რომ ძველ ხანაში

სომხეთი ქართლზე უფრო დიდი და ძლიერი იყო.[1] მაგრამ ყოვლად არაისტორიული იქნებოდა, — განაგრძობს ა. ბოგვერაძე, — ლეონტის თავისი თხზულების წერა შემდეგაც რომ ამ კონცეფციით განეგრძო და მანაც მოძებნა გამოსავალი. ასფაგურის გარდაცვალების შემდეგ ქართველებმა თავის მეფედ სპარსელი უფლისწული მირვანოზი მოიწვიეს. ასე დაედვა საფუძველი ლეონტის თანახმად ქართლის მეფეების ნებროთიანობასა და ხოსროიანობას ბაგრატიონების ხელმწიფობამდე ჩვენში. ამიერიდან ქართლის მეფეებზე საბატონოდ სომეხ თარგამოსიანებს და მათ ჩამომავალ არშაკუნიანებს არავითარი ისტორიული საფუძველი აღარ ჰქონდათ (თუ საქმე მორჩილებაზე მიდგებოდა, ამიერიდან პირიქით — სომხები უნდა დამორჩილებოდნენ ქართლის მეფეებს, როგორც ყოველი ქვეყნის პირველი მეფის ჩამომავალთ).

ზედმეტია იმის მტკიცება, — წერს ბოგვერაძე, — რომ მირიან მეფის და მისი მემკვიდრეების ნებროთიანობა-ხოსროიანობას საფუძველი არ გააჩნია. ის ლეონტიმ შეთხზა სომეხთა მორჩილებიდან ქართველების გამოსაყვანად და მათი მეფე-მთავრების განსადიდებლად (თუ ჰაოსიანების ოდინდელი უპირატესობა კავკასიაში ლეონტისათვის შედარებით უწყინარი წარსული იყო, ქართლის ქრისტიანი მეფეები და ხალხი რუისელმა მღვდელმთავარმა ვეღარ გაწირა საამისოდ).[2]

წყაროებისადმი დამოკიდებულების საკითხში, როგორც ვხედავთ, ლეონტის თეორიის შემწყნარებელთა და მათ მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისი არსებითად ემთხვევა ერთმანეთს. ორივეს აზრით, ლეონტის კონცეფცია წყაროების გავლენით არ შექმნილა და ის მთლიანად მემატიანის შემონაქმედია. წინააღმდეგობას იწვევს ამ შემონაქმედის შინაარსის გაგება. თუ ერთნი ლეონტის იდეებს „პრაგმატული" მნიშვნელობისად მიიჩნევენ და „არსებული ვითარების მოთხოვნილებებით"

[1] „მაცნე", № 1, 1968, გვ. 328.
[2] „მაცნე", № 4, 1987, გვ. 173-177.

ხსნიან, რისთვისაც „საკმაო საფუძველსაც“ ხედავენ, მეორენი ლეონტის ეთნოგენეტიკურ კონცეფციას მავნე თეორიად აღიქვამენ და მის არსებობას „ქართლის ცხოვრების“ კრებულში, შემთხვევითობას, ჩვენი ავტორის შესაძლო უცხო ტომობრივ წარმომავლობას და სხვა გარე მიზეზებს მიაწერენ. დისკუსიის მონაწილენი ლეონტის კონცეფციის შეფასების ამოსავალ წერტილად, ფაქტობრივად, პოლიტიკურ მომენტს იღებენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ერთისთვის ეს დადებითი, სასარგებლო მოვლენაა, მეორისათვის უარყოფითია.

ლეონტის თეორიის დადებით პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ყურადღება გაამახვილა თეიმურაზ ბატონიშვილმა. XIX საუკუნის შუა წლებში იგი წერდა: „ვინაითგან ქართლოსიანნი და სომეხნი იყვნეს მეზობელ ურთიერთისა და მარად გარემოცულნი უმეტეს სომეხნი მტერთა მიერ შეიწროებული... ითხოვდა მდგომარეობა ორთა ამათ მეზობელთა ნათესაობათა პოლეტიკებრივი თქმად მათ შორის, რომელ არიან იგინი ერთისაგან შთამომავლობისა, რათა მათ შორის იყოს ერთობა დაუხსნელადმებრ საპოლეტიკოთა სასარგებლოთა კავშირისა“.[1] ივანე ჯავახიშვილიც, რომელიც საერთოდ უნდობლად იყო განწყობილი ლეონტის თხზულების მიმართ, ხაზგასმით აღნიშნავდა მისი თეორიის პოლიტიკურად სასარგებლო მიზანდასახულობას. იგი წერდა: ჩვენი ისტორიკოსის პირველი და უმთავრესი მიზანი იყო გამოერკვია კავკასიაში მცხოვრებ ერთა საზოგადოდ და განსაკუთრებით კი ქართველების ჩამომავლობა და ნათესაობა... ზემოჩამოთვლილ ერთა ერთთესლოვანი შთამომავლობისა და ძმობის აზრი, უფრო პოლიტიკური მეგობრობისა და ერთობის განმტკიცების სურვილითა და მოსაზრებით უნდა იყოს შეტანილი.[2]

კავკასიის ხალხთა ძმობის და ერთობის აზრი კ. კეკელიძეს თხზულების ძირითად და პროგრესულ იდეად მიაჩნდა, რომ-

[1] თეიმურაზ ბატონიშვილი, „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა“ სპბ, 1848, გვ. 11-12.

[2] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VIII, თბილისი, 1977, გვ. 178-179.

ლის არგუმენტირებასაც თავის გამოკვლევაში უმეტეს ადგილს უთმობს. მისი მსჯელობა ასეთია: ლეონტის კონცეფციაში უმთავრესია ძმობის იდეა, კერძოდ, ქართველთა და სომეხთა. ეს იდეა ჩაისახა საქართველოს მოწინავე წრეებში ლეონტის გენეალოგიამდე და მისგან დამოუკიდებლივ. შესაძლოა, რომ ხსენებული გენეალოგია ამ იდეის ლიტერატურული გაფორმებაა — ლეონტიმ მხოლოდ მწიგნობრული საფუძველი შეუქმნა ამ იდეას. ამ იდეის წარმოშობას ხელი შეუწყო, უპირველესად, ამიერკავკასიაში არსებულმა საერთო პოლიტიკურმა ვითარებამ. ბაგრატ III-იდან იწყება საქართველოს გაერთიანება, რომელიც დავით აღმაშენებლის დროს დასრულდა. ამ დროიდან საქართველო მთელი კავკასიის გაერთიანების ერთ-ერთი ცენტრი ხდება და ეს ჯერ კიდევ ახალი სომხური სამეფოს დაცემამდე და არა მის შემდეგ ხდება. ჯერ კიდევ XI საუკუნის I ნახევრიდან იწყება სომეხთა თანდათანობითი შესვლის პროცესი ქართული სამეფოს ერთიან ოჯახში, რომელიც XII საუკუნეში საბოლოოდ დასრულდა ამ სამეფოში შერწყმით. ამ საქმეში, პოლიტიკური პირობების გარდა, არანაკლები თუ არა, გადამწყვეტი როლი ითამაშეს ამ ხალხების საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა და კულტურული ცხოვრების პირობებმა. ყველაფერმა ერთად, საქართველოს მოაზროვნე წრეებში დაბადა ამიერკავკასიის ხალხების ძმური სიახლოვის იდეა, რომელთა შორის, რიგ გარემოებათა გამო, ქართველები ჰეგემონის როლში გამოდიან. ლეონტიმ შეითვისა ეს ცოცხალი იდეა, მხოლოდ ჰეგემონად ქართველები კი არა, სომხები გამოიყვანა. იპოლიტე რომაელის ქრონიკაში თარგამოსის შთამომავლად მხოლოდ სომხებია დასახელებული, რამაც საფუძველი მისცა ლეონტის ჰაოსი თარგამოსის უფროს ვაჟად ეცნო. თარგამოსის სახლში ჰაოსის პირმშოობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა კონცეფციაში. ლეონტიზე დიდი გავლენა მოახდინა ამ შემთხვევაში ბიბლიამ. ჰაოსის პირმშოობა საკმარისი იყო, რათა ლეონტის სომეხთა უპირატესობა ეცნო ყველა სფეროში. ამრიგად, თა-

ვისი დროის ამიერკავკასიაში არსებულ სინამდვილეს მსხვერპლად სწირავს ბიბლიური წარმოშობის შუა საუკუნეთა წიგნურ სქემას. თავისთავად ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის იდეა ნაკარნახევი იყო ცხოვრებით და წარმოადგენდა ჯანმრთელს და პროგრესულს.[1]

მოყვანილ მსჯელობაში საეჭვოდ გამოიყურება სომხების ჰეგემონად გამოყვანის მოცემული ახსნა, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორად დასახელებულია იპოლიტე რომაელის ქრონიკის ცნობა, რომლის მიხედვითაც თარგამოსის შთამომავლები მხოლოდ სომხები იყვნენ. ამ შემთხვევაში მკვლევარი თანმიმდევრული აღარ ჩანს. თუ, კეკელიძისსავე მოწმობით, ლეონტის დამოკიდებულება წყაროების ცნობებისადმი თავისუფალი იყო და მას შეეძლო საჭიროების დროს ქართლოსიც თარგამოსის შთამომავლად გამოეყვანა, რაღამ შეუშალა ხელი „ცოცხალი იდეის" საწინააღმდეგო არასასურველი ცნობისათვის ანგარიში არ გაეწია და მისი კონცეფციისათვის უფრო შესაფერისი სხვა სქემა შეეთავაზებინა მკითხველისათვის? აშკარაა, რომ ე. წ. „არმენოფილური" პასაჟის საჭიროება, ასეთი მსჯელობით აუხსნელი რჩება.

ლეონტის თხზულებაში სომხებისათვის უპირატესობის მინიჭების შესაძლო მიზეზების უფრო რაციონალურ ახსნას იძლევა პროფ. კ. გრიგოლია. კითხვას, თუ რატომ არის, რომ მემატიანე ასე დაბეჯითებით ავითარებს აზრს კავკასიის ხალხთა შორის სომხებისა და სომხური ენის უპირატესობაზე, იგი ასე პასუხობს: ასეთი მოვლენის უბრალო მიბაძვით ახსნა საძნელოა, მით უფრო XI საუკუნისთვის, როდესაც საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება უკვე მომხდარი ფაქტი იყო და ქართული ეროვნული თვითშეგნება დღითიდღე მტკიცდებოდა. ჩვენი აზრით, აქ აღძრული საკითხების გასარკვევად ლეონტი მროველის საკუთარი მსოფლმხედველობისა და მისი მეთ-

[1] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, გვ. 102-103.

ოდოლოგიური კონცეფციების გათვალისწინება უფრო მართებულ შედეგებს იძლევა. ლეონტი მროველის თანახმად, — განაგრძობს კ. გრიგოლია, — თარგამოსიანთა თავდაპირველი საცხოვრისი არარატის მთის მიდამოებში ყოფილა. რადგან ლეონტისათვის მთავარი ამოცანა იყო ქართველთა და კავკასიის სხვა ხალხთა წარმოშობის დაკავშირება დაბადების მამამთავრებთან, ის იძულებულია მათი უძველესი საცხოვრისი სწორედ არარატის მთის მიდამოებში ეძებოს, სადაც წარღვნის შემდეგ კაცობრიობის ხელახალი აღორძინება დაიწყო. მეორე მხრივ, ლეონტის დროს (XI ს.) იქ მხოლოდ სომხები ცხოვრობდნენ. რატომ უნდა აღმოჩენილიყო თარგამოსიანთა ეს ოდინდელი საერთო საცხოვრისი სომხების ხელში? ამის ახსნას მემატიანე მემკვიდრეობის იმდროინდელ, საყოველთაოდ გაბატონებულ წესში პოულობდა, რომლის მიხედვით მამის საყოფელი (მიწა-წყალი), ხელისუფლება (ტახტი) და სასაუბრო ენაც მამიდან ყოველთვის უფროს შვილზე გადადიოდა... თუ მართლაც, ლეონტის დროს არარატის მიდამოებში მხოლოდ სომხები ცხოვრობდნენ, აშკარაა, რომ ჰაოსი – სომეხთა წინაპარი – თარგამოსის შვილთა შორის უხუცესი ყოფილა. სხვა შემთხვევაში კი, მსჯელობდა მემატიანე, ჰაოსი და მისი შთამომავალნი – სომხები, ვერავითარი გზით ვერ მიიღებდნენ საბინადრო ადგილს არარატის მიდამოებში. მეორე მხრივ, თუ არარატის მიდამოებში ლეონტის დროს სომხურად მოსაუბრე მოსახლეობა იმყოფებოდა, ეს მისთვის სრულიად საკმარისი საბუთია თარგამოსიანთა თავდაპირველი ენის დასადგენადაც. ასეთ ენად აქ სწორედ სომხურია გამოცხადებული. მისი ღრმა რწმენით, მემკვიდრეთა შორის უხუცესი, მამისაგან ღებულობდა არა მარტო საყოფელსა და უფლებას, არამედ სასაუბრო ენასაც. ლეონტი მროველს რომ მემკვიდრეობის აღნიშნული წესი მართლაც ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი და ანალოგიური მოვლენები მას სხვაგვარად აღარ წარმოედგინა, ეს მკაფიოდ ჩანს მისივე შემდგომი მსჯელობიდან, რომელიც იქვე

მოიპოვება. მისი აზრით, უფროსი ვაჟი ყოველთვის „უგმირეა" სხვებთან შედარებით და ამიტომაც, გაყოფის შემთხვევაში მამის საყოფელს, ხელისუფლებას და იგულისხმება, ენასაც, ყოველთვის უფროსი ღებულობს... უგმირეა მცხეთოსი ქართლოსის უფროსი ვაჟი, ასევე უფლოსი მცხეთოსის უფროსი ვაჟი და ა. შ...

მხოლოდ ასეთი კონცეფციის წყალობით, — ასკვნის კ. გრიგოლია, — გასაგები ხდება, ერთი შეხედვით, ლეონტის უცნაური მოსაზრება: თარგამოსის შვილთა შორის – ჰაოსისა და სომეხი ხალხის პრიორიტეტის შესახებ. აღნიშნული უპირატესობა ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში უცხო ავტორთა გავლენის შედეგი კი არ არის, როგორც ეს დღემდე შეწყნარებული იყო, არამედ თვითონ მისი (საკუთარი) მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ლოგიკური მსჯელობის უაღრესად ობიექტური დასკვნაა.[1]

ლეონტის კონცეფციის ეს ახსნა შემდეგში ბევრმა ისტორიკოსმა გაიზიარა. მაგალითად, ზურაბ ანჩაბაძე, ფაქტობრივად, იმეორებს კ. გრიგოლიას თვალსაზრისს, როცა ლეონტის თხზულებაში მოცემულ სომეხთა უპირატესობაზე შესაძლო მტკიცებას ქართული სამართლის წესებით ხსნის. 1966 წ. გამართულ დისკუსიაზე გამოსვლისას მან აღნიშნა: ჰაოსის უფროსობა და სომხური ენის პირველადობა ლეონტი მროველის თხზულებაში აიხსნება მემკვიდრეობის „მაიორატის" სისტემით, რომელიც ქართულ ფეოდალურ სამართალში იყო მიღებული. ამ სისტემის თანახმად, სიუზერენობას გვარში და თავისი მამის რეზიდენციას უფროსი ვაჟი ღებულობდა. ასევე, მროველის მიხედვით, ქართლოსიანთა შორის გვარის სათავეში იდგა უფროსი ვაჟი და მას მცხეთაში ჰქონდა რეზიდენცია. თუ გავიხსენებთ, რომ ჰაოსის და ქართლოსის მამის, თარგამოსის მამული, მროველის მიხედვით, იყო „ქუეყანა არარატისა და მა-

[1] კონსტანტინე გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 6-11.

სისისა“, ხოლო მის დროს იქ სომხები, ჰაოსის შთამომავლები სახლობდნენ, მაშინ მროველს ლოგიკურად უნდა დაესკვნა, რომ ჰაოსი თარგამოსის უფროსი ვაჟი იყო, ვინაიდან მამის რეზიდენცია დაიკავა. ამასთანავე, ცხადია, რომ უმცროს ძმებს უფროსი ძმის ენაზე უნდა ელაპარაკათ. აქედან წარმოსდგა თეზისი სომხური ენის პირველადობის შესახებ. ყოველივე აქედან გამომდინარეობს, — ასკვნის ზ. ანჩაბაძე, — რომ მოსაზრება ლეონტი მროველის ე. წ. „არმენოფილობის“ შესახებ უკუგდებული უნდა იქნეს.[1]

კ. გრიგოლიას ხსენებული თვალსაზრისი მთლიანად გაიზიარა და მისი შემდგომი განვითარება სცადა ზაზა ალექსიძემ, რომლის მიხედვითაც „ბიბლიური“ და „ისტორიული“ ჭეშმარიტების დაკავშირება-შერწყმით იხსნება ლეონტის კონცეფცია. თარგამოსი ბიბლიური პერსონაჟია, მისი არარატის მთის ძირას დამკვიდრება „ბიბლიური ჭეშმარიტებაა“. ლეონტი მროველის გენეალოგიური კონცეფცია აუცილებლად ამ ჭეშმარიტებიდან უნდა ამოვიდეს. „ჰაოს დაემკვიდრა საყოფელთა მამისა თჳსისა თარგამოსისთა“ — ეს უკვე „ისტორიული ჭეშმარიტებაა“. ლეონტის დროს არარატის მიდამოები ჰაოსიანთა სამკვიდრებელია, სომეხთა ქვეყანაა და ისტორიკოსს არ შეუძლია ამ ფაქტს ანგარიში არ გაუწიოს... ფაქტია, რომ თარგამოსი არარატის მიდამოებს ფლობდა, ისიც ფაქტია, რომ ახლა ამ ქვეყანას ჰაოსიანები ფლობენ. მაშასადამე, ჰაოსი ყოფილა თარგამოსის უფროსი ძე. რატომ უფროსი? სხვაგვარად ვერ იფიქრებდა შუა საუკუნეების ისტორიკოსი. და სწორედ ასე რომ ფიქრობს იგი, ამას ხაზს უსვამს იმ მემკვიდრეობის წესის აღწერითაც, რომლის მიხედვით გაუნაწილა თარგამოსმა შვილებს თავისი სამფლობელო... ჰაოსი უფროსი შვილია თარგამოსისა, ამიტომ არის „უგმირესი“ თარგამოსის ძეთა შორის და დანარჩენ „შვიდთავე გმირთა ზედა განმგებელ და უფალ“. ლეონტი მროველი მკაცრად იცავს თავის ისტორიულ კონცეფციას

[1] „მაცნე“, № 1, 1968, გვ. 323-324.

ე. წ. მითოლოგიური ხანისათვის: მამის უფლება მემკვიდრეობით უფროს შვილზე გადადის, უფროსი შვილი იკავებს მამის სამკვიდრებელს. ვინაიდან ისტორიკოსისათვის ამოსავალი არის ბიბლია, — განაგრძობს ზ. ალექსიძე, — ცხადია, სქემაც თარგამოსიდან უნდა დაიწყოს, ხოლო თარგამოსის უფროსი ძე უნდა იყოს ჰაოსი, რომლის ჩამომავლებსაც ლეონტი მროველის ხანაში თავისი ეპონიმის (ჰაოსის) მამის (თარგამოსის) თავდაპირველი სამკვიდრებელი ეკავათ.

რა ენაზე ლაპარაკობდნენ თარგამოსის შვილები? რა თქმა უნდა, თავიანთი მამის ენაზე... ლეონტიმ იცის, რომ თარგამოსის მემკვიდრის, ჰაოსის შთამომავალთა ენა სომხურია, ამიტომ გამოაქვს ერთადერთი დასკვნა: თარგამოსის ენაც სომხური იქნებოდა. ხოლო თუ მამის ენა სომხური იყო, ცხადია, მისი რვავე შვილის და, გარკვეულ დრომდე, მათი შთამომავლების ენაც სომხური იქნებოდა.[1]

„ბიბლიური" და „ისტორიული" ჭეშმარიტების დაკავშირება-შერწყმის საფუძველზე, წარმოდგენილი სქემით, მართლაც ლოგიკურად იხსნება ჰაოსის პირველობისა და სომხური ენის პირველადობის მიზეზები ლეონტის თხზულებაში. მაგრამ ამ შემთხვევაში უპასუხოდ რჩება მეტად მნიშვნელოვანი კითხვა: თავისი ბიბლიური სქემის სათავეში ლეონტიმ რაღა სომეხთა მამამთავრად მიჩნეული თარგამოსი დააყენა, რის გამოც იძულებული შეიქმნა შემდეგ სომეხთა უპირატესობა ემტკიცებინა, თუნდაც, მხოლოდ გარკვეულ დრომდე, და არა სხვა ბიბლიური მამამთავარი, რომელიც სიმართლესთან შეუსაბამო უხერხულ მტკიცებებს აარიდებდა?

ამ საკითხის გარკვევას ილია ანთელავამ სპეციალური ნაშრომი უძღვნა. მისი აზრით, ლეონტისთვის მთავარი იყო ქართლოსი თარგამოსის „სახლში" შეეყვანა და ამ გზით თარგამოსის სახლისა და მისი „უფროსი ვაჟის" ჰაოსის მემკვიდრედ გაეხადა.

[1] ზ. ალექსიძე, „ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა", ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1991, გვ. 79-83.

„ამათ თჳსთა ერთი იყო მამა“. „თჳსობიდან“ გამომდინარე, ჰაოსი იყო მემკვიდრე თარგამოსისა, ხოლო ჰაოსის მემკვიდრედ უნდა განვიხილოთ მისი მომდევნო ძმა — ქართლოსი, ვინაიდან აქ საუბარი შეეხება პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მემკვიდრეობას, ეპონიმიზაციის საშუალებით გადმოცემული „ნათესავებისას“. ლეონტის მიზანი იყო „თარგამოსიანთა“ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მემკვიდრეობის უმტკივნეულო, „თჳსობაზე“ დაფუძნებული დაუფლება, ქართული სახელმწიფოს ინტერესების იდეოლოგიური, ბიბლიის ავტორიტეტით შემაგრება.

ი. ანთელავას აზრით, ლეონტის კონცეფციის გასაგებად საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც ზემოაღნიშნული, ისე „საზეპურო ერის“ თვალსაზრისიც, რომელიც იხსენიება თვით ლეონტის თხზულების ერთ-ერთ ჩანართში და პირდაპირ გვაკავშირებს ბიბლიის ტერმინოლოგიასა და სიუჟეტებთან, სადაც „საზეპურო ერად“ იხსენიება ისრაელი, ანუ იაკობი... იაკობი ანუ ისრაელი, ესავის მომდევნო ძმა იყო; ღმერთს არ უყვარდა ესავი და მისი პირმშოობა მისცა იაკობს, თავის „საზეპურო ერს“. ასე იყო განზრახული მათ გაჩენამდეც: „და ჰრქუა მას უფალმან: ... ერი ერსა წარემატოს და უხუცესი მონებდეს მრწემსა“ (დაბ. 25, 2). ქართველთა „ერად საზეპუროდ“ მიჩნევა და შესაბამისი ბიბლიური პარალელი, — განაგრძობს მსჯელობას ი. ანთელავა, — ჰაოსს ესავის ადგილზე აყენებს. ჰაოსის „ნათესავმაც“, ქალკედონური თვალსაზრისით, დააგდო ჭეშმარიტი გზა, რისთვისაც, ცხადია, იგი უფალმა „მიატოვა“. ნათქვამის საფუძველზე მკვლევარი ასკვნის, რომ სომხური მემკვიდრეობის საკითხი ლეონტი მროველმა „გადაჭრა“ ქართლოსისა და მისი „ნათესავის“ თარგამოსის სახლში შეყვანის გზით. მეორე მხრივ, ქართველთა ნათესავის „საზეპურო ერად“ მიჩნევა, საფუძველს ქმნიდა მისი „უპირატესობისათვის“ უფროს ძმასთან შედარებით, რომელიც „ჭეშმარიტ სარწმუნოებას“ განუდგა და ბიბლიური ესავის მსგავსად „ბილწების გზას“ დაადგა.

თუ საკითხის წარმოდგენილი გაგება სწორია, — შენიშნავს

ი. ანთელავა, — აღარ რჩება ადგილი ლეონტის თხზულებაში და მის ეთნოგენეტიკურ კონცეფციაში „არმენოფილური“ თვალსაზრისის საძიებლად. ნიშანდობლივია, რომ თარგამოსის სახლს მან დაუკავშირა არა მხოლოდ ქართლოსი, არამედ კავკასიის სხვა ეთნარქებიც, რაც ლეონტის (და საქართველოს მმართველი წრეების) პოლიტიკურ პრეტენზიებზე მიგვითითებს. აჯამებს რა კვლევის შედეგებს, იგი მაღალ შეფასებას აძლევს ლეონტის ნააზრევს და მის შინაარსს საბოლოოდ ასე განმარტავს: ლეონტი მროველის კონცეფცია, ფაქტობრივად, აღმავალი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური პროგრამაა, პოლიტიკური „იმპერიალიზმის“ იდეოლოგიაა, გახვეული ბიბლიურ ეთნოგენეტიკურ სქემაში, რომელიც არსებითად მომგებიანი იყო ქართული სახელმწიფოსათვის, ღვთის რჩეული „საზეპურო ერისათვის“.[1]

ლეონტი მროველის თხზულების განხილვისას, როგორც ვხედავთ, ავტორთა უმრავლესობის კრიტიკისა თუ განმარტების ძირითად სამიზნედ აღებულია ე. წ. „არმენოფილური“ ტენდენცია, რაც კონცეფციის მთლიანობაში აღქმას აძნელებს. მეცნიერული პაექრობის ამ მხარეზე ყურადღება გაამახვილა 1966 წ. გამართულ დისკუსიაზე აკად. დავით მუსხელიშვილმა. მისი თქმით, მოხსენება, რომელიც მიზნად ისახავს ლეონტი მროველის ეთნოლოგიური კონცეფციის ინტერპრეტაციას, არსებითად შემოიფარგლა ერთი საკითხით: ჰაოსის უპირატესობის საკითხით. ეს არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც ლეონტის კონცეფციიდან გამომდინარეობს და არ არის არც ძირითადი პრობლემა. როდესაც ისტორიკოსის ამ კონცეფციას ვეხებით მთლიანობაში, უნდა გამოვდიოდეთ ერთი სრულიად ცხადი ამოსავალი წერტილიდან, რომ ეს კონცეფცია შესაძლებელია შექმნილიყო მხოლოდ XI საუკუნეში, როგორც ამ დროს მიმდინარე პოლიტიკური პროცესის იდეოლოგიური დასაბ-

[1] ი ლ ი ა ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XI-XIV საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები, თბ., 1988, გვ. 5-9.

უთება. თუ აქედან გამოვალთ, — განაგრძობს მკვლევარი, — მაშინ ცხადი უნდა იყოს, რომ კრიტიკა იმის მიხედვით, თუ რა წყაროებით სარგებლობდა ისტორიკოსი თავისი კონცეფციის შექმნისას, არ უნდა იყოს სწორი. კიდევ მეტი — ასეთი კრიტიკა მეთოდოლოგიურად დაუშვებელია: რა წყაროებითაც არ უნდა ესარგებლა ლეონტი მროველს თავისი გენეალოგიური სქემის შედგენისას, ეს უკანასკნელი, მთლიანად აღებული, წარმოადგენს მისი აზროვნების ნაყოფს, მის საკუთარ კონცეფციას, რომელიც შეესაბამებოდა მისი თანამედროვე საზოგადოების აზრს ამ საკითხში. რა თქმა უნდა, რაღაც ისტორიული წყაროებით ლეონტი მროველს უნდა ეხელმძღვანელა, მაგრამ ამას მისი კონცეფციის შეფასებისას მთლიანობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეუძლებელია ჰქონდეს. ყოვლად წარმოუდგენელია, ლეონტი მროველს ბრმად ეხელმძღვანელა რომელიმე თავის წყაროს მონაცემებით. ყოვლად შეუძლებელია ამგვარად ავხსნათ დღეს თუნდაც მისი ე. წ. „არმენოფილური ტენდენცია“ და მისი ეს კონცეფცია წარმოვიდგინოთ VII საუკუნის სომეხი ანონიმის გენეალოგიური სქემის კომპილაციად... ცხადია, რომ ლეონტი მროველი თხზულებას წერდა არა თავისთვის, არამედ საკითხავად მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებისათვის, რომელშიც იმ დროისათვის მომწიფებული იყო საკითხი ქართველთა გენეალოგიის გარკვევისა. ასე რომ, ფაქტობრივად, ლეონტი მროველის თხზულება დაწერილი იყო ამ საზოგადოების დაკვეთით, რომელმაც იგი შემდეგ თავის ეროვნულ მატიანედ აქცია და ე. ი. ამდენად, გაიზიარა იქ გატარებული კონცეფცია.

რაც შეეხება ჰაოსის უპირატესობის საკითხს, — შენიშნავს დ. მუსხელიშვილი, — აქ გადამწყვეტი ბიბლიური ტრადიცია უნდა ყოფილიყო. კ. გრიგოლიამ სავსებით მართებულად გადაჭრა „მეფეთა ცხოვრება“-ში სომხური ერის „პრიორიტეტის“ საკითხი და საერთოდ, სწორი გეზი მისცა ამ თხზულების

„არმენოფილური ტენდენციის“ რაობისა და მიზეზების შეფასებას.[1]

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისზე ლეონტი მროველისა და მისი თხზულების შესახებ. ის არა მარტო ფართო სპექტრში განიხილავს ლეონტის ისტორიულ-პოლიტიკურ კონცეფციას, ნათლად წარმოაჩენს მის დადებით მხარეებს შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ინტერესების გასაშუქებლად, არამედ ნაწარმოების შემდგომი გაღრმავებული შესწავლისათვის კვლევის კონკრეტულ გზებსაც გვისახავს, რისი გაკეთებაც მან თავის დროს ვერ მოასწრო.

ლეონტი მროველსა და მის თხზულებაზე ცალკე საგანგებო გამოკვლევა ნ. ბერძენიშვილს არ დაუწერია, თუმცა კი, ასეთი განზრახვა უნდა ჰქონოდა. „ქართლის ცხოვრების“ გარშემო მეცნიერის არქივში დაცული მასალები მოწმობენ, რომ იგი დიდხანს მუშაობდა და ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევის დაწერასაც აპირებდა ამ ძეგლის შესახებ, რაც თავისთავად გულისხმობს „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ ავტორებზე და მათ თხზულებებზე, პირველ რიგში კი, ლეონტი მროველზე გამოკვლევის დაწერას. ლეონტიზე ფიქრი რომ გამუდმებით აწვალებდა და წლების მანძილზე თანმიმდევრულად იკვლევდა მასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს, გვარწმუნებს მეცნიერის არქივში დაცული ერთი ჩანაწერი, სადაც საუბარია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის კონცეფციების ერთმანეთთან დეტალური შედარების საჭიროებაზე.[2] ასევე, საჭიროდ თვლიდა და ახდენდა კიდეც ლეონტისა და სომხური წყაროების ავტორთა შეხედულებათა შედარებას.

ნ. ბერძენიშვილის არქივში დაცული მასალები და „შენიშვნები“, რა თქმა უნდა, არაა ერთგვაროვანი. დასრულებული

[1] „მაცნე“, № 1, 1968, გვ. 330-331.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 555.

წერილების გვერდით არის დაუსრულებლებიც და ნაწილობრივ დამუშავებული საკითხებიც, ზოგი შენიშვნები კი წინასწარი ძიების სახეს ატარებენ.მიუხედავად ამისა, მისი თვალსაზრისი ლეონტი მროველის ისტორიულ კონცეფციაზე სრულიად გამოკვეთილი და თანმიმდევრულია, რომელიც წყაროების დეტალურ ანალიზსა და საკითხის ღრმა მეცნიერულ შესწავლას ემყარება. მისი განსაკუთრებული უნარი, თუნდაც სულ მცირე, ფრაგმენტული ცნობის სიღრმისეულ შრეებში ჩაწვდომისა, საშუალებას აძლევდა მეცნიერს ცალკეული დეტალებისაგან წარსულის ჭეშმარიტად მეცნიერული სურათი აღედგინა, ამიტომ ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი ლეონტი მროველის ისტორიულ კონცეფციაზე იმ სახითაც, როცა თემის ცალკეული მხარეები, თუ დეტალები ბოლომდე დამუშავებული არაა, მაინც მისაღები და გასათვალისწინებელი უნდა იყოს. მათი სრულყოფილი დამუშავება და კვლევის დასრულება რომ დასცლოდა, ეჭვი არაა, მხოლოდ გააძლიერებდა იმ მთავარ ტენდენციას, რაც დიდი მეცნიერის შეხედულებას ახასიათებს დასმულ საკითხზე.

ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, ლეონტის პატრიოტული მოტივი ამოქმედებდა: ქართველი ხალხის კულტურული დადგინების საკითხი სხვა მეზობელ კულტურულ ხალხთა გვერდით.[1] ე. ი. იგივე, რაც მის წინამორბედებსა და მისი დროის დიდ პატრიოტებს აფიქრებდათ. ლეონტის მიზანია, — წერდა ნ. ბერძენიშვილი, — საზოგადოებას წარმოუდგინოს ქართლის — დამოუკიდებელი კულტურულ-პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნის სურათი. სომეხთათვის ასეთი შრომა ბრწყინვალედ შეასრულა ხორენელმა. ლეონტიმ მარჯვედ გამოიყენა ხორენელი და ორიგინალური ისტორია შექმნა. მან არ უარყო ცხადლივ ხორენელის ისტორიული დებულებანი, თუმცა არსებითად შეასწორა ისინი და, რაც მთავარია, დაურთო ორიგინალური თეორია თარგამოსიანთა შესახებ და შემდეგ მთელი ისტორია ამ თარგამოსიანთა ურთიერთობის ფონზე გაშალა, რამაც მას

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 298.

საშუალება მისცა ორიგინალური ისტორიული ცხოვრება წარმოეჩინა. ხორენელი ჩრდილოეთის ხალხებს არ ხედავს, მისი ისტორია ამიერკავკასიის სამხრეთსა და ახლო აღმოსავლეთის ფონზეა გაშლილი. კავკასიის ხალხები აქ ჩრდილშია. ლეონტიმ სინათლე შეიტანა ამ ჩრდილში, ამიერკავკასიის ხალხები ისტორიაში შემოიყვანა ისე, რომ ამ ახალ სამყაროს ცენტრში ქართლი (ეგრის-ჰერეთი) მოათავსა.[1]

ნ. ბერძენიშვილის ეს მსჯელობა ცხადყოფს, რომ ლეონტიმ არა მარტო „მარჯვედ გამოიყენა" ხორენელი, არამედ პრინციპულად დაუპირისპირდა კიდეც. მ. ხორენაცის მტკიცებით, სომხეთი გამორჩეული იყო ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის, რომლის გავლენა მთელ კავკასიაზე ვრცელდებოდა და თვით ქართლიც მას ექვემდებარებოდა.[2] ლეონტი კი ამ მტკიცების სრულიად საპირისპირო სურათს ხატავს, რომლის ცენტრში ქართლი დომინირებს. ლეონტის მიერ მ. ხორენაცის უარყოფის არაერთი შთამბეჭდავი მაგალითი აქვს შენიშნული და კომენტირებული ნ. ბერძენიშვილს თავის წერილებში. იგი წერს: ლეონტი არ აღნიშნავს ხორენელის მტკიცებას მირიანის დამოკიდებულების შესახებ თრდატ-ხოსროვისაგან, არ აღნიშნავს ნინოს დამოკიდებულებას გრიგოლისაგან, ხაზგასმით აღნიშნავს ქართული დამწერლობის შემოღებას ფარნავაზისაგან მესროპ-მაშტოცის საწინააღმდეგოდ, მისი თეორია მოითხოვდა სომხური ენის პირველადობას და ლეონტი ცდილობს ზედმიწევნით უჩვენოს ქართული ენის წარმოშობა, სომხურის დატოვება. ნ. ბერძენიშვილის ფიქრით, ლეონტიმ მის დროს გაბატონებული თეორიის თანახმად (ბიბლია) გამართა ეს ისტორია. არსებობს კავკასიის მსოფლიო, არსებობდნენ ამ მსოფლიოში „ნათესავები". პოლიტიკურად ეს ნათესავები ურთიერთის მოძმენი იყვნენ ისე, რომ ერთ დროს მათ საერთო

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 261.

[2] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბილისი, 1984, გვ. 5, 170, 184, 186, 240.

ენაც კი ჰქონდათ, ყველანი ერთი მამის, თარგამოსიანთა ნათესავნი იყვნენ. შემდეგ ნაგულისხმებია: თითოეული ძმის წილი ქვეყანა ცალკე ნათესავი (ცალკე ეთნიკური ერთეული) შეიქმნა თავისი ენით.[1]

ლეონტი, — განაგრძობს ნ. ბერძენიშვილი, — მთელი შრომის სიგრძეზე ებრძვის ხორენელს, აგათანგელოსს, ასაბუთებს ქართლს... სომხეთის სახელმწიფო წყობილება, ხორენელი რომ ხატავს, — წერს მკვლევარი, — ისეთივეა, რაც ლეონტის მიერ წარმოდგენილი ქართლის სახელმწიფო წყობილება, ფარნავაზის მიერ შემოღებული. ასევე ვახტანგ გორგასლის დროის (თრდატისა და სხვების) მთელ სიგრძეზე... რატომ ამბობს ლეონტი ხაზგასმით, რომ ეს წყობა ფარნავაზმა „მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა" შემოიღო? სომეხთაგან გასამიჯნავად ხომ არა? ხორენელის ტენდენციის უარსაყოფელად („ჩრდილოეთის" ხალხების მიჩქმალვა), ლეონტი სპარსეთიდან ცდილობს გამოვიდეს (როგორც ხორენელის სომხეთი) და სომეხთაგან დამოკიდებულებას გაურბის.[2]

ნ. ბერძენიშვილი შესანიშნავად არკვევს, რომ ლეონტის კრიტიკა მიმართულია არა მხოლოდ ძველი სომხური ისტორიოგრაფიის ერთ რომელიმე, თუნდაც ყველაზე დიდი ავტორიტეტის წინააღმდეგ, არამედ, საერთოდ, კავკასიაში სომხეთის პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონიზმის იდეოლოგთა წინააღმდეგ (მოვსეს ხორენაცი, აგათანგელოსი, მესროპ-მაშტოცი და სხვ.). ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში მკაფიოდ იკვეთება სადავო პრობლემები: — ტერიტორია, ენა, ლიტერატურა, რომელთა გარშემო ლიტერატურული თუ პოლიტიკური დავა საქართველოსა და სომხეთს შორის საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, ლეონტი მროველი სირთულეთა დაძლევას წარმატებით ახერხებს. სომეხთა ტერიტორიული პრეტენზიების საპირისპიროდ, ლეონტი ნათლად და გამოკვეთილად უჩვენებს ქართლის ისტორიულ

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 542.
[2] იქვე, გვ. 379-380.

ტერიტორიას უკვე ფარნავაზის დროიდანვე.[1] მკვლევარი განსაკუთრებული მნიშვნელობისად მიიჩნევს ენის საკითხის ლეონტისეულ გააზრებას, რამდენადაც ენა და ლიტერატურა ფეოდალური საქართველოს უპირველესი საკითხები იყო. ქართული ენით და ქართული დამწერლობით (ქართული ქრისტიანობით) ქართლის კულტურულ ინდივიდუალობას ასაფუძვლებდა სომხეთისა და საბერძნეთის მეზობლობაში. თუ ეს არა, უმოტივოდ გამოიყურება თეორიები ქართული ენისა და დამწერლობის შემოღების შესახებ, — დაასკვნის ნ. ბერძენიშვილი.[2] ისიც საგულისხმოა, რომ ლეონტიმ, ორთოდოქსმა ქრისტიანმა, ქართული მწიგნობრობის გაჩენა დაუკავშირა არა ქრისტიანობის შემოსვლას, როგორც ეს მესროპ-მაშტოცმა მოიმოქმედა, არამედ ქართული ეროვნული კულტურის დიდ ტეხილს — ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას, რითაც სომხურთან შედარებით 7-8 საუკუნით დააძველა ქართული დამწერლობა და ნიადაგი გამოაცალა სომეხთა ცნობილ პრეტენზიებს ქართული დამწერლობის მიმართ. მაშინ გაფორმდა, — წერს ნ. ბერძენიშვილი, — ლეონტის წარმოდგენით, ქართული კულტურული ერთეულის წარმოქმნა (ტერიტორია, ენა, რელიგია, დამწერლობა, პოლიტიკური წყობა).[3]

მ. ხორენაცისა და ლეონტის კონცეფციების შედარება და პარალელური განხილვა, რასაც ნ. ბერძენიშვილი გვთავაზობს, ააშკარავებს მათს, როგორც ფორმალურ, ისე შინაარსობრივ სხვაობას. ეს სხვაობა განსაკუთრებით საგრძნობია იდეოლოგიის სფეროში, სადაც ისინი, თავისი მიზანდასახულობით, მკვეთრად პირისპირდებიან. მ. ხორენაცი კავკასიაში სომხეთის აგრესიის დასაფუძვლებასა და გამართლებას ცდილობს, როცა მისი პოლიტიკური და კულტურული გავლენის უცილობლობას ამტკიცებს, ლეონტი კი კავკასიის ხალხთა ნათესაობასა

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 382.
[2] იქვე, გვ. 380.
[3] იქვე, გვ. 382-382.

და თანამშრომლობის იდეას ქადაგებს, რომელმაც შემდეგში მყარი ნიადაგი შეუმზადა მომავალ დიდ გაერთიანებას.

ნ. ბერძენიშვილის მოსწრებული შენიშვნით, ფრიად დამახასიათებელია, რომ ლეონტის მონათესავეები (იაფეტიდები) XII საუკუნის მიწურულისათვის თითქმის ყველა საქართველოში შემოდიოდა. ლეონტი იდეოლოგიური მებრძოლი იყო საქართველოს პოლიტიკური აგრესიისათვის[1] და ამ მხრივ ქართველი და სომეხი მემატიანე ერთმანეთისაგან არც განსხვავდებოდნენ. ალბათ ამ მომენტსაც გულისხმობდა ნ. ბერძენიშვილი, როდესაც ლეონტის „ქართველ ხორენელად" წარმოიდგენდა. და მაინც, იდეოლოგიურ ბრძოლაში ქართველი პოლიტიკოსი-მემატიანის უპირატესობა არსებულ ვითარებაში სრულიად აშკარა იყო. თუ ლეონტის კონცეფციას რეალური პოლიტიკური სიტუაცია უმაგრებდა ნიადაგს და დროის მოთხოვნებს ესადაგებოდა (სელჩუკიანი თურქების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობა, კავკასიის სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაში გამაერთიანებელი ტენდენციის მომძლავრება და სხვა), სომეხ მოღვაწეთა ერთი ნაწილის მიერ მ. ხორენაცის კონცეფციის რეანიმაცია იმ დროს, როცა სომხური სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ნამსხვრევებიც ქრებოდნენ, უბრალოდ ანაქრონიზმად გამოიყურებოდა. ამიტომ, ლეონტის კონცეფციაში მ. ხორენაცის უარყოფითი გავლენის რაღაც ნიშნების ძიება და მათი მნიშვნელობის, მით უფრო, გაზვიადებული წარმოდგენა, ალბათ, არ უნდა იყოს გამართლებული.

ნ. ბერძენიშვილი წერს: ეს დიდი მნიშვნელობის საკითხი (კავკასიის ხალხთა მონათესავეობისა) მთელი სიღრმით უნდა დაისვას: სად, როდის, როგორ და რატომ შემუშავდა ლეონტის ეს თეორია, როგორ და რა ნიადაგზე მოიხაზა XI საუკუნის ქართველი პოლიტიკური მოაზროვნის ცნობიერებაში ეს ერთეული – დიდი ქვეყანა; სად და როდის ჩაისახა ასეთი იდეა, სად და როდის მიიღო ასეთი დასრულებული სახე? მართლაცდა

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 93.

ხომ ვერ ვიფიქრებთ, რომ ასეთი მოხაზვის საკმაო საფუძველი ჩამომავლობითი მონათესავეობის შესახებ „ცოდნა“ იყო, წერილობითი თუ ზეპირგადმოცემის სახით არსებული? რა რეალურ-ისტორიული საფუძველი მოეძებნება ასეთი კონცეფციის შექმნას? ხომ არის ეს მოვლენა იმის ღრმა და ნიშანდობლივი მოწმობა, რომ კავკასიაში ამ დროს, ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ხანაში, მიმდინარეობდა ისეთი პროცესი, რომელიც ხელს უწყობდა (იწვევდა) ასეთი მონათესავეობის კონცეფციის შემუშავებას, თუ აქამდე შემონახული ზეპირგადმოცემის გამართვას... მინდა ვთქვა, — განმარტავს ნ. ბერძენიშვილი, — რომ ლეონტი მროველისეული კავკასიის ხალხთა მონათესავეობის თეორია იკვებებოდა კავკასიის ფეოდალური საზოგადოებრივი ცხოვრების იმავე წყაროებით, რომელთაც საფუძველი შეუქმნეს ვეფხისტყაოსნის კულტურას, რომ ლეონტი მროველის მონათესავეობა და ვეფხისტყაოსნის ძმადნაფიცობა ერთი და იმავე წყაროთი მორწყული ფეოდალური სამყაროს ნაყოფია.[1]

ამრიგად, ნ. ბერძენიშვილი ლეონტის თავისი ეპოქის ღირსეულ მოღვაწედ წარმოგვიდგენს, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი დროის მოთხოვნას. იგი წერს: ლეონტი თავისი საუკუნის შვილია... ლეონტი წერს ისტორიას და ასაფუძვლებს ქართველი ერის არსებობას უკვე ფარნავაზის დროიდანვე (ენა, დამწერლობა, საზღვრები)... ლეონტიმ ისტორიულად დაასაფუძვლა ის, რაც მის ეპოქას ახასიათებდა, აფიქრებდა, აზრუნებდა: ქართველი ერის (ფეოდალურის) წარმოქმნა. მისი მწყობრი თეორია ქართველთა წარმოშობისა, მისი კულტურული ჩამოყალიბების შესახებ სახელმძღვანელო და ურყევი იყო მთელ შუა საუკუნეთა სიგრძეზე.[2] ქართული ისტორიული აზრი ფეოდალური ურთიერთობის მთელ სიგრძეზე იზიარებდა, აგრეთვე, კავკასიის ხალხთა მონათესავეობის ლეონტი მროველის ისტორიულ კონცეფციას, რომელიც ნ. ბერძენიშვილის აზ-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 555-557.

[2] იქვე, გვ. 379-381.

რით, ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და საერთო პოლიტიკური თავგადასავლის საფუძველზე უპირატესად უნდა შემუშავებულიყო. ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია — ესაა პოლიტიკური მოწოდება კავკასიის ხალხებისადმი თანამშრომლობისათვის, საერთო ძალით საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის,[1] — იდეოლოგია, რომელიც კავკასიისათვის, ალბათ, სამარადისო მნიშვნელობისად დარჩება.

ნათქვამიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია ლეონტის პიროვნების ნ. ბერძენიშვილისეული შეფასება: დიდი მოღვაწე, დიდი მეცნიერი, დიდი პოლიტიკური მოაზროვნე.[2]

1966 წ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში გამართული დისკუსიის დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული ნ. ბერძენიშვილის საარქივო მასალები, რის გამოც დიდი მეცნიერის თვალსაზრისი ლეონტის კონცეფციაზე სრული სახით მეცნიერთა ფართო წრისათვის ისევ უცნობი რჩებოდა. ამან თავისი კვალი დაამჩნია ძირითად მოხსენებასაც, რომელიც უმთავრესად ნ. ბერძენიშვილის მისთვის ცნობილ დებულებებს ემყარებოდა. ძირითადმა მომხსენებელმა პ. რატიანმა თეორიული მსჯელობა, ამასთან, კონკრეტული ისტორიული მასალის ანალიზის გარეშე წარმართა, რამაც დისკუსიის მონაწილეთა საგრძნობ ნაწილს საბაბი მისცა არ გაეზიარებინა მომხსენებლის ბევრი აშკარად სწორი დებულება, მათ შორის მთავარიც, რომლის მიხედვით, ლეონტი მროველმა შეასრულა ეპოქის დაკვეთა: ისტორიულ მოვლენათა გაშუქება მან თანამედროვეობის ინტერესებს შეუფარდა, წარსული აწმყოს დაუმორჩილა და შექმნა მწყობრი ისტორიულო კონცეფცია, რომელიც შვიდი საუკუნის მანძილზე ითვლებოდა ქართული ისტორიოგრაფიის სახელმძღვანელო პროგრამად.[3]

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 318-330.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 380, 557.

[3] „მაცნე", № 1, 1968, გვ. 317-335.

სამეცნიერო დისკუსიებზე, პერიოდული გამოცემების ფურცლებზე თუ ცალკეული სამეცნიერო პუბლიკაციებით ლეონტი მროველის ეთნოგენეტიკური, ისტორიულ-პოლიტიკური კონცეფციის კრიტიკულმა განხილვამ, ლეონტის მიმართ ავტორთა პოზიციებისაგან დამოუკიდებლივ, საკმაოდ წინ წასწიეს „ლეონტის საკითხის“ გარკვევის საქმე. როგორც ვხედავთ, გამოვლენილია და გაშუქებული მასთან დაკავშირებული მთელი რიგი „დიდი სიძნელის“ საკითხი. ბევრ მათგანს, ალბათ, ჯერ კიდევ აკლია დამაჯერებლობა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ისინი კარგ პერსპექტივებს ქმნიან მომავალი გაღრმავებული კვლევისათვის.

ლეონტი მროველი თხზულების დასაწყისშივე ისეთი კატეგორიულობით აცხადებს: „პირველად ვაჴსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს“,[1] რომ თითქოს მისი თანამედროვე საზოგადოებისათვის კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობა უდავო ჭეშმარიტება ყოფილიყო და არავითარ განმარტებას ან წყაროზე მითითებას არ საჭიროებდა. ნაშრომის შედგენისას ჩვენი ავტორი საისტორიო წყაროებით საკმაოდ ფართოდ სარგებლობდა და ტექსტის გადმოცემისას ამის შესახებ არაერთგზის აღნიშნავს კიდეც. კონკრეტულად ასახელებს „ბერძენთა წიგნს“, „მოქცევა ბერძენთას“, „სპარსელთა ცხოვრებას“, „სომეხთა ცხოვრებას“ და ა. შ. გასაგებია, რომ ხშირად სარგებლობს ქართული წყაროებით და ბიბლიითაც, მაგრამ კავკასიის ხალხთა წარმომავლობის ის სქემა, რომელსაც ლეონტი გვთავაზობს, არც ერთ მათგანში არ მოიპოვება. ბერძნულ-ლათინური თუ სომხურ-ქრისტიანული მწერლობა თოგარმას, ანუ თარგამოსს მხოლოდ სომეხთა წინაპრად მიიჩნევს (მკითხველი საზოგადოების შეცდომაში შეყვანის სურვილს ლეონტი მროველს, რა თქმა უნდა, ვერ დავაბრალებთ) და მიუხედავად ამისა, თუ ჩვენი ისტორიკოსი კავკასიელთა წარმომავლობას მაინც თარგამოსს უკავშირებდა, ჩანს, საამისოდ მას სერიოზული საფუძველიც უნდა ჰქონოდა. ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ცნობიერება კავკასიაში იმ დროს, რამდენადმე მაინც, მზად უნდა ყოფილიყო ამგვარი იდეის მისაღებად. თუ ეს ვარაუდი დასაშვებია, შუა საუკუნეების კავკასიური საზოგადოების ამგვარი მზაობის მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ჩვენთვის

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 3.

უცნობი ზეპირი გადმოცემები, ანდა საკუთარი წარსულის შესახებ მეხსიერებას შერჩენილი, თუნდაც, ბუნდოვანი ცოდნა. ერთი კია, თანამედროვე კავკასიოლოგია არ გამორიცხავს კავკასიის ხალხების საერთო წარმომავლობის იდეას.

მეცნიერ-არქეოლოგთა დაკვირვებით, კავკასიაში ადრევე ისახება ადამიანთა საზოგადოება და კულტურის განვითარებაში არ შეინიშნება მკვეთრი ცვლილებები. ამდენად, ეს ის რეგიონი შეიძლება იყოს, სადაც უნდა ჩამოყალიბებულიყო კავკასიური ეთნიკური და კულტურული ერთობა. ამჟამად დადგენილია, რომ ეს ტერიტორია ადრეული ხანიდან უკვე ფართოდაა ათვისებული უძველესი ადამიანის მიერ და კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე წარმოქმნილი საზოგადოება შემდეგში უწყვეტად განაგრძობს აქ არსებობას.[1] უძველესი ადამიანის განვითარების უწყვეტი პროცესი კი ერთობ შთამბეჭდავი არგუმენტი უნდა იყოს ძველი და შემდეგდროინდელი კავკასიელთა გენეტიკური კავშირის წარმოსაჩენად. აკად. ო. ჯაფარიძის აზრით, ზედა პალეოლითის დროს უნდა დაწყებულიყო კავკასიის კულტურული და ეთნიკური ერთობის წარმოქმნის პროცესი და რამდენადაც კავკასიაში ამ დროს ერთიანი კულტურა ჩანს, არ არის გამორიცხული, რომ იმთავითვე აქ ერთი მოდგმის ტომები ბინადრობდნენ. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კავკასიაში ზედა პალეოლითში მოსახლე ტომები, კავკასიური ენობრივი ერთობის მატარებლებიც იყვნენ.[2]

მსგავსი შედეგებით აღინიშნება ანთროპოლოგთა გამოკვლევებიც. პროფ. მ. აბდუშელიშვილის აზრით, ანთროპოლოგიური მონაცემები კავკასიის უძველესი მოსახლეობის ერთიანობის და ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ მეტყველებს. კავკასიის მოსახლეობის თანამედროვე ძირითადი ანთროპო-

[1] ო თ ა რ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბილისი, 1976, გვ. 10-11.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 34-35.

ლოგიური ტიპები ადგილობრივ უნდა წარმოქმნილიყვნენ.[1] მისივე დასკვნით, კავკასიის თანამედროვე ეთნიკური ჯგუფები შთამომავალნი არიან იმ მოსახლეობისა, რომელიც უხსოვარი დროიდან კავკასიის ტერიტორიაზე ბინადრობდა.[2]

კავკასიის მოსახლეობის ეთნოგენეზისის პრობლემების კვლევისას განსაკუთრებულია ენათმეცნიერების როლი. მაგრამ ძიებას ისეთ შორეულ ეპოქაში გადავყავართ, რომელსაც ენობრივი მონაცემები ჯერ კიდევ ვერ წვდება. ამიტომ, ლინგვისტური სიტუაციის შეფასებისას, განსხვავებული თვალსაზრისები გაცილებით ინტენსიურად იჩენენ თავს. როდესაც ივ. ჯავახიშვილი კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის საკითხების შესწავლას შეუდგა, ენობრივი მასალის ანალიზმა ის დაარწმუნა, რომ კავკასიური ტომები მონათესავენი არიან და მათ თავდაპირველად ერთი საერთო ენაც კი უნდა ჰქონოდათ. მაგრამ, მისივე თქმით, დროს იმდენად დიდი და ფართო ცვლილებები შეუტანია, რომ ენათა დამოუკიდებელ, გარეგნულად უცხო ჯგუფებად უქცევიაო.[3] ამიტომ, განაგრძობს დიდი მეცნიერი, კავკასიური ენების ნათესაობის აზრი უფრო რწმენას მიაგავს, ვიდრე სამეცნიერო ჰიპოთეზასო.[4] ამჟამად, კავკასიურ ენათა გენეტიკური ერთიანობის საკითხი ფართოდაა გავრცელებული ენათმეცნიერთა შორის. იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითადი დებულების მიხედვით, ნათესაური თვისება ამ ენებში პირველეული, ნაირგვარობა კი მეორეული მოვლენაა. თუმცა ზოგი, პირიქით, მათ თანამედროვე მსგავსებას თვლის მეორეულად. მიჩნეულია, რომ კავკასიურ ენათა ერთმანეთთან დამოკიდებულების დად-

[1] М. Г. Абдушелишвили, Антропология древнего и современного населения Грузии; Тбилиси, 1964, с. 90; მისივე, ქართველი ხალხის ანთროპოლოგიური გენეზისი, მნათობი, 7, თბილისი, 1969, გვ. 175.

[2] М. Г. Абдушелишвили, Генезис горнокавказских групп в свете данных антропологии, Орджоникидзе, 1967, с. 139.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937, გვ. 622.

[4] იქვე, გვ. 91.

გენა, ჯერჯერობით, ძირითადად სტრუქტურულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით ხერხდება, მაგრამ მის მნიშვნელობაზე ერთიანი აზრი მაინც არ არსებობს. ზოგისთვის ის კავკასიურ ენათა გენეტურ ნათესაობას არ ნიშნავს, ზოგი შესაძლებლად მიიჩნევს გენეტურ კავშირს, მხოლოდ ძალიან ადრეული ხანისათვის და ა. შ.[1]

ერთი მაინც ცხადია: სადღეისოდ არსებული მასალები კავკასიის უძველესი მოსახლეობის ერთიანობასა და ადგილობრივ წარმომავლობას უჭერს მხარს. ამ მეცნიერულ დასკვნასთან კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობაზე ლეონტი მროველის კონცეფცია საოცარ თანხმობაშია, რომელმაც ძველი ქართული მატიანის „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ საპირისპიროდ ქართველი ხალხი სხვა კავკასიელებთან ერთად კავკასიის ავტოქთონებად წარმოგვიდგინა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ზედა პალეოლითში არსებული კავკასიის კულტურული და ეთნიკური ერთობა, რომელიც იმავე ეპოქის დასასრულს იშლება, შუა საუკუნეების მახსოვრობას შერჩენოდა და ის ლეონტის კონცეფციას დასდებოდა საფუძვლად. კავკასიის ხალხებში საერთო წარმომავლობისა და ერთიანობის შეგნება, რაზეც დარწმუნებით ყურადღებას ამახვილებს ლეონტი მროველი („პირველად ვახსენოთ“, ანუ უწინარეს მოვიგონოთ, გავიხსენოთ, რომ „ამათ თჳსთა ერთი იყო მამა“), უპირატესად ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და მრავალმხრივი სამეზობლო ურთიერთობის (სამეურნეო-ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური, კულტურული და სხვ.) პირობებში უნდა შემუშავებულიყო, რომელსაც, ალბათ, ქვეცნობიერად ოდინდელი უშორესი ერთიანობიდან მომდინარე იმპულსებიც ემატებოდა. ჟამთა მსვლელობისას, თჳსობის, ანუ ნათესაობის ეს შეგნება, ხან მინავლდებოდა, ხან კი, განსაკუთრებით საერთო გარე მტრის წინააღმდეგ ბრძოლისას ისევ ცოცხლდებოდა და, შესაძლოა,

[1] კავკასიური ენების ნათესაობაზე ენათმეცნიერთა თვალსაზრისები ვრცლად გადმოცემულია ოთარ ჯაფარიძის ხსენებულ ნაშრომში, იხ. გვ. 254-295 და სხვ.

კავკასიის მიმართ საერთო სახლის განცდასაც ბადებდა. ასე რომ, თავისი კონცეფციისათვის შესაფერისი ნიადაგი კავკასიის საზოგადოებაში ლეონტის, ჩანს, იმთავითვე ეგულებოდა. მისი მიზანი, ცხადია, ერთიანობის შეგნების გამოცოცხლება, გააქტიურება და ეპოქისა და ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მისი წარმართვა უნდა ყოფილიყო.

„თჳსობის" (თჳსი — ნათესავი, მახლობელი)[1] მაორგანიზებელი ბუნება განსაკუთრებით კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც ამ ფენომენის გააქტიურებას საჭირო შემთხვევებში მოყვრული კავშირების შექმნითა და მათზე დაყრდნობით ცდილობდნენ. პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის ამგვარ ხერხს კავკასიაში უძველესი დროიდან საუკუნეების მანძილზე მიმართავდნენ და ხშირად წარმატებითაც. „ქართლის ცხოვრებაში" ასეთი ხასიათის მრავალი ფაქტია დაფიქსირებული. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ქართლის პირველი მეფე ფარნავაზი ცოლად ირთავს დურძუკელთა ქალს, ხოლო თავის დას ცოლად აძლევს ოვსთა მეფეს.[2] ფარნავაზის ვაჟი, ქართლის მეორე მეფე საურმაგი კი ამ „თჳსთა" დახმარებით ახერხებს მის წინააღმდეგ ამხედრებული ქართველი ერისთავების დამორჩილებას. მემატიანე წერს: „საურმაგ... მივიდა ქუეყანასა დურძუკეთასა დედის ძმათა მისთა თანა.[3] მაშინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა, და ითხოვა შეწევნა. ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შუელად მისა, და საურმაგ შეიკრიბა დურძუკეთიცა... და ვერვინ წინააღუდგა მას".[4] ქართლის მომდევნო მეფე მირვანი კი სომეხთა მეფეს დაუმოყვრდა, მისცა რა თავისი ასული სომეხთა მეფის ძეს არშაკს.[5] იგივე მემატიანე გადმოგვცემს

[1] ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 184.

[2] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 24-25.

[3] იქვე, გვ. 26.

[4] იქვე, გვ. 27.

[5] იქვე, გვ. 28.

პირველი ქრიტიანი ქართველი და სომეხი მეფეების მირიანისა და თრდატის შვილთა დაქორწინების ამბავს, რაც ამ ორ სამეფო სახლს შორის მშვიდობას უზრუნველყოფს.[1] ჯუანშერის მტკიცებით, ვახტანგ გორგასალი მოყვრობითა და ნათესაობით ყოფილა დაკავშირებული სომხების სამეფო სახლის წევრებთან და უმაღლესი არისტოკრატიის ერთ ნაწილთან.[2] ეს კავშირები კიდევ უფრო ფართოვდება საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის დამკვიდრებასთან ერთად და „თჯსობის ქსელი თითქმის მთელ კავკასიას სწვდება. ასეთ ფონზე ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობაზე არა მარტო სარწმუნო, არამედ ამ ურთიერთობათა შემდგომი განვითარების იდეოლოგიური საფუძველიც ხდება და კავკასიურ საზოგადოებაში ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობ საშუალებადაც გვევლინება.

კავკასიის ქვეყნების გაერთიანების სურვილს ადგილობრივი ხელისუფლები ადრიდანვე ამჟღავნებდნენ, მაგრამ მათი ცდები რეალურად საკუთარ სამფლობელოთა საზღვრების გაფართოების იქით ვეღარ გრძელდებოდა. შედარებით წარმატებული შემთხვევები, მაგალითად, როცა I საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართველი ხელისუფლები მთელი სომხეთის შემოსაერთებლად იბრძოდნენ და ერთხანს საქართველოდან წარგზავნილი უფლისწულები მართავდნენ სომხეთს, ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა. ასევე ვახტანგ გორგასალიც, თითქოს, აპირებდა კავკასიის გაერთიანებას, მაგრამ ყველა ამ და სხვა შემთხვევებშიც კავკასიის დაუფლებისათვის დიდ მეტოქეთა (აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერიები) მიერ შექმნილი წინააღმდეგობების დაძლევისათვის საჭირო რესურსები ადგილობრივ სამხედრო-პოლიტიკურ ძალებს არ ყოფნიდათ და მთელ თავის ძალისხმევას, ძირითადად, მათთვის ხელსაყრელ საერთაშორისო ძალთა განლაგებაზე ამყარებდნენ, რასაც ყოველთვის დროებითი ხასიათი ჰქონდა.

[1] ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973, გვ. 70.

[2] იქვე, გვ. 169.

კავკასიის ქვეყნების რამდენადმე მყარი გაერთიანება შესაძლებელი იქნებოდა საზოგადოებრივი განვითარების ისეთი ხარისხის მიღწევისას, როცა ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება თავის დინებაში მეტ-ნაკლები სისრულით ჩაითრევდა კავკასიის ყველა ნაწილს. ასეთი შესაძლებლობა კი სახალიფოს დაშლისა და კავკასიაში არაბთა ბატონობის დასუსტების დროიდან იწყება, რაც თავის მხრივ, ადგილობრივი ფეოდალური ძალების მომაგრება-აღორძინებასა და არაბთა მორჩილებიდან თანდათანობითი გამოსვლის პროცესის განვითარებას უწყობდა ხელს. IX საუკუნის შუა წლებიდან იწყება საქართველოს განთავისუფლება არაბთა პოლიტიკური მორჩილებიდან, რასაც თან სდევს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობა, ახალი ქალაქების წარმოქმნა, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის შემდგომი განვითარება, საბატონო-სასაკუთრო მეურნეობის გამრავლება, გზების მშენებლობა, კულტურის აღორძინება, ქართული ენის ავტორიტეტის შემდგომი ამაღლება. XI საუკუნეში ეთნიკურ-პოლიტიკური შინაარსის „ქართლს" სცვლის ტერმინი „საქართველო", რომელიც გაფართოების უსაზღვრო შესაძლებლობას შეიცავდა. როგორც ნ. ბერძენიშვილი განმარტავდა, „საქართველოა" ყველგან, სადაც „ქართველი" ჩნდება, ხოლო ქართველი არის ყველა ის, ვინც ქალკედონიტია (კავკასიაში თუ მის მეზობლად) და ვინც საეკლესიო მსახურებას ქართულ ენაზე ისმენს.[1] ამ ხანის (X-XI სს.) კავკასიის განვითარებისათვის ნ. ბერძენიშვილს ნიშანდობლივად მიაჩნია ცალკეული ფეოდალური ერთეულების დაუცხრომელი სწრაფვა გამსხვილებისაკენ. მისი აზრით, ორი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა ეს პროცესი. სულ უფრო და უფრო ცხადად ჩანდა იმის ნიშნები, რომ ეს პროცესი გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა და ამიერკავკასიის უდიდესი ნაწილი ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში მოექცეოდა. ეს იყო

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 5, თბილისი, 1971, გვ. 155-156.

ყოვლად პროგრესული მოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობდა, საფუძველს შეუქმნიდა ამიერკავკასიის ფეოდალური საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას.[1]

ასე რომ, ლეონტი მროველის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისათვის ფეოდალური საქართველო თავისი განვითარების მაღალ საფეხურზე უკვე იყო შემდგარი. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების განვლილი ორსაუკუნოვანი პერიოდი ცხადად მოწმობდა, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა, კარგა ხანი იყო, მთელი კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში გადაზრდილიყო. საქართველოს ისტორიის კონკრეტული ფაქტები ამ მხრივ, ერთობ შთამბეჭდავია. ქართველი ხელისუფლები აქტიურად მონაწილეობენ ამიერკავკასიის მეფე-მთავართა შორის ბრძოლაში პირველობის მოსაპოვებლად და ცდილობენ საერთო კავკასიური მნიშვნელობის სტრატეგიულ პოზიციებზე დამაგრებას, რითაც, ჩანს, სურდათ მთელი კავკასიის მომავალი გაერთიანებისათვის საჭირო სამხედრო-პოლიტიკური ნიადაგის შემზადება. ასეთი მცდელობის ერთ-ერთ ადრინდელ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ აშოტ დიდი კურაპალატის მიერ არაბთა მფლობელობის პირობებში თბილისისა და ბარდავის დაუფლება. მემატიანე გვაუწყებს: „აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა რომელ არს გარემოსა მისსა".[2] უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პოზიციების – თბილისისა და ბარდავის დაკავება, გასაგებია, მის მფლობელს შესაძლებლობას აძლევდა ზეგავლენა მოეხდინა კავკასიაში პოლიტიკური სიტუაციის ფორმირებაზე, რის გამოც, ჩანს ქართული და სომხური წყაროები აშოტ დიდს (786-826) საერთო საამიერკავკასიო მასშტაბის მოღვაწედ წარმოგვიდგენენ. ვარდანის მოწმობით, აშოტ დიდი, თურმე, სომხ-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 5, გვ. 157.
[2] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 376.

ეთშიც ცდილობდა არაბთა მფლობელობის შეზღუდვას. როცა ჯამასპმა, არაბული ტომის სულაიმის ცნობილმა წარმომადგენელმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა სომხეთის ცენტრალურ რაიონებზე შირაკსა და არშარუნიქზე, ძალით დაიკავა დვინი და იქ თავის ვაჟთან აბდალაჰთან (აბდ ალ მალიქი) ერთად დასახლდა, აშოტ დიდს ბიზანტიის იმპერატორისთვის უთხოვია დახმარება სომხებისათვის.[1]

მოქმედების ამგვარი ფართო დიაპაზონი, ჩანს მნიშვნელოვანწილად ემყარებოდა ბიზანტიის აქტიურ მხარდაჭერას, რომელიც ზურგში ედგა ყველა ანტიარაბულ ძალას და ღიად თუ ფარულად ცდილობდა ამ ძალების გაზრდა-გაფართოებას და მათი ერთიანი ფრონტით დარაზმვას. ბერძენთა ერთმორწმუნე ქართული სახელმწიფო, თავის მხრივ იმპერიის საიმედო დასაყრდენი უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიაში, რამდენადაც ის ამ რეგიონში მკვეთრად უპირისპირდებოდა ქრისტიანობის მონოფიზიტურ მიმართულებას და ობიექტურად „ბერძნული" კულტურულ-იდეოლოგიური გეზის გამტარებელი გამოდიოდა. თუნდაც ამიტომ, ქართველ ხელისუფალთა პოლიტიკური აქციები არ შეიძლებოდა ვიწრო, ლოკალური ამოცანებით შეზღუდულიყო.

არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორად მოჩანს აშოტის უმცროსი ვაჟი გუარამ მამფალიც, რომელიც ცვალებადი წარმატებით აღწევდა არაბთა მფლობელობის შეზღუდვას კავკასიაში. მემატიანის მოწმობით, „გუარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი, და არტანი. და ჰბრძოდა სარკინოზთა: ზოგჯერ სძლის გუარამ და ზოგჯერ სარკინოზთა".[2] უფრო მეტიც, მან თურმე თბილისში გაამირებული გაბუნლოცის დატყვევებაც შეძლო, რომლის გააქტიურება გუარამის პოლიტიკურ ამოცანებს ეწინააღმდეგებოდა. იმავე მემატიანის მოწმობით, „გუარამ... შეიპყრა გაბუნლოც და წარსცა საბერძნე-

[1] ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, 2002, გვ. 103.

[2] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 257.

თად: რამეთუ განდიდებულ იყო გაბულოც და დაემორჩილნეს გარდაბანელნი".[1] არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში გუარამი არა მარტო ბიზანტიის ხელისუფლების მხარდაჭერით სარგებლობდა, არამედ, როგორც ქართველი მემატიანე გვამცნობს, მთიულეთში მოლაშქრე ბუღა თურქის წინააღმდეგ სომეხთა მთავრის აბულაბაზის ჩაბმაც მოუხერხებია, რომელიც მას სიმამრად ერგებოდა. საგულისხმოა, რომ ქართველი და სომეხი დინასტიების ტრადიციული მოყვრული ურთიერთობანი განსაკუთრებით ფართო ხასიათს იღებენ კავკასიის გაერთიანებისათვის დაწყებული მოძრაობის ამ ხანაში. პოლიტიკურ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად ესეც ერთ-ერთი საშუალება უნდა ყოფილიყო. აშკარაა, სახალიფოს დაშლა-დასუსტების გაღრმავებული პროცესი და ძალამოცემული ბიზანტიის გააქტიურება ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კავკასიაში ქართველ ხელისუფალთა ანტიარაბული მოძრაობის ავანგარდში მოსაქცევად, რასაც თავის მხრივ გზა უნდა გაეხსნა მათთვის ამ ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის სათავეში ჩასადგომადაც.

არანაკლები მონდომებით იბრძოდნენ კავკასიაში ჰეგემონობისათვის სომეხი ხელისუფლებიც, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთა IX საუკუნის 80-ანი წლების მეორე ნახევარში, როცა ბაგრატუნთა დინასტიის მმართველმა შტომ სახალიფოს დახმარებითა და ბიზანტიის მხარდაჭერით შეძლო სომხეთის სამეფო გვირგვინის მოპოვება. სომხური წყაროების ცნობით, ბაგრატუნი მეფეების სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებები პრაქტიკულად მიმართული იყო იმავე სტრატეგიული პოზიციების დასაკავებლად, საითკენაც ისწრაფვოდნენ ჯერ არაბები, ხოლო შემდეგ მათ წინააღმდეგ მებრძოლი ბაგრატიონები. ესაა ამიერკავკასიის ცენტრი, შიდა და ქვემო ქართლი თბილისითურთ და ალბანური ტერიტორიები ბარდავითურთ, რომელთა მფლობელობის გარეშეც კავკასიის

[1] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 256.

უმთავრეს უღელტეხილებზე კონტროლის დაწესება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. ჩანს, ამიტომაც სომხურ ცნობებში მკაფიოდ იკვეთება განსაკუთრებული ინტერესი თბილისის, ბარდავის და ალანთა კარის მიმართ. ფსევდო შაპუჰ ბაგრატუნის მიხედვით, სმბატ აშოტის ძე „დაეუფლა მთელ სომხეთს და დაიპყრო ვირქი (ე. ი. ქართლი) და აღვანქი (ანუ ალბანეთი) ქართველთა ველი და ქალაქი პარტავი, დაიქვემდებარა· მან ფაიტაკარანი ანუ ტპხისი" (ე. ი. თბილისი).[1] იოანე დრასხანაკერტცის მიხედვით კი აშოტმა „ხელი აღმართა ჩრდილოეთის მხარეზე დიდი მთის კავკასიის ხეობებზე, მის ჭალებსა და გრძელწიაღოვან ხევებში მცხოვრები ტომები დაიმორჩილა. ასევე დაიქვემდებარა მან გუგარეთის ნარევი მოსახლეობა და უტის გავარის ავაზაკობის მიმდევარი ხალხი".[2] მსგავს ცნობებს იძლევიან ვარდანი, ასოღიკი და სხვები.

ყურადღებას იპყრობს საინტერესო ტენდენცია: თბილისი, ბარდავი და ალანთა კარი ერთნაირად წარმოადგენდა სტრატეგიული ინტერესის საგანს, როგორც ქართველი და სომეხი ხელისუფლების, ისე არაბთა სახალიფოსა და მისი წარმომადგენელი საამიროებისათვის. ამასთან, რამდენადაც მეფობის აღდგენის შემდეგაც სომხეთი სახალიფოს ვასალურ ქვეყნად რჩებოდა, საერთაშორისო ურთიერთობათა თვალსაზრისით, კავკასიისათვის კვლავაც სახალიფო და ბიზანტია ებრძოდნენ ერთმანეთს თავისი პროტეჟე ქვეყნების საშუალებით. ქართველ და სომეხ მეფე-მთავრებს, რა თქმა უნდა, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესები ამოძრავებდათ და იქით ცდილობდნენ თავის ზურგს უკან მდგომი დიდი სახელმწიფოების ძალების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. ამიტომაც, კავკასიის სტრატეგიული პოზიციების დასაკავებლად გაჩაღებულ

[1] История анонимного повествователя псевдо Шапух-Багратуни, перевод с древнеармянского, предисловие и коментарии М. О. Дарбинян-Меликян, Ереван, 1971, с. 159.

[2] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, ე. ცაგარეიშვილის გამოც., თბ., 1965, გვ. 38.

ბრძოლაში სხვადასხვა შერეული ჯგუფები იქმნებოდა, სადაც მთავარი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალებიც კი (ქართველი და სომეხი მეფე-მთავრები), ზოგჯერ ერთ მებრძოლ ბანაკში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე.

IX-X საუკუნეთა მიჯნაზე სომეხთა პოზიცია ამ ბრძოლაში, გარეგნულად მაინც, თითქოს უმჯობესი ჩანდა. სომეხთა მეფეს ერთგვარად გამორჩეული მდგომარეობა ეკავა „არმინიაში“ და ხალიფების მხარდაჭერის პერსპექტივა გააჩნდა, განსაკუთრებით, სახალიფოს ცენტრსა და მის პროვინციებს შორის წარმოშობილი კონფლიქტების დროს, რაც სომეხ ხელისუფლებს ამიერკავკასიაში არაბული მფლობელობის სივრცის გაყოლებით თავისუფალი მოქმედების მეტ საშუალებას აძლევდა. გუგარეთი (სომხური წყაროების „გუგარქი“), ანუ ქვემო ქართლი, თბილისი და ალბანური მიწები ბარდავითურთ, ჯერ კიდევ არაბული მფლობელობის სივრცეში განიხილებოდა და „არმინიაში“ მათი შემომტკიცებისათვის სომეხი მეფეების მცდელობანი, იმავდროულად, სახალიფოს ინტერესების დაცვად გამოიყურებოდა, მით უფრო, რომ ამ პოზიციებზე დამაგრება სახალიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის — კავკასიის საუღელტეხილო გზებზე კონტროლის დაწესების წინა პირობა იყო. ასეთ სიტუაციაში სახალიფოსა და მისი წარმომადგენლების, თუნდაც ფორმალური თანადგომა აომეხ მეფეებს უზრუნველყოფილი ჰქონდათ. სწორედ ეს პოლიტიკური ფონი და ფეოდალური ზედაფენის ჰეგემონისტური მისწრაფებები, ვფიქრობ, აძლევდა საფუძველს თანადროულ სომხურ ისტორიოგრაფიას პირველი ბაგრატუნი მეფეების ხსენებული ღონისძიებები კავკასიაში მათი გაბატონების სიმპტომად მიეღო და ისინი სომხებთან ერთად ქართველთა მეფეებადაც წარმოედგინა. ასე მაგალითად, ფსევდო შაპუჰ ბაგრატუნი არაერთგზის ამკობს სმბატ I-ს „სომეხთა და ქართველთა მეფისა და თვითმპყრობელის“ ტიტულით.[1] ასოღიკის

[1] დასახ. გამოცემა, გვ. 163-165.

თქმით კი, აშოტ I 30 წლის განმავლობაში იყო სომხეთისა და ქართლის ხან „იშხანი“ და ხან „იშხანთა იშხანი“, ხოლო სმბატ I მემკვიდრეობით ფლობდა სომხეთსა და ქართლს.[1] ზოგი სომეხი მეფე ლაპიდარულ წარწერებშიც მოიხსენიება „სომეხთა და ქართველთა მეფედ“, მაგალითად, გაგიკ I ანისის 1001 წ. წარწერაში.[2]

სომხური წყაროების ერთი ნაწილის დაჟინებული მტკიცების მიუხედავად, აღნიშნული ხანის კავკასიაში ჰეგემონობის მისაღწევად სომეხი ხელისუფლების წარმატებანი არც იმდენად უთუმცაო და უცილობელი ჩანს. ასეთი დასკვნისაკენ მივყავართ, თუნდაც დასახელებული სომხური წყაროების სხვა ცნობებს. მაგალითად, იოანე დრასხანაკერტცის მოწმობით, აშოტ I-მა გამეფების შემდეგ კი „დაიქვემდებარა გუგარეთის ნარევი მოსახლეობა“, მაგრამ რამდენიმე წელიწადში (სულ ოთხი წელი იმეფა აშოტმა) ეს მხარე ისევ დასამორჩილებელი გახდა. მდგომარეობა იმდენად სერიოზული იყო, რომ ტახტის მემკვიდრე სმბატ I გარდაცვლილი მამის დაკრძალვასაც ვერ დაესწრო, რადგანაცო, განაგრძობს იოანე კათალიკოსი, იგი იმ დროს წასული იყო გუგართა მხარეში ამ ტომის დასამორჩილებლად, (თუმცა) მან ეს საქმე ვერ შეასრულაო.[3]

ასოღიკიც გვამცნობს: — ეგრისის მეფე კონსტანტინეს სურდა სომეხთა მეფის სახელისუფლო გუგართა ქვეყნისა და ალანთა კარის სიახლოვეს მყოფი მიწების (მოსახლეობის) აჯანყებაო,[4] რისთვისაც სმბატ I შეებრძოლა კიდეც ეგრისის მეფეს, მაგრამ მისი დამორჩილება მხოლოდ ქართველთა მეფის ადარნასეს დახმარებით შეძლო.[5] იოანე კათალიკოსის თქმით კი „ეგრისის მეფე კონსტანტინემ... შეკრიბა ჯარი და გაემართა ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთის ხევებით, რათა გუგართა

---

[1] ასოღიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 107-108.

[2] Ալիշան, Միրակ ? Վենետիկ, 1887, էջ 67.

[3] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 42.

[4] ასოღიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111-112.

[5] იქვე.

ქვეყანა და ალანთა კარის ახლოს მცხოვრები მოსახლეობა ერთხელვე თავის ხელქვეით დაემორჩილებინა".[1] გუგარეთისთვის ასევე იბრძვის სმბატის მემკვიდრე აშოტ II-ც, მაგრამ ამჯერად მას არაბებისაგან უხდება მისი გამოხსნა.[2] იმავე ავტორის ცნობით „აშოტ სმბატის ძე, რომელიც გაამეფეს სომხეთში ქართველთა მეფემ და მისმა ჯარმა... მამაცურ სიმხნეს იჩენდა ბრძოლით და დიდ წინააღმდეგობას უწევდა ყველა მტერს, არა მარტო სარკინოზებს, არამედ ქართველებსა და გუგარელებსაც, რომლებიც მას ცუდს უპირებდნენ".[3]

IX-X საუკუნეთა მიჯნის სიახლოვეს გუგარეთი, როგორც ჩანს, ქართველ, სომეხ და არაბ ხელისუფალთა საცილობელი ქვეყანა გამხდარიყო. ის, ძირითადად, თბილისის საამიროს საგანმგებლოს შეადგენდა და შიდა ქართლსა და ალბანეთში შესაღწევი გზების ერთგვარ კვანძს წარმოადგენდა. ამიტომ მისი ფლობა კავკასიაში გაბატონების მოსურნეთა, განსაკუთრებით კი სომეხ ბაგრატუნთა, როგორც ამათგან სამხრეთით მდებარე ქვეყნის ხელისუფალთა სტრატეგიული მიზნებისათვის აუცილებელი ხდებოდა. გაზრდილი მეტოქეობის პირობებში სომეხ მეფეთა სტრატეგიული ამოცანების რეალიზაციას ისიც უშლიდა ხელს, რომ თვით სომეხ ფეოდალ-მოხელეთა ერთი ნაწილის პოლიტიკური ორიენტაცია ქართული სახელმწიფოებრიობისაკენ იხრებოდა, რაც ქართველ ხელისუფლებს შესაძლებლობას უქმნიდა სომხურ-ალბანურ საზოგადოებაზე თავისი გავლენის გავრცელებაში. საამისო არაერთი ფაქტი აქვთ შემონახული სომხურ წყაროებს. მაგალითად, დიდი გურგენ ერისთავთერისთავი აშოტ II ერკათის მოხელეებს თავის მხარეზე იბირებს და მათივე ხელშეწყობით ქვემო ქართლიდან ალბანურ მიწებზე შეღწევასაც ახერხებს. იოანე კათალიკოსი გულისწყრომას ვერ მალავს სომეხი ფეოდალის ვასაკ გნთუნის საქციელის გამო, რომელმაც, მისი თქმით, „ზურგი შეაქცია აშოტს და

[1] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 109.
[2] იქვე, გვ. 161-162.
[3] იქვე, გვ. 195.

მიენდო ქართველთა მთავარს გურგენს".[1] კიდევ უფრო ძნელი აღსაქმელი გახდა კათალიკოსისათვის უტიის ხელისუფლის ამრამ მთავრის ღალატი მისი სიუზერენი მეფისათვის. იოანე კათალიკოსი წერს: „მან (ამრამმა) გადაწყვიტა განდგომოდა შაჰან-შაჰად წოდებულის მორჩილებას, დაგმო და შეურაცხჰყო თავისი მკვიდრი სამფლობელო და უმჯობესად მიიჩნია უმკვიდრო გურგენის მონობის უღელქვეშ შესვლა... ყველა სხვა ამ ოლქის ნახარარობაც თავისთან წაასხა და ამბოხებაში თავის მხარეზე გადაიბირა".[2] აშოტ II-მ დახმარებისათვის ეგრისის მეფეს მიმართა, მაგრამ მაინც დამარცხდა. ისტორიკოსის მოწმობით, „შემდეგ იმ დღიდან, როგორც წინათ, აღარ გაუმარჯვია აშოტის ლაშქარს".[3] ეტყობა, ამ დროიდან, ე. ი. X ს. 20-იანი წლებიდან ზღვარი ედება სომეხთა შემდეგ წინსვლას ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ქვემო ქართლში სომეხ ხელისუფალთა დამკვიდრებასა და იქ ფეოდალური სამთავროს შექმნას კი საკმაოდ დიდი დრო — მთელი საუკუნე დასჭირდა. ეს პროცესი, ეტყობა, IX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო, როცა გუარამ მამფალმა თავის ცოლისძმას, სომეხთა მეფეს „აბოცი განუყო"[4] და დასრულდა X საუკუნის 70-80-იან წლებში იქ კვირიკიან სომეხ ბაგრატუნთა სამეფოს შექმნით.

ქვემო ქართლის ერთი ნაწილის სომხური სამეფოს ფარგლებში მოქცევა, ალბათ, სომეხთა ყველაზე დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ამიერკავკასიის მეფე-მთავართა შორის პირველობისათვის მიმდინარე ბრძოლაში. სომეხი კვირიკიანები ამ ქართულ ქვეყანაში ფეხის მოსაკიდებლად ნათესაურ კავშირს აბამენ ქართველ ბაგრატიონებთან, კახეთის მეფეებთან და ქართლის ზოგიერთ მსხვილ ფეოდალთან (სომეხთა მეფე კვირიკე II ბაგრატ IV-ის სიძე იყო, ხოლო დავით მეფის ძე გაგიკი

[1] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 251.
[2] იქვე, გვ. 256.
[3] იქვე, გვ. 260.
[4] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 257.

კვირიკე კახთა მეფის დისწული, ამ გვარის წარმომადგენლები დამოყვრებულნი იყვნენ, აგრეთვე, ორბელიანებთან). მაგრამ მთავარი როლი ამ საქმეში მაინც სომხურ ეკლესიას უნდა შეესრულებინა. მოსახლეობის გასომხება, ე. ი. სომხურ სარწმუნოებაზე მოქცევა მკვიდრ საფუძველს შეუქმნიდა სომეხ ფეოდალთა ბატონობას. ახპატი, სანაინი, ხოჟორნი და სხვები საამისოდ იღვწოდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა: შუა საუკუნეების ქართული წყაროები ამ ქართულ ქვეყანას „სომხითს“ უწოდებენ, რაც მომხდარი შინაარსეული ცვლილებების გამომხატველი იყო (ე. ი. „სომხური სჯულის“ ხალხი სჭარბობდა). მაგრამ სომხური წყაროები ამ ქვეყანას ასე ვერ უწოდებენ, რადგან მათთვის აშკარაა, რომ გაჩიან-გარდაბნის ქვეყანა სომხეთი არაა და ისევ გეოგრაფიული სახელი — „ჩრდილო მხარეები“ მიუსადაგეს. ასე რომ, მივიღეთ „ქართლის სომხითი“, რაც ნ. ბერძენიშვილს სავსებით სამართლიანად ქართულ-სომხური ფეოდალურ საზოგადოებათა მეტოქეობის კლასიკურ მოწმობად მიაჩნდა.[1]

კავკასიაში გასაბატონებლად მხოლოდ ქვემო ქართლის (ისიც მხოლოდ ნაწილის) ფლობა, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო. ამიერკავკასიის გასაღებს შიდა ქართლი წარმოადგენდა,[2] რისთვისაც ბრძოლა გაცილებით მწვავე და ხანგრძლივი იყო. ამ ბრძოლას ქართული წყაროები „ქართლსა ზედა“ ბრძოლას უწოდებენ, სადაც უკვე ტონს ქართველი მეფე-მთავრები იძლეოდნენ. სომეხთა მონაწილეობა შიდა ქართლისათვის ბრძოლაში, დაპირისპირებულ ჯგუფებთან პოლიტიკურ თანამშრომლობას ემყარებოდა და იმასაც ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.[3] თუნდაც ამიტომ არ შეიძლება შეწყნარებული იყოს სომხური ისტორიოგრაფიის ზოგი წარმომადგენლის მტკიცება, თითქოს, ამ ხანებში შირაკის შტოს სომეხ ბაგრატუნებს რეალურად მიეღწიოთ

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990, გვ. 306.

[2] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980, გვ. 210-232.

[3] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 259, 261-262.

ამიერკავკასიის დინასტთა შორის მეთაურის მდგომარეობისთვის, რის დამადასტურებელ ცნობასაც, მათი აზრით, წარმოადგენს სომხურ წყაროებში დამოწმებული სომხეთის ხელისუფალთა ტიტულები: „სომეხთა და ქართველთა იშხანი", „სომეხთა და ქართველთა იშხანთა იშხანი", ანდა „სომეხთა და ქართველთა მეფე" და ა. შ.[1] სომეხ მეფეთა ხმაურიანი ტიტულების რეალურ შინაარსზე ჯერ კიდევ აკად. ჰ. მანანდიანი წერდა: სომეხ „ბაგრატიდთა სამეფო დინასტიამ სრულიადაც ვერ მოახერხა ურჩი ფეოდალების თავისი ხელისუფლებისათვის დაქვემდებარება. მსხვილი ფეოდალები არ იყვნენ თავისი სიუზერენი მეფის დამყოლნი, რომელიც ისევ ხალიფას ვასალად და მოხარკედ რჩებოდა. თავნება ფეოდალები დახმარებას ეძებდნენ ან სახალიფოში, ანდა ბაგრატიდებზე არანაკლებ მძლავრ მეზობელ ემირებთან. მიუხედავად ბაგრატიდთა მიმართ პირმოთნე და გარეგნულად კეთილსასურველი პოლიტიკისა, სეპარატიზმი და მეამბოხე ფეოდალების აჯანყებები ყოველნაირად ხალისდებოდა და კიდეც პროვოცირდებოდა გარედან, რამდენადაც სომხეთის ძლიერ სამეფოდ გაერთიანება არ იყო სასურველი არც სახალიფოს, არც ბიზანტიის და არც მეზობელი მძლავრი საემიროებისათვის. ამიტომ, გასაგებია, ბაგრატიდთა სამეფო ტიტული, რეალური შინაარსის გარეშე, შიშველ ტიტულად დარჩა. როგორც ცნობილია, X საუკუნეში სომხეთისა და ამიერკავკასიის მსხვილი ფეოდალები ისეთივე „მეფეები" გახდნენ და ისეთივე სამეფო შესამოსელი და გვირგვინი ჰქონდათ, როგორც აშოტ I-ის მემკვიდრეებს.[2]

შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ კავკასიის ასპარეზზე სომეხ მეფეთა აქტიურობას რეგიონში პირველობისათვის რეალური შედეგები არ სდევდა თან, თითქმის არც ერთი სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიება მათ ბოლომდე ვერ მიიყვანეს და

[1] С. Т. Еремян, Общность судеб и культурно-политическое содружество народов Закавказья IX-XIII вв, «Кавказ и Византия», I, Ереван, 1979, с. 6-7.

[2] Якоб Манандиани, შრომები, ტ. VI, ერევანი, 1985, გვ. 145 (რუსულ და სომხურ ენებზე).

მალევე ეშლებოდათ. დამახასიათებელია ამ მხრივ იოანე კათალიკოსის ერთი ცნობა, რომლის მიხედვით, როგორც კი სმბატ I-სა და ადარნასეს პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს დასცილდნენ, ქართველთა მეფე მის წინააღმდეგ სომხეთში მსხვილ ფეოდალთა შეთქმულებას აწყობს, რომლის მიზანი სმბატ I-ის ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ ადარნასეს გამეფება იყო. იოანე დრასხანაკერტცის გადმოცემით, ადარნასე თურმე დიდი ლაშქრით (თუმცა ნაადრევად) შეჭრილა შირაკის გავარში და ანისის ციხეც დაუკავებია.[1] ქართველთაგან განსხვავებით, სომეხმა ბაგრატუნებმა ნიშანდობლივად ვერ შეძლეს არათუ ამიერკავკასიის პოლიტიკური გაერთიანება, არამედ თვით ერთიანი სომხური სახელმწიფოს შექმნაც მიუღწეველი დარჩათ. კ. იუზბაშიანის განმარტებით, სომხეთის რეგიონები ისტორიულ-კულტურული განვითარებით ისე დიდად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ ობიექტურადაც შეუძლებელი იყო ერთიანი სომხური სახელმწიფოს შექმნა.[2] კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში სომეხთა პოლიტიკური წარუმატებლობის უმთავრესი მიზეზი, ვფიქრობ, უფრო ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენებშია საძიებელი.

სომხეთის ბუნებრივი პირობები: რთული რელიეფი და ჰიდროგრაფიული ქსელი, ცხელი კლიმატი, რის გამოც, მოურწყავად უბრალო ბალახის გახარებაც კი თითქმის შეუძლებელი იყო და სხვა მახასიათებლები, დიდ სიძნელეებს უქმნიდნენ ინტენსიური მეურნეობის მოწყობასა და მის საფუძველზე კერძო საკუთრების წარმოქმნასა და ფართო ფუნქციონირებას, განაპირობებდნენ შრომის კოლექტიური ფორმების (თემი) პრევალირებას, რაც საბოლოო ჯამში, საქართველოსთან შედარებით, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების განსხვავებულ ტემპს განსაზღვრავდა სომხეთში. ეს სხვაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოიკვეთა კავკასიაში არაბობის

[1] იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, გვ. 115-117.

[2] К. Н. Юзбашян, Армянские эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., М., 1988, с. 67-68.

პერიოდში. სომხეთთან შედარებით, საქართველოს უკეთესი ბუნებრივი და ხელსაყრელი სამეურნეო პირობები — რელიეფთან ჰიდროგრაფიული ქსელის მოხერხებული შეხამება და ამით განსაზღვრული მეურნეობის მოწყობისა და აღდგენის სიადვილე, მასზე დაფუძნებული ფეოდალური საკუთრების განვითარებული ფორმების ფართო გავრცელება და აქტიური ფუნქციონირება და ამდენად, შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება, მყარ საფუძველს უქმნიდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და განაპირობებდა მის მდგრადობას პოლიტიკური კატასტროფების წინაშე, შუა საუკუნეების საქართველოს ეკონომიკის, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების მეტ სტაბილურობას და განვითარების მეტ შესაძლებლობებს. ამიტომ მოხდა, რომ არაბთა პოლიტიკური ბატონობის სიმძიმე საქართველომ ბევრად უფრო ადვილად დაძლია და სომხეთთან შედარებით უფრო ადრე და წარმატებით შეუდგა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლას, რაც იმავდროულად საფუძველს უქმნიდა კავკასიის მომავალი გაერთიანებისათვისაც.

სომხეთთან შედარებით, საქართველოს უპირატეს განვითარებას ხელს უწყობდა, აგრეთვე, გეოგრაფიული ფაქტორიც: ქვეყნის ცენტრალური მდებარეობა კავკასიაში განსაზღვრავდა მის სამხედრო-სტრატეგიულ და სავაჭრო სამიმოსვლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

აღნიშნულ ფაქტორთა პირობებში არაბთა ნამდვილი მფლობელობა არა მარტო შედარებით გვიან დამყარდა ქართლში, არამედ თავისი მასშტაბებითა და უარყოფითი შედეგების მხრივაც, ბევრად უფრო შეზღუდული იყო სომხეთთან შედარებით (თუ არაბთა უცილობელი კონტროლი მთელ სომხეთს მოიცავდა, ჩვენში ის, ძირითადად, თბილისითა და ქვემო ქართლით იფარგლებოდა). უცხოელთა ბატონობის ვითარებაშიც, საქართველოში ყოველთვის უცვლელი რჩებოდა ფეოდალთა ეთნიკური შემადგენლობა და ადგილი არ ჰქონდა მათი

უფლებების გადაჯგუფებას მომთაბარეთა სასარგებლოდ, სომხეთში კი პირიქით, მკაფიოდ იკვეთება ეთნიკური ცვლილებები ადგილობრივ ფეოდალთა საზიანოდ. ამიტომაც იყო, რომ სემიტური ეთნიკური ჯგუფების მრავალრიცხოვანი კერების გაჩენამ, უკვე არსებულ ირანულთან ერთად, მნიშვნელოვანი დაბრკოლებები შეუქმნეს ქვეყნის ეროვნულ კონსოლიდაციას და, როგორც ფიქრობენ, სწორედ ეს გახდა IX-X საუკუნეებში სომხეთის პოლიტიკური გაერთიანების წარუმატებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.

არაბთა ბატონობის განსხვავებულმა შედეგებმა საქართველოსა და სომხეთში, თავისი კვალი დაამჩნიეს მეზობელი ქვეყნების ბრძოლისუნარიანობას და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს მათი მომავალი განვითარების შესაძლებლობები. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის დაწყებულ პროცესს სომხეთის ფეოდალური დაშლის პროცესი დაემთხვა, რის გამოც საგარეო ფაქტორის უარყოფით მოვლენებს სომხეთი პოლიტიკურად დაშლილ-დაქსაქსული დახვდა, საქართველო კი ძირითადად გაერთიანებული და ამდენად, უფრო ბრძოლისუნარიანიც. გასაგებია, რომ ქართველთა ინიციატივა ამიერკავკასიის პოლიტიკურ პროცესებში, უკვე იმთავითვე განპირობებული იყო სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური განვითარების საერთო ხასიათით.

არაბთა მფლობელობის პირობებში, საქართველოსა და სომხეთში, საერთოდ, კავკასიის რეგიონების უმეტეს ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლების სათავეში ბაგრატოვანთა დინასტიის სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები არიან. წყაროების მოწმობით, ბაგრატოვანი ხელისუფლები ზიან ტარონში, შირაკში, ტაო-კლარჯეთში, კახეთში, რანში და სხვაგან (აფხაზეთის სამეფო დინასტიასაც ისტორიკოსთა ნაწილი ბაგრატიონობას მიაწერს). ბაგრატოვანთა ხელისუფლების ასეთ განვრცობას კავკასიაში, ბუნებრივია, რომ არა მარტო სომეხ ბაგრატუნებში, არამედ მთლიანად ამ სახელოვანი საგვარეულოს

შეგნებაში კავკასიის ქვეყნების პატრონის შეგრძნება აღეძრა და საგვარეულოს ყოველ შტოსა თუ მის ცალკეულ წარმომადგენელს თავის ღირსებად და საგვარეულო პატივად მიეჩნია ამ ქვეყნის თუნდაც ქრისტიანული ნაწილის გაერთიანება, რასაც დამოუკიდებლობის ინტერესები და ისტორიული ტრადიციაც ეთანხმებოდა.

IX-X საუკუნეების მიჯნასა და მის ახლო პერიოდში, ჯერ კიდევ მკაფიოდ არ იყო გამოკვეთილი კავკასიაში ჰეგემონობისათვის მებრძოლთა რომელიმე მხარის აშკარა უპირატესობა. „მატიანე ქართლისაჲს“ განცხადება — „იბრძოდეს სომეხნი და აფხაზნი ქართლსა ზედა“,[1] მონაწილეთა მეტოქეობის მოწმობა უფროა, ვიდრე ერთ-ერთი მხარის უპირატესობის დასტური. რაც შეეხება შიდა ქართლისთვის მეტოქეთა შორის ბრძოლას, როგორც უკვე ითქვა, ეს სულაც არ იყო შემთხვევითი. შიდა ქართლი ამიერკავკასიის გასაღები იყო, რამდენადაც ის კავკასიის შინანაციონალურ ურთიერთობათა კვანძს წარმოადგენდა[2] და ამ სტრატეგიული მნიშვნელობის ქვეყნის დაუფლების გარეშე, კავკასიაში ჰეგემონობის საკითხი ვერ გადაწყდებოდა. ქართველთა უპირატესობა ამ საქმეში იმთავითვე ცხადი იყო: თავის ქვეყანაში მათ, ბუნებრივია, მოქმედების მეტი თავისუფლება და საშუალებანი გააჩნდათ სხვებთან შედარებით, რომ აღარაფერი ითქვას მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასა და საკითხის მორალურ მხარეზე. სომეხთა აქტიურობა კი უფრო მოჩვენებითი და ეპიზოდური იყო და ვიდრე სომხეთი სახალიფოს ვასალურ ქვეყნად რჩებოდა, მისი ყველა ძალისხმევა, მაინც, სახალიფოს ინტერესების დაცვად გამოიყურებოდა.

X საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, პოლიტიკური სასწორი კავკასიაში უკვე ქართველთა მხარესაა გადახრილი. თვით სომხური წყაროების მოწმობით, ქართული მხარე შეტევაზეა, სომხური კი თავს იცავს. ქართული კულტურულ-პოლიტიკური

[1] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 259.

[2] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბილისი, 1980, გვ. 210-232.

გავლენა, ამ ხანებში, თითქმის მთელ კავკასიას სწვდება. ჯერ იყო და — X საუკუნის დამდეგს, დასავლეთ საქართველოში ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო კულტურა ადგილს უთმობს ქართულს, X საუკუნის ათიან წლებში კი, აფხაზთა მეფე გიორგის მეცადინეობით, ქრისტიანობა და მასთან ერთად ქართული კულტურა, სცილდება რა თავის ეთნიკურ საზღვრებს, ჩრდილო-კავკასიაში, ალან-ოსებში ვრცელდება.[1] ჩრდილო-კავკასიის ქვეყნების ქრისტიანული ძეგლები, გამოკვეთილად, ქართული გავლენის ყველა ნიშანს ატარებენ. მაგალითად, ასის ხეობაში აგებული თხობა-ერდის ეკლესია, უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლი არა მარტო ჩეჩნეთ-ინგუშეთში, არამედ მთელ ჩრდილო კავკასიაში, ქართული წარწერებითა და ფრესკებითაა შემკული, ხოლო იმავე ეკლესიაში აღმოჩენილი X-XII საუკუნეების ქართული ფსალმუნი აშკარად მეტყველებს იქ ქართულ ღვთისმსახურებაზე. ქართველ მისიონერთა მოღვაწეობის კვალი ამჩნევია აღნიშნული ხანის ქრისტიანულ ძეგლებს მთელ ჩრდილო-კავკასიაში.[2]

ამ კულტურულ-პოლიტიკური პროცესის მიღმა არც ქართული სამყაროს აღმოსავლეთი პერიფერია დარჩენილა. დინარ დედოფალმა ჰერეთში საბოლოოდ თავი დაადგა საუკუნეების მანძილზე გახანგრძლივებულ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლას და ეს მხარე სომხური „მწვალებლობიდან" მართლმადიდებლობაზე მოაქცია. ჰერეთის მოქცევა სომხური ეკლესიის დიდი მარცხი იყო, რის გამოც სრულიად სომხეთის კათალიკოსი ანანია მოკაცი ენერგიულ ზომებს მიმართავს მდგომარეობის გადასარჩენად, მაგრამ 949 წელს ხაჩენში (ე. ი. ჰერეთის სამეფოს სომხურ ნაწილში), სომეხთა უმაღლესი სულიერი მამის მიერ მოწვეულმა საეკლესიო კრებამ მას მხარი აღარ დაუჭირა. თუ ქართულ ჰერეთში ქალკედონიზმის გამარჯვება ამ ქვეყნის ისტორიული განვითარების ბუნებრივი შედეგი იყო, ხაჩენში

[1] ს. ჯანაშია, შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 244-248.

[2] დაწვრილებით იხ. З. Ш. Дидебулидзе, Культурные взаимосвязи народов Грузии и Центрального Предкавказья, Тбилиси, 1983.

მისი მომძლავრება იმასაც მოწმობდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური და კულტურული გავლენა აღმოსავლეთის მიმართულებითაც იკაფავდა გზას თავისი ეთნიკური საზღვრების მიღმა. სომხურ წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით, ქალკედონური მრწამსი იმ ხანად ალბანეთიდან კიდევ უფრო ღრმად, სივნიეთშიც აღწევდა. კარგად აქვს შემჩნეული ნ. მარს, რომ ქალკედონიტობა სივნიეთში აღწევდა საქართველო-ალბანეთის გზით. ქალკედონიტობა ბატონობისთვის გზას უკაფავდა ქართველებს, ანტიქალკედონიტობა კი — სომხებს. მისივე თქმით, სივნიეთში უკვე XIV საუკუნეში საგრძნობი იყო განცდილი ქალკედონური მრწამსის კვალი ლიტერატურულ ძეგლებსა და, შესაძლოა, თვით ცხოვრებაშიც კი.[1]

X საუკუნიდან მოკიდებული, ქართული სარწმუნოების გავრცელება კავკასიაში შეუქცევადი კულტურულ-პოლიტიკური პროცესის სახეს იღებს და სხვადასხვა ფორმით ავლენს თავს ქართული სახელმწიფოებრიობის გავლენის ზრდის კვალობაზე. X საუკუნის 60-იან წლებში სომხეთის ეკლესიაში განვითარებული მოვლენები, ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივ ფაქტად მოჩანს. სომეხთა პატრიარქი ვაჰან I ქალკედონიანობაზე მოქცეულა, რის გამოც სომხურ ეკლესიაში მთელი ქვეყნის მასშტაბით დიდი არეულობა, შეხლა-შემოხლა და განხეთქილება ამტყდარა. ვარდან არეველცი და კირაკოს განძაკეცი მოწმობენ ვაჰან კათალიკოსის უშუალო კავშირს ქართველებთან. კირაკოსის თქმით, სომეხთა კათალიკოსს ხელშეკრულებაც კი დაუდვია ქართველებთან სარწმუნოების თაობაზე, რათა ქალკედონიტთა სექტა აღედგინა სომხეთში, ხოლო ვარდანის ცნობით, მას უბრძანებია სომხური ეკლესიებისთვის ხატები საქართველოდან მოეტანათ.[2] გამოდის, რომ ის დიდი შფოთი სარწმუნოების საკითხების გარშემო, რომელიც ვაჰან კათალი-

[1] Н. Я. Марр, Аркаун монгольское название христиан в связи с вопросом об Армянах-халкедонитах, «Византийский временник», т. XII, 1905, с. 6-8.

[2] ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, თბილისი, 2002, გვ. 114.

კოსის მწყემსმთავრობისას ატეხილა სომხეთში, ქართული ეკლესიის გავლენის გავრცელების ცდებს გამოუწვევია.

არანაკლები სიმწვავით გამოირჩეოდა კონფესიური სიტუაცია კვირიკიანთა სომხურ სამეფოში. ქართველთა და სომეხთა პოლიტიკური ინტერესები აქ უშუალოდ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, რაც გაგრძელებას ჰპოვებდა სარწმუნოების სფეროში. ასოღიკის მოწმობით, ძოროგეტელთა ვასალი, გაგის ციხის მფლობელი დემეტრე მარზპანი ქართველებს მიმხრობია. ამით უკმაყოფილო სომეხი მემატიანე გულდაწყვეტით შენიშნავს: დემეტრემ უღალატა მამაპაპეულ სარწმუნოებას და ქართულად მოინათლა, ხოლო თავისი შვილი, ტაშირის მამფალი ჰჯნე, ვანში (ვანანავანქში) დაადგინა. მაგრამ დავით გურგენის ძემ დემეტრე განდევნა გაგის ციხიდან და სამემკვიდრეო სხვა სამფლობელოებიც წაართვა.[1] მემატიანის ამ ძუნწ ცნობაში ძნელი არაა დაძაბული პოლიტიკური ბრძოლის სურათი შევიცნოთ. მას შემდეგ, რაც ჰერეთი საბოლოოდ ქალკედონურ სარწმუნოებაზე მოექცა და ქართული ფეოდალური კულტურა და იდეოლოგია ისტორიული ალბანეთის სომხურ მოსახლეობაშიც იყო შეჭრილი, ბუნებრივია, რომ ლორე-ტაშირშიც საქართველოზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალები გააქტიურებულიყვნენ. ნიშანდობლივია, რომ ხსენებული დემეტრეს ვაჟმა გიორგიმ, უკვე ვანანავანქელმა ქალკედონიანმა მთავარეპისკოპოსმა, პოლიტიკურად სომხეთისადმი დაქვემდებარებულ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში XI საუკუნის 20-30-იანი წლებისათვის ქართული ეკლესიები — ჰნევანქი და კურტანი ააგო.[2]

ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები ძლიერი მხარდამჭერი დასის შემწეობის გარეშე, ცხადია, ვერ გატარდებოდა, რადგანაც ქართული ეკლესიის პოზიციების გამაგრება ტა-

[1] სტეფანოს ტარონეცი ასოღიკი, მსოფლიო ისტორია, პეტერბურგი, 1885, გვ. 257.

[2] პარუირ მურადიანი, სომხეთის ქართული წარწერები, ერევანი, 1977, გვ. 293 (სომხ. ენაზე).

შირ-ძორაგეტის სომხურ სამეფოში, იმავდროულად ნიშნავდა ქართული კულტურულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი გავლენის ზრდასაც, რომლის შემდგომ განვითარებას იმ პირობებში, როცა სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული სომხეთის გვერდით გაერთიანებული ქართული სახელმწიფოებრიობა აღმავლობას განიცდიდა, მას კვირიკიანთა ხელისუფლების აღსასრულიც უნდა მოჰყოლოდა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია X-XI საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების (ქართული სახელმწიფოებრიობის ზრდის) ამსახველი ფაქტები. დავით III კურაპალატის მმართველობის დროიდან (ე. ი. X საუკუნის 60-იანი წლებიდან) ტაოს სამეფო ბიზანტიის აღმოსავლეთ საზღვარზე ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა. ამ ხანისათვის, ბიზანტიური აგრესიის პირობებში, რაც განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობას უქმნიდა სომხეთს, ქართველ ბაგრატოვანთა ლიდერობა კავკასიის პოლიტიკურ მოვლენებში სრული და გადამწყვეტია. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბაგრატიონთა ჩამომავლობის დავით წინასწარმეტყველთან და ამ გზით, ქრისტე ღმერთთან დაკავშირების თეორია ლიტერატურულად სწორედ X საუკუნის შუა წლებში დაფიქსირდა გიორგი მერჩულეს თხზულებაში, რაც მთელ ქრისტიანულ კავკასიაზე ქართველ ხელისუფალთა პრეტენზიებს საჯარო ხასიათს აძლევდა.[1] ამის შესაფერისი ჩანს შორსმჭვრეტელი ტაოს ხელისუფლის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის განსაკუთრებული უნარი და მისი დამოკიდებულების ხასიათი სომეხი ხალხისა და პოლიტიკური წრეების მიმართ, რომელთა მინდობასაც ის თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე ცდილობდა. ასოღიკის დახასიათებით, დავითი წარმოგვიდგება დიდი დიპლომატიური ნიჭით დაჯილდოებულ ძლიერ ხელისუფლად, რომელიც ყოველთვის წამყვან როლს თამაშობდა კავკა-

[1] მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, კრ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბილისი, 1966, გვ. 145-149.

სიის პოლიტიკურ პროცესებში და მის ლიდერობას ერთხმად აღიარებდნენ ამ რეგიონის ხელისუფლები. სომეხი მემატიანის თქმით, დავითი „თავისი უწყინარობითა და სიმშვიდით ჩვენი დროის ყველა მეფეს აღემატებოდა. მან დაამყარა მშვიდობა და წესრიგი მთელ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი, სომხებსა და ქართველებში. მან შეწყვიტა მძვინვარე ომები ყველა მხრიდან და დაამარცხა ყველა გარშემო მყოფი ხალხი. ყველა მეფე ნებით დამორჩილდა მას".[1] მემატიანის ეს დახასიათება დასტურდება X საუკუნის II ნახევრის ისტორიის კონკრეტული ფაქტებით, რომელთა მიხედვით, ყველა დიდი საქმის ინიციატორი და ორგანიზატორი ტაოს სახელგანთქმული მეფეა.

ერთობ საგულისხმოა დავითის ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა 975 წ. შიდა ქართლის დაუფლებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში, რამაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა კიდეც ბრძოლის ბედი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების სასარგებლოდ და საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანული კავკასიის მომავალ გაერთიანებასაც. მემატიანის მოწმობით, დავით კურაპალატმა „შემოიკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: ესე არს (ბაგრატ III) მკჳდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი".[2] წყაროს ამ ნაწყვეტში გაცხადებული პოლიტიკური პროგრამის მიხედვით, საქართველოს გაერთიანების პირველ ეტაპზე ტაო, ქართლი და აფხაზეთი უნდა გაერთიანებულიყვნენ, რამდენადაც ბაგრატის მემკვიდრული უფლებები გაერთიანების ლეგიტიმურობას უზრუნველყოფდნენ, ამით კი საქართველოს გაერთიანების პროცესი დავით კურაპალატის კონტროლის ქვეშ ექცეოდა. იმავე ხანებში აშკარად შეიმჩნევა ტაოს მეფის პოლიტიკური კონტროლის გავრცელება სომხურ სამეფოებზეც. ასოღიკის ცნობით, 977 წ. დავით კურაპალატი აქტიურად ერევა სომეხ ხელისუფალთა შორის წარმოშობილ კონფლიქტში და საკუთარი შეხედულების მიხედვით

[1] ასოღიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.

[2] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 274.

ანესრიგებს მოქიშპეთა ურთიერთობას. სომეხი ისტორიკოსის თანახმად, ახლად გამეფებულ შირაკის მეფე სმბატ II-ს თავისი ბიძაშვილის, ყარსის მეფე მუშელისთვის წაურთმევია აირარატის ოლქის ჭაკატქის გავარში მდებარე შატიკის ციხე, რომელიც ტრდიციულად ყარსის შტოს ბაგრატუნთა სამფლობელოდ ითვლებოდა. დაზარალებულს დახმარება ტაოს მეფისათვის უთხოვია. დავით კურაპალატი ქართველთა ლაშქრით შირაკის ოლქში შეჭრილა და (საქმის გასარჩევად) სოფელ ბავაც ძორში გაჩერებულა, სადაც მას მუშელიც ახლდა. სმბატი იძულებული გამხდარა დაებრუნებინა მათთვის წართმეული ციხე, რის შემდეგ მოდავე ბიძაშვილებს შორის მშვიდობა აღმდგარა. მემატიანის შენიშვნით, ამ სამხედრო ექსპედიციისას სმბატის სამფლობელო სულ მცირედაც არ დაზიანებულა, რადგანაც დავით კურაპალატი მშვიდობის მოყვარე და სამართლიანი იყოო.[1] მოყვანილი ცნობების მიხედვით, დავით კურაპალატის პოლიტიკური გავლენა სომხურ სამეფო-სამთავროებზე X საუკუნის 70-იან წლებში უკვე იმდენად გაზრდილა, რომ სომეხ ხელისუფლებთან მიმართებაში მემატიანე მას სიუზერენული უფლებებით აღჭურვილ პირადაც კი წარმოგვიდგენს. ამ კონტექსტში, შესაძლოა, ნიშანდობლივი იყოს ასოღიკის მიერ დავითის, ერთგან, სომეხთა კურაპალატადაც მოხსენიება,[2] თუმცა უფრო მისაღები გვგონია ასეთი კვალიფიკაცია ემყარებოდეს დავითის სამეფოში სომხური მიწების მნიშვნელოვანი ნაწილის მოქცევის ფაქტს, ისევე, როგორც ქვემო ქართლის, ძირითადად, სამხრეთი ნაწილის სომხური სამეფოს ფარგლებში გაერთიანების გამო, ზოგი სომეხი ხელისუფალი თავს ქართველთა მეფედაც მიიჩნევდა.

სომხეთში დავით კურაპალატის ავტორიტეტისა და პოლიტიკური გავლენის პერმანენტულ ზრდას სრულიად რეალური მატერიალური საფუძველი გააჩნდა. 976-979 წწ. ბიზანტიაში

[1] ასოღიკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187-188.

[2] ასოღიკი, სომხური გამოც., გვ. 226, ემინის რუსული გამოცემა, გვ. 191.

განვითარებული კრიზისის ჩაცხრომაში დავით კურაპალატის წარმატებულ მონაწილეობას იმიერტაოს სამხრეთით გაფართოება და მის ფარგლებში აღმოსავლეთის საკვანძო პუნქტების მოქცევა მოჰყვა შედეგად, რითაც სომხური სამეფოები დავითის სახელმწიფოს ზურგს უკან ექცეოდნენ და იქმნებოდა შესაძლებლობა ბიზანტიის მოსალოდნელი აგრესიის შემთხვევაში ერთიანი თავდაცვითი კედელი აღმართულიყო შავი ზღვიდან ვანის ტბამდე. საერთო თავდაცვის ინტერესებთან სრულ თანხმობაში იყო, აგრეთვე, მისი ენერგიული ღონისძიებები კავკასიის ცენტრში გამაერთიანებელი მოძრაობის დასაჩქარებლად.

978 წ. დავით კურაპალატის ნებითა და ხელშეწყობით, მისი შვილობილი ბაგრატ III აფხაზეთში გამეფდა. მეფედ კურთხევის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად დავითმა შირაკის მეფე სმბატ II თან წაიყვანა, რითაც ქართული სამეფოების გაერთიანების ფაქტს საერთო საამიერკავკასიო მნიშვნელობა მიანიჭა და საერთაშორისო აღიარების სახე მისცა. დავითის გამაერთიანებელი პოლიტიკის თანამონაწილედ სომეხი უმაღლესი ხელისუფალის ჩართვას, ჯერ ერთი, სომხური მოსახლეობის მხარდაჭერა უნდა უზრუნველეყო, ხოლო მომავლისათვის ნდობის ისეთი ატმოსფერო შეექმნა, სადაც ქართველთა მიერ გაერთიანებულ ქრისტიანული კავკასიის სახელმწიფოში სომხები თავს უცხოდ არ იგრძნობდნენ და ამდენად, არც სეპარატიზმისთვის მონახავდნენ რაიმე საბაბს. იმავე დიდი პოლიტიკის ინტერესებით იყო განსაზღვრული დავითის დიდი ძალისხმევა ტაოსა და ბიზანტიის მოსაზღვრე აღმოსავლეთის რაიონების ხარჯზე საკუთარი სამფლობელოების გასაფართოებლად. ეს რაიონები იმჟამად საქართველოსა და სომხეთის მიმართ მტრულად განწყობილ მეზობელ მაჰმადიანურ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ და მათი განთავისუფლება ისტორიული სამართლიანობის აღდგენასა და საღვთო საქმის აღსრულებას ნიშნავდა.

X საუკუნის 90-იანი წლების დასაყისიდანვე, რვა წლის

განმავლობაში დავით კურაპალატი წარმატებით იგერიებდა მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიან მფლობელთა გაერთიანებული მხედრობის შეტევებს, განდევნილი მაჰმადიანების ადგილას კი ქართველებსა და სომხებს ასახლებდა მათს ძველისძველ ისტორიულ ტერიტორიაზე.[1] ამიტომაც იყო, რომ მისი დიდი ავტორიტეტი სომეხთა განმათავისუფლებლის შარავანდედითაც იმოსებოდა. ამ ბრძოლებში, რომელთა შედეგადაც ტაოს სამეფოს პოლიტიკურმა საზღვრებმა ვანის ტბამდე და ქ. ერზინკამდე მიაღწიეს, ქართველებთან ერთად თავიანთი ლაშქრით დავითს გვერდში ედგნენ სომეხი მეფეები გაგიკ I, აბასი და სხვები, რაც უდავოდ მოწმობდა ქართველი ხელისუფალის მოოღვაწეობის საერთო კავკასიურ მნიშვნელობას.

35 წელი იმეფა დავით კურაპალატმა (966-1001) და ამ ხნის განმავლობაში ის ბაგრატოვანთა სახლის ყველაზე გავლენიან ხელისუფლად რჩებოდა კავკასიაში. ისტორიამ მას არგუნა ამ დიდებული სამეფო სახლის პოლიტიკური იდეალის — საკუთარი ქვეყნისა და ქრისტიანული კავკასიის ერთ ქვეყნად გაერთიანების რეალიზაციის დაწყება, მისი შენობისათვის ბალავრის ჩადება. თანადროული სომეხი მემატიანეები მას „ქვეყნის მშენებელსა“ (ა. ლასტივერტეცი) და „მშვიდობისა და წესრიგის დამამყარებელს“ (ასოღიკი) უწოდებდნენ, რითაც, ვფიქრობ, გამოხატავდნენ დავითის დიდი პოლიტიკის ძირითად შინაარსს. ჩანს, იგი ქვეყნის აღმშენებლობითა და მშვიდობიანი ურთიერთობით ცდილობდა სომეხთა მინდობასა და დიდი პოლიტიკური პროგრამის რეალიზაციისათვის ბრძოლაში მათ ჩაბმას, რაც თავის მხრივ, გულისხმობდა გამაერთიანებელი საერთო ინტერესების მნიშვნელობის გაზრდას საშინაო პოლიტიკაში და ფართო რჯულთშემწყნარებლობის მხარდაჭერას ქვეყანაში. ნიშანდობლივია, რომ ეს პოლიტიკა თავის სრულყოფასა და შემდგომ განვითარებას ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის სახელმწიფოებრივ ღონისძიებებში ჰპოვებს ორი

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 482-483. հայ ժողովրդի մատենագիրնշ h III, էջ 102-111 (სომეხი ხალხის ისტორია, ტ. III, გვ. 102-111).

საუკუნის შემდეგ. მანამდე კი, დავით კურაპალატის მიერ დაწყებული დიდი პოლიტიკური პროგრამის რეალიზაციისათვის ბრძოლას მისი უშუალო მემკვიდრეები (ბაგრატ III-იდან დავით აღმაშენებლამდე) გააგრძელებენ, სადაც სომხეთთან და სომხებთან ურთიერთობას კვლავაც უმნიშვნელოვანესი ადგილი დაეთმობა.

დავით კურაპალატის გამაერთიანებელ პოლიტიკას, მის შემდეგ წარმატებით აგრძელებს მისივე პოლიტიკური მემკვიდრე ბაგრატ III, რომელიც „ყოვლითურთ მიემსგავსებოდა ქცევასა გამზრდელისა თჳსისა, დიდისა მეფისა დავით კურაპალატისასა“.[1] სუმბატ დავითის ძე, მოკლედ, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავად გადმოგვცემს ბაგრატის დიდ დამსახურებას ქვეყნის წინაშე, რაც ძირითადად, ქართული სახელმწიფოებრიობის საზღვრების გაფართოებითა და კავკასიაში მისი გავლენის შემდგომი ზრდით გამოიხატა. ქართველი მემატიანის თქმით „...ბაგრატ, აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი, და ეუფლა ტაოს მამულსა თჳსსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგანვიდრეგურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჴელმწიფებითა, ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სახლეულთა თჳსთასა, და ბერძენთ მეფესცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე“.[2]

დ. მუსხელიშვილის აზრით, სუმბატ დავითის ძის მიერ წარმოდგენილი ეს სურათი არ უნდა იყოს მაინცდამაინც გაზვიადებული, რადგანაც აღმოსავლური წყაროების ცნობები იძლევიან საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ბაგრატ III-მ არა მარტო ამიერკავკასიის დიდი ნაწილი გააერთიანა, არამედ ჩრდილო კავკასიის მთელი მთიანეთი ვასალურ დამოკიდებულებაში მოაქცია. ამიტომ ქართველი მემატიანის განცხადება ჰიპერბოლად აღარ უნდა მოგვეჩვენოს. აღმავლობის გზაზე დამ-

[1] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 275.
[2] იქვე, გვ. 382.

დგარი ფეოდალური საქართველო, უკვე ამ დროს, კავკასიური სამყაროს გამაერთიანებლის როლს კისრულობდა და ბიზანტიას უპირისპირდებოდა.[1]

დაპირისპირებამ გაერთიანებულ საქართველოსა და ბიზანტიას შორის კულმინაციას XI საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისისთვის მიაღწია, როცა 1041 წ. ანისის მეფე იოანე სუმბატის გარდაცვალებისთანავე ბიზანტიამ გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო ანისის დასაკავებლად. ამ კონკრეტულ ვითარებაში აშკარად გამოვლინდა სომხური საზოგადოების ერთი ნაწილის პროქართული ორიენტაცია, რომლის ხელშეწყობით ქ. ანისსა და მის მიმდებარე ტერიტორიას ბაგრატ IV დაეუფლა, რაც ბიზანტიის პოლიტიკის დიდი მარცხი იყო კავკასიაში. ჩანს, ამ პერიოდში, ან მის ახლო ხანებში უნდა გაკეთებულიყო წარწერა მარმაშენის მონასტერზე, სადაც ბაგრატ IV-ის დედა მარიამი აფხაზეთისა და სომხეთის დედოფლადაა მოხსენიებული.[2] ამჯერად, ბიზანტიასთან კავკასიაში სამეტოქეოდ ახლად გაერთიანებულ საქართველოს საკმარისი რესურსები ვერ აღმოაჩნდა და მარიამიც იძულებული იყო ანისი მალე დაეტოვებინა. ანისიდან ქართველთა გამოდევნა ბიზანტიამ ისევ ქართველთავე ხელით შეძლო: ლიპარიტ ბაღვაშმა „გამოიტყუვნა ანისით დედოფლისაგან აბუსერი" და მისი თანამებრძოლი სხვა ერისთავები „და შეიპყრნა იგინი ანისის კარსა"[3] — გვაუწყებს ქართველი მემატიანე.

ბიზანტიასთან განცდილი ამ მარცხის მიუხედავად, ახლად გაერთიანებული საქართველო შემდგომი განვითარებისა და ბრძოლის უნარს კვლავაც ინარჩუნებდა და ეს სულაც არ იყო შემთხვევითი. განვითარების შემაფერხებელი უარყოფითი საგარეო ფაქტორების ზემოქმედების პირობებშიც კი, მყარ სოციალურ-ეკონომიკურ საფუძვლებზე დამყარებული

---

[1] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, გვ. 230-244.

[2] წარწერის ტექსტი იხ. И. А. Орбели, Избранные труды, Ереван, 1963, с. 444.

[3] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 300.

საქართველოსა და კავკასიის გაერთიანების ისტორიული პროცესი, თითქმის ორი საუკუნის მანძილზე ჯიუტად მიიკვლევდა გზას და ის ლოგიკურ დასასრულამდე უნდა მისულიყო. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერდა: „ამიერკავკასიის შემცველი XII საუკუნის საქართველო უკვე X საუკუნის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მოვლენებში იყო ნაგულისხმევი“.[1] ჩანს, ამიტომაც ყოველი შეფერხების შემდეგ პროცესი კვლავ გრძელდებოდა, ყოველი მარცხის შემდეგ კვლავ აღმავლობა იწყებოდა. ეტყობა, განვითარების ამგვარ კანონზომიერებაში ეწერებოდა ბაგრატ IV-ის დროინდელ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიც. რეაქცია დაცხრა. 1058 წ. ბაგრატ IV-მ ლიპარიტი იძულებით ბერად შეაყენა, შემდეგ კი სამშობლოდანაც გააძევა. „და მოირჭუნა ბაგრატ და განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა მის ქუეყანისათა... და შემდგომად ამისა იქმნნეს დიდნი საქმენი და აღძვრანი დიდთა მეფეთანი“.[2] — გვაუწყებს ქართველი მემატიანე. ამგვარი გაძლიერების ერთ-ერთ გამოვლინებად, ალბათ, უნდა ჩაითვალოს ბიზანტიის იმპერიის აგრესიას გადარჩენილი ლორე-ტაშირის სომეხ კვირიკიანთა სამეფოს დამორჩილება ბაგრატ IV-ის მიერ. როგორც ქართველი მემატიანე გვაუწყებს, ამ სამეფოს დედაქალაქი, სამშვილდე, ბაგრატმა „ოდენ იურვა სახლად თჳსად, და ეგრეთვე მონებდეს სომეხნი“-ო.[3] ბაგრატის გადაწყვეტილება, მხოლოდ სამშვილდის დასაკუთრებით და სომეხთა ვასალობით დაკმაყოფილებულიყო, მაშინ, როდესაც ქართველი მემატიანის მიხედვით, მას კვირიკიანთა მთელი სამეფოს დაუფლება შეეძლო, რა თქმა უნდა, დიდი პოლიტიკის ამოცანებით იყო განპირობებული და მიზნად ისახავდა მომავალი დიდი პოლიტიკური გაერთიანებისათვის ნიადაგის შემზადებას. ბიზანტიის აგრესიისა და სელჩუკიანი თურქების ლაშქრობათა გააქტიურების ხა-

[1] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966, გვ. 11.

[2] ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 306.

[3] იქვე, გვ. 307.

ნაში, ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი პირობები ქვემო ქართლის შემოსაერთებლად და კავკასიის პოლიტიკური ერთეულების გასაერთიანებლად. მაგრამ ასეთი დიდი პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტა რომ სავსებით რეალურად ესახებოდათ საქართველოს მესვეურებს და მისთვის სამზადისსაც პრაქტიკულად უკვე შესდგომოდნენ კიდეც, აშკარად მოწმობს იმ რთულ ხანაში ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის შექმნა და საზოგადოების განსასჯელად მისი გამოტანა, რომელიც, ფაქტობრივად, წარმოადგენდა საქართველოს გარშემო კავკასიის ხალხთა თავმოყრა-გაერთიანების მოწოდებას და ამ მოწოდების ისტორიულ დასაფუძვლებას.

კავკასიის ხალხთა გაერთიანების იდეის პოპულარიზაციისათვის დრო შესანიშნავად იყო შერჩეული. მომთაბარე-მეჯოგე სელჩუკიანი თურქების მოხშირებული თავდასხმები კავკასიაში, რაც ჯერ კიდევ XI საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო, გადაგვარებითა და განადგურებით ემუქრებოდა სამეურნეო კულტურის დიდი ტრადიციების მქონე კავკასიის ქვეყნებს, რამდენადაც მათ ამ მეურნეობის საფუძველს – მიწას აცლიდა. ამიტომ, დიდი საფრთხის ასაცილებლად ძალთა გაერთიანება მეტად მნიშვნელოვანი იყო, განსაკუთრებით საქართველოსა და სომხეთისათვის, რომლებიც კავკასიაში მთავარ კულტურულ ძალას წარმოადგენდნენ. საქართველოს გარშემო კავკასიის ხალხთა გაერთიანების შესაძლებლობაც შექმნილ სიტუაციაში სავსებით ლოგიკური იყო. ძირითადი სომხური სამეფოების გაქრობის შემდეგ, ერთადერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას, რომელიც შეეცდებოდა და ხელეწიფებოდა კიდეც მდიდარი კავკასიური ცივილიზაციის გადარჩენა და შენარჩუნება, მხოლოდ გაერთიანებული საქართველო იყო. ქართული სახელმწიფოებრიობის ავტორიტეტის ზრდას ხელს უწყობდა, აგრეთვე, კავკასიის ინტეგრაციულ პროცესებში X საუკუნიდან მისი წამყვანი როლიც. მაგრამ მთავარი სიძნელე ის იყო, რომ საგარეო ფაქტორის გარდა, ინტეგრაციულ პროც-

ესს სერიოზულად აფერხებდა კონფესიური სხვაობითა და ურთიერთდაპირისპირებებით გამოწვეული წინააღმდგობანი ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა მონოთეიტურ საფუძველზე ჯერ კიდევ კირონ კათალიკოსმა სცადა VII საუკუნის დასაწყისში, მაგრამ დოგმატური ფორმულებით სხვადასხვა აღსარებათა გაერთიანება ვერ მოხერხდა, ქართული და სომხური ეკლესიების უნია არ შედგა. IX-X საუკუნეების კავკასიაში პოლიტიკური ჰეგემონობისათვის ბრძოლაში ქართველ და სომეხ ხელისუფალთა კონკურენციაც ვერ ჰქმნიდა შესაფერ პირობებს ეკლესიების დასაახლოებლად. პირიქით, მეზობელი ქვეყნების ხელისუფალთა დაპირისპირება კიდევ უფრო მწვავე ფორმით ირეკლებოდა ეკლესიათა ურთიერთობაში. სათანადო მაგალითები წყაროებს საკმაოდ აქვთ შემონახული.

ანისის დაცემის (1045 წ.) შემდეგ, პოლიტიკურ საყრდენს გამოცლილ სომხურ ეკლესიას ქართულმა სამღვდელოებამ აქტიურად შეუტია. 1046 წ. ღრტილაში გამართულ ქართველ-სომეხთა საეკლესიო პაექრობაზე ნიშანდობლივად მკაცრია ქართველ სამღვდელოთა ტონი. ქართველი ბერი ექვთიმე გრძელი დატუქსვით ეკამათება სომეხ წინამძღვარს სოსთენს[1] და ქართული სარწმუნოების უპირატესობას უმტკიცებს. პაექრობის მოწმე ბაგრატ IV-ც, ფაქტობრივად, ძალას ატანს და მოითხოვს სოსთენისაგან სომხური სარწმუნოების დატოვებას, როცა ეკითხება: „რად არ მიიქცევიო".[2] სომხური სარწმუნოების გმობამ იმ დროს ქართულ სასულიერო ლიტერატურაში ფართო ხასიათი მიიღო.[3] აშკარაა, გაერთიანებული საქართველოს მესვეურები ჩქარობდნენ ქართული სარწმუნოების ბაზის გაფართოებას მთელ კავკასიაში, რათა მომავალში ქართული

[1] გ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, გვ. 617.

[2] იქვე, გვ. 620.

[3] ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 123; მცირე სჯულის კანონი, ე. გიუნაშვილის გამოც., თბილისი, 1972, გვ. 33-34, 46-48.

სახელმწიფოს შემადგენლობაში ამ ქვეყნის ხალხების შემოყვანა არ გასძნელებოდათ. მაგრამ, ქართველთა ამგვარი ძალისმიერი ცდები, სომხეთში მაინც, მყისვე საპასუხო რეაქციას იწვევდა, რამდენადაც სახელმწიფოებრიობამოშლილ ქვეყანაში სომეხ მამათა თავდაუზოგავი ბრძოლა სარწმუნოების სიწმინდისათვის, ეროვნული თვითმყოფობის დაცვად აღიქმებოდა. რაც დრო გადიოდა, ქართველი ხელისუფლები მით უფრო მეტად უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ კონფესიურ წინააღმდეგობათა დაძლევა „სარწმუნოებრივი ექსპანსიის" გზით შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, ისეთი მდიდარი კულტურის ქვეყანაში, როგორიც სომხეთი იყო. ასეთი გზით პოლიტიკური ამოცანების გადაჭრა თვით ძლიერმა ბიზანტიამაც ვერ შეძლო. კონფესიურ ნიადაგზე განვითარებულ სიძულვილს ყოველთვის და ყველგან დიდი ბოროტება მოჰქონდა. ამიტომ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც კავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლის ასპარეზი სომხურმა მხარემ გაანთავისუფლა, კონფესიურ ურთიერთობათა გამწვავებამ აზრი დაკარგა. პირიქით, ქართული სახელმწიფოსა და მისი მესვეურებისადმი ნდობის გასაზრდელად საჭირო გახდა რჯულშემწყნარებლობის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანა. კავკასიაში ინტეგრაციული პროცესებისათვის ხელშესაწყობად, ქართული კულტურის პოზიციების განმტკიცებასთან ერთად, ტოლერანტიზმის გაფართოებისათვის ზრუნვა, მალე, ბაგრატიონ ხელისუფალთა პოლიტიკის ქვაკუთხედი ხდება. ასეთ პირობებში, გასაგებია, აქტუალური უნდა ყოფილიყო სომხებთან კონფესიური დაპირისპირების შერბილების ცდებიც, რაც მკაფიოდ შეინიშნება არსენ საფარელის ტრაქტატში „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა".[1] არსენის მტკიცებით, სომეხი ხალხი არ არის დამნაშავე ისტორიის წინაშე. სპარსეთის მეფეებმა აიძულეს სომხეთის ხელისუფალნი და ეკლესიის მესვეურ-

[1] არსენ საფარელი, „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა", ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1980, გვ. 176-178

ნი გადაეხვიათ მართლმადიდებლობიდან და მიეღოთ „სჯული იაკობთა". სომეხი ერის „უბრალოების", ანუ უდანაშაულობის სულისკვეთებითაა გამსჭვალული მთელი თხზულება, რითაც ავტორს, ეტყობა, სურდა მკითხველში თანაგრძნობის გამოწვევა. ზაზა ალექსიძის დაკვირვებით, ტრაქტატის მიზანია, ჩაუნერგოს კავკასიელ მონოფიზიტებს, რომ ისინი თავის ნებით არ დამდგარან მცდარ გზაზე და მათი წინაპრები მხოლოდ გამოუვალმა პოლიტიკურმა სიტუაციამ აიძულა „მწუხარებით ეთხოვათ" სპარსთა მეფისაგან „სჯული იაკობთა". ამიტომაც საეკლესიო განხეთქილება კავკასიაში მოკლებულია შინაგან კანონზომიერებას და არსენ საფარელის რწმენით, ხელსაყრელ პოლიტიკურ სიტუაციაში კავკასიის ქვეყნების იდეოლოგიური გაერთიანება შეუძლებელი არ არის.[1]

კავკასიაში ქართული ეკლესიის მზარდი გავლენისა და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების წარმატებული პროცესი სწორედ ისეთ იდეოლოგიურ პოლიტიკას ითხოვდა, რომელიც გზას გაუხსნიდა, პირველ რიგში, მრავალრიცხოვანი ქრისტიანი სომხური მოსახლეობის მინდობასა და ქართული სახელმწიფოს ინტერესთა სამსახურში მის ჩაყენებას. კონფესიური დაახლოება, ანუ მეზობელი ქართული და სომხური ეკლესიების გაერთიანება, რის ცდებსაც შემდეგ დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს ჰქონდა ადგილი, ქართველ ხელისუფალთათვის, ძირითადად, ქალკედონური დოგმების საფუძველზე იყო მისაღები, რაც ერთობ ხანგრძლივ დროს მოითხოვდა და შესაძლო შედეგებზე განსაზღვრულ ეჭვსაც აღძრავდა. ესეც არ იყოს, კავკასიის მომავალი გაერთიანება არაქრისტიანული მოსახლეობის მინდობასაც საჭიროებდა. ამიტომ, კავკასიის გამაერთიანებელი იდეოლოგიური პოლიტიკა უფრო მეტად დამაჯერებელ არგუმენტებს ითხოვდა, ვიდრე ეს ქრისტიანული რელიგიის სხვადასხვა მიმართულებე-

[1] არსენ საფარელი, „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა", ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბილისი, 1980, გვ. 176-178, 200.

ბის მორიგება შეიძლებოდა ყოფილიყო. ყველაზე უწყინარი და მისაღები შესაძლებლობა, რომელსაც კავკასია ხალხთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების მდიდარი ისტორიაც უჭერდა მხარს, საერთო წინაპრიდან წარმომავლობის, კავკასიის ხალხთა სისხლით ნათესაობის ლეონტი მროველისეული კონცეფცია იყო, რომლის ზემოქმედების ძალა ადამიანთა გონებაზე გვიან შუა საუკუნეებშიც კი იგრძნობოდა, იმ დრომდე, ვიდრე ბაგრატიონ ხელისუფალთა პოლიტიკური გეგმებიდან პრეტენზიები კავკასიაზე საბოლოოდ არ ამოიშალა. ლეონტი მროველის ისტორიულ კონცეფციაში აშკარად დომინირებს სომხური თემა, რაც მხოლოდ და მხოლოდ, დასახული პოლიტიკური ამოცანის გადარჩენისათვის მისი განსაკუთრებული მნიშვნელობით აიხსნება. შუა საუკუნეების სომხური საზოგადოება, თავისი დიდი ისტორიული წარსულით, მდიდარი ქრისტიანული კულტურითა და ანტიქალკედონური მიმართულების საეკლესიო ორგანიზაციით, რომელსაც თავადაც გააჩნდა კავკასიაში კულტურული და პოლიტიკური მოწინავეობის პრეტენზიები, ფაქტობრივად, ყველაზე მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ბაგრატოვანთა პოლიტიკური იდეალის განხორციელების გზაზე, რის გაუთვალისწინებლადაც ქართველ ხელისუფალთა დიდ გეგმებს პერსპექტივა ნაკლებად ექნებოდათ.

დასაძლევი რჩებოდა, აგრეთვე, ადრეული შუა საუკუნეების მდიდარი სომხური საისტორიო მწერლობის მიერ წარმოდგენილი კავკასიის ისტორიის მოდელი, რომელიც სომეხი ერისა და მისი ხელისუფლების განსაკუთრებულობის სინდრომს ჰქმნიდა. ამიტომ, ლეონტი მროველსა და მის თანამედროვე მოღვაწე ისტორიკოსებს კავკასიის ისტორიის ისეთი ახალი მოდელი უნდა აეგოთ, რომელიც, ქართველებთან ერთად, სომეხთა ღირსებასაც დაიცავდა და შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, ორივე ხალხს ერთნაირად დააკმაყოფილებდა. თუ რამდენად გაართვა თავი ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დაკვეთას ქართველმა მღვდელმთავარმა,

კარგად ჩანს იმ საგულისხმო ფაქტში, რომელზეც ჯერ კიდევ ნიკო ბერძენიშვილმა გაამახვილა ყურადღება. მისი დაკვირვებით, „ლეონტის მონათესავეები (იაფეტიდები) XII საუკუნის მიწურულისათვის თითქმის ყველა საქართველოში შემოდიოდა,[1] რაც იმას მოწმობდა, რომ ლეონტის ისტორიულ კონცეფციას თავისი იდეოლოგიური მისია კარგად შეუსრულებია და საერთო წარმატებაში თავისი წილი ღვაწლიც შეუტანია".

განხილული მასალა, ვფიქრობ, თვალნათლივ მოწმობს, რომ კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობის ლეონტისეული კონცეფცია იშვა არაბთა ბატონობის დასუსტებისა და გადაშენების კვალად კავკასიაში განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობით გამოწვეული მოთხოვნილებების შედეგად, რასაც განსაზღვრულწილად კვებავდა ამ ქვეყნის ხალხთა ურთიერთობათა ტრადიციებიც. ლეონტის დროსათვის კავკასიის უმეტესი ნაწილი, ფაქტობრივად, უკვე მოქცეული იყო გაერთიანებული საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური განვითარების ორბიტაში და ერთ სახელმწიფოში ამ ქვეყნის ქრისტიანული ნაწილის ჩართვას მაინც, საგარეო ფაქტორის გარდა, აღარაფერი უშლიდა. თვით „დიდი თურქობაც" კი, რომელიც აგრიკულტურის ქვეყნებისათვის სასიკვდილო საფრთხის შემცველი იყო, ერთგვარი დადებითი მუხტის მქონე აღმოჩნდა კავკასიის მომავლისათვის. კერძოდ, ბრძოლის ასპარეზს ჩამოაცილა კავკასიის ქვეყნების გაერთიანების ყველაზე დიდი და საშიში მოწინააღმდეგე — ბიზანტიის იმპერია. „თურქობიდან" მომდინარე საფრთხემ კი თავის მხრივ ხელი შეუწყო საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანების იდეის პოპულარობას კავკასიის ხალხებში.

ლეონტის კონცეფცია ემყარებოდა რეალურად არსებულ სოციალურ-ეკონომიკურსა და კულტურულ-პოლიტიკურ სიტუაციას და სინამდვილის ასახვასთან ერთად, მომავლის პრობ-

[1] ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 93.

ლემების გადაწყვეტაზე იყო ორიენტირებული. პირველ რიგში, კავკასიის ქვეყნების გაერთიანება საქართველოს მეთაურობით მრავალსაუკუნოვანი ისტორიული პროცესის ობიექტურ, კანონზომიერ მოვლენად უნდა წარმოსახულიყო, რაც უზრუნველყოფდა ასეთი გაერთიანების სამართლიანობას, როგორც შიდაკავკასიურ, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. კონცეფციაში გატარებულ იდეებს, მრავალეროვნული საზოგადოების ეთნიკურად და კონფესიურად განსხვავებული ნაწილის ცნობიერება გაერთიანებული ქართული სახელმწიფოსადმი ნდობით უნდა განეწყო, რაც აუცილებელი იყო კავკასიური მასშტაბის ქართული მონარქიის სიცოცხლისუნარიანობისათვის. ერთი სიტყვით, წარსულის, თანამედროვეობისა და მომავლის სამსახურში ჩაყენება იყო ლეონტის უმთავრესი ამოცანა.

კონცეფციის შექმნის წინამძღვრების განხილვისას, გზადაგზა აღვნიშნავდით იმ კონკრეტულ პრობლემებსაც, რასაც ცხოვრება გადასაჭრელად აყენებდა კავკასიის გაერთიანებისათვის მოწოდებული ფეოდალური საქართველოს წინაშე. მათგან უმთავრესი იყო: სომხეთის მემკვიდრეობისათვის ბიზანტიასთან ბრძოლაში სომხური მოსახლეობის მიმხრობა და საკუთარი ქვეყნის ისტორიის ისეთი ღირსებით წარმოჩენა, რომელიც ქართული ფეოდალური საზოგადოების დიდი მისიის (კავკასიის გაერთიანების) სამართლიანობას ცხადყოფდა.

ერთობ ნიშანდობლივია, რომ XI საუკუნის მეორე ნახევარში, სელჩუკიანი თურქების თავდასხმების პირობებშიც კი, ქართული საისტორიო მწერლობის წარმომადგენლები (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი, სუმბატ დავითის ძე) აქტიურად ებმებიან ქვეყნის წინაშე მდგარი დიდი პრობლემების გადაწყვეტაში და ერთმანეთის მიყოლებით ქმნიან საკუთარი სამშობლოს გაბმული ისტორიის ცალკეულ ნაწილებს, რომლებიც დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ბრძოლის მთლიან სურათს ხატავდა. ასეთი ისტორია საჭირო იყო არა მარტო შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების ერთიანობისა და მისი შესაძლებლობების გამოსახატავად, არამედ ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენდა კავკასიის ერთიანი ქრისტიანული სამყაროს წარმოქმნა-განვითარების სამაგალითოდ და წარმოსაჩენად. ამ ისტორიაში, განსაკუთრებით ლეონტი მროველის ნაწილში, დიდი ადგილი აქვს დათმობილი სომხეთის თემას. როგორც ჩანს, საჭიროდ იყო მიჩნეული არა მარტო პასუხი გაეცათ ძველ სომეხ ისტორიკოსთა თეორიული დებულებებისა თუ ისტორიული მოვლენების მათი კონკრეტული შეფასებებისათვის, არამედ XI საუკუნის ქარ-

თული სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად გადმოეცათ ქართულ-სომხური ისტორიული ურთიერთობანიც. XI საუკუნეში შექმნილ საისტორიო თხზულებათაგან ყველაზე ადრეულად მიჩნეულია სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“, რომელსაც ზოგი 30-იანი წლებით, ზოგი კი 50-80-იანი წლებით ათარიღებს.[1] სხვებთან შედარებით, ამ თხზულების ქრონოლოგიური მეწინავეობა იმითაა საყურადღებო, რომ აქ პირველადაა გაცხადებული ქართველ და სომეხ ბაგრატოვან დინასტთა საერთო წარმომავლობა, რითაც ის უშუალოდ ეხმაურებოდა XI საუკუნის ამიერკავკასიაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს და სომეხთა მისანდობად სერიოზულ საფუძველს ქმნიდა. ამ იდეის შემდგომ განვითარება-განზოგადებად და სრულყოფად მოჩანს ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიის ხალხთა საერთო წინაპრიდან წარმომავლობასა და სისხლით ნათესაობაზე, სადაც სომხურ თემას თავისი მნიშვნელობის გამო განსაკუთრებული ადგილი უკავია. სომხეთის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში ქართველთა პრეტენზიების კანონიერების დამაჯერებლად გაშუქებაზე დიდად იყო დამოკიდებული საისტორიო თხზულების პრაქტიკული ქმედითუნარიანობა და ლეონტისაც, ქართველთა და სომეხთა ნათესაობის იდეა ისტორიის კიდევ უფრო შორეულ სიღრმეში, ხალხთა ეთნარქების დროში გადააქვს და ამით ხსენებულ საგვარეულოთა საერთო წარმომავლობას, მეზობელ ხალხთა საერთო წარმომავლობამდე აფართოებს. უფრო ძლიერი არგუმენტი სომხეთის მემკვიდრეობაზე და საერთოდ, მთელ კავკასიაზე უფლების წამოსაყენებლად, შუა საუკუნეებში არსებული მემკვიდრეობის წესის პირობებში, ძნელად უნდა მოძებნილიყო. ამიტომ არის, რომ ლეონტის ნაშრომს „ცხოვრება ქართველთა მეფეთას“ და, ფაქტობრივად, ქართლის ცხოვრების მთელ კრებულს წამძღვარებული აქვს მთავარი პოლიტიკური ამოცანის

[1] გ. გელაშვილი, სუმბატ დავითის ძე და მატიანე ქართლისა. თსუ, შრომები, 87; М. Д. Лордкипанидзе, Сумбат Давитисдзе и его историческое сочинение, Тбилиси, 1979.

გამომხატველი კონცეფციის წამყვანი დებულება, რითაც ყურადღება მახვილდება მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ქვეყნის მომავლისათვის. „ქართლის ცხოვრება" იწყება სიტყვებით: „პირველად ვაჴსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს".[1] ეს დებულება სომხური ისტორიოგრაფიისა და პირველ რიგში, მისი მთავარი წარმომადგენლის — მოვსეს ხორენაცის სულისკვეთების სრულიად საპირისპირო იყო, რამდენადაც სომეხი მემატიანე კავკასიაში სომხების გარდა ვერავის ამჩნევდა და არც არავის სცნობდა. მისი მედიდური დამოკიდებულება ქართველებისა და დანარჩენი კავკასიელებისადმი, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო იმჟამად კავკასიის გამაერთიანებლის პრეტენზიის მქონე ქვეყნის მესვეურებისათვის. პრობლემის გაშუქების ძირითადი ტვირთი, როგორც ჩანს, ლეონტი მროველს დაეკისრა. ამასვე მოწმობს „მეფეთა ცხოვრების" ქრონოლოგიური საზღვრებიც, რომლებიც მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის" საზღვრებსაა მისადაგებული.

მოვსეს ხორენაცის დიდი ავტორიტეტი, სომეხი ხალხის ცნობიერებაზე მისი განსაკუთრებული ზეგავლენა ლეონტის უკარნახებდა ქართლის უძველესი ისტორიის გადმოცემისას სომხებისადმიც კეთილგანწყობა გამოეჩინა და ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით ისტორიის ისეთი მოდელი შეექმნა, რომელიც ქართველთა მიმართ სომეხთა გაუცხოებას გამორიცხავდა. მ. ხორენაცის ხელაღებით უარყოფა შეუძლებელი იყო. უბრალოდ, ასეთ სიმართლეში სომხებს ვერ დააჯერებდა. სომხური საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევა კი აუცილებელი იყო, თუკი საქართველოს შემადგენლობაში სომხეთის მშვიდობიანად შემოყვანა სურდათ. ცხადია, მ. ხორენაცის კრიტიკის სხვა გზა უნდა მონახულიყო და ლეონტიმაც გენიალური სიმარტივით გადაჭრა დიდი საჭირბოროტო საკითხი. უარყოფის ნაცვლად,

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 3.

მ. ხორენაცის ძირითადი დებულებები და მათს საფუძველზე გაშუქებული ფაქტები შეასწორა, ხოლო მის ექსპანსიურ კონცეფციას კავკასიის ხალხთა სისხლით ნათესაობისა და ძმობის საკუთარი კონცეფცია დაუპირისპირა, რითაც არა მარტო მორალური უპირატესობა მოიპოვა ლეონტიმ ხორენაციზე, არამედ დროის მოთხოვნებსაც ზუსტად მოერგო.

კავკასიის ხალხების მრავალსაუკუნოვანი ხანგრძლივი თანაცხოვრება და საერთო პოლიტიკური თავგადასავალი მეტ დამაჯერებლობას სძენდა ლეონტის თეორიას. XI საუკუნის მეორე ნახევრისათვის მ. ხორენაცის კონცეფციას პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ შეიძლებოდა ჰქონოდა (აღარ არსებობდა ის ძალა — სომხური სახელმწიფო, რომელიც მას დაეყრდნობოდა), მაშინ, როდესაც კავკასიის ხალხთა ძმობის მოწოდება ცოცხალი პოლიტიკური პროგრამის მნიშვნელობას იძენდა. იმ დროს, როცა მოძალებული მტრის წინააღმდეგ კავკასიაში ერთადერთი ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა გაერთიანებული ქართული სამეფო იყო, მასთან ძმობის დამადასტურებელი თეორია, თავდაცვისა და თავშესაფრის ძიებაში მყოფი სომხეთისათვის არათუ მისაღები და სასურველი, არამედ აუცილებელიც იყო.

კავკასიის ხალხთა ნათესაობის იდეა სასარგებლო იყო იმდროინდელი ქართული საგარეო პოლიტიკისთვისაც. სომხეთის მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში ბიზანტიასთან დაპირისპირებული გაერთიანებული საქართველო, ლეონტის თეორიის სახით ახალ დამატებით არგუმენტს იძენდა სომხეთზე კანონიერი უფლების დასამტკიცებლად. მთავარი პოლიტიკური ამოცანითვე იყო განსაზღვრული კავკასიის ხალხთა მამამთავრად თარგამოსის დასახელება იმ დროს, როცა ბერძნულ-ლათინური და სომხურ-ქრისტიანული მწერლობა მას მხოლოდ სომეხთა მამამთავრად მიიჩნევდა. მიუხედავად ამისა, ლეონტი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, რადგანაც მხოლოდ თარგამოსის სახლის წევრს შეეძლო „სომხეთის მემკვიდრეობაზე“ კანონიერი პრეტენზიის გაცხადება.

თავის კონცეფციაზე დაყრდნობით, ლეონტი მროველი მთელი შრომის სიგრძეზე თანმიმდევრობით ასწორებს და ცვლის მ. ხორენაცის უმთავრეს დებულებებს ქართულ-სომხურ ისტორიულ ურთიერთობათა თაობაზე და ახალი შინაარსით ავსებს კავკასიის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ფურცლებს. მათ შორის უპირველესი, რა თქმა უნდა, იყო ეროვნული ტერიტორიის ფორმირების საკითხი. მ. ხორენაცის მიერ სომეხთათვის შემოხაზულ ვრცელ ტერიტორიას, მისგან განსხვავებით, ლეონტი თარგამოსის წილხვედრილ ქვეყნად აცხადებს: „ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა, ესე არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა, და სამხრით ზღუა ორეთისა, და ჩრდილოთ მთა კავკასია".[1] თარგამოსის სამფლობელოს სამხრეთის საზღვარი „ზღუა ორეთისა" ვანის ტბა ან ხმელთაშუა ზღვა შეიძლება იყოს, რაც, ფაქტობრივად, ემთხვევა სომხეთის პირველი არშაკიდი მეფისათვის მიზომილ ტერიტორიას. ლეონტი კი, რამდენადაც კავკასიის ხალხების უკლებლივ ყველა ეთნარქს თარგამოსის შვილებად მიიჩნევს, ამ ვრცელ ტერიტორიაზე უფლებას, სომეხთა გარდა, კავკასიის სხვა ხალხებსაც უნაწილებს, რა თქმა უნდა, შუა საუკუნეებში მიღებული უფროს-უმცროსობის საყოველთაო წესის მიხედვით, სადაც უფროს ვაჟს, მომდევნო ძმებთან შედარებით, მნიშვნელოვანი უპირატესობანი გააჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ამ წესის თანახმად უფროსი ვაჟი მამის უფლებისა და ქონების უშუალო მემკვიდრეა და ის იკავებს მამის რეზიდენციას და იღებს ხელისუფლებას მისგან, სხვა შვილებიც ინარჩუნებენ მემკვიდრეობის უფლებას მამის ქონებაზე.

ლეონტის მიხედვით, თვით თარგამოსმა გაუნაწილა თავისი ქვეყანა და ნათესავი თავის გამორჩეულ რვა შვილს, რომელთაც გმირებს უწოდებს. იგი წერს: „...განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თჳსი რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 4.

მისისა და ნახევარი და უმჯობესი ქუეყანისა მისისა მისცა ჰაოსს, ხოლო შჳდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა: წარმოიყვანნა შჳდნი იგი ჩრდილოთ კერძო და განუყვნა ქუეყანანი ღირსებისაებრ მათისა. მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით ჰერეთი და მდინარე ბერდუჯისი; დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუჯის მდინარის თავსა, და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა, რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ღადო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ღადოსა, რომელსა ან ჰქჳან ლიხი. და ამათ საზღვართა საშუალ მისცა ყოველი ქართლოსს".[1]

ლეონტის თანახმად, თარგამოსის შვილებში ჰაოსი პირველი შვილი და „უმეტესი გმირი" იყო, რის გამოც მამა მას თავისი ქვეყნის ნახევარსა და უმჯობეს ნაწილს აკუთვნებს, თუმცა ქართველი მემატიანე ამ „უმჯობესი" ნახევრის არც საზღვრებს ასახელებს და არც მის განსაკუთრებულ სიკეთეზე იძლევა რაიმე ცნობას. ქართველი მემატიანის ყურადღება, მ. ხორენაცის საპირისპიროდ, ძირითადად, ამიერკავკასიისაკენაა მიპყრობილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში ის ქართულ ქვეყნებს — ქართლს, ეგრისს და ჰერეთს ათავსებს და დეტალურად აღწერს თითოეული მათგანის საზღვრებს. განსაკუთრებით კი, ყურადღებას ამ ქვეყნების სომხეთისაგან გამომყოფ სამხრეთის საზღვარზე ამახვილებს, რომელიც, მისი აღწერით, მდინარე ერდუჯის სათავეებიდან იწყებოდა და მტკვრისა და არაქსის აუზების წყალგამყოფს გაჰყვებოდა მთელს სიგრძეზე მტკვრის სათავეების ჩათვლით (პროვინცია „კოლა"), ხოლო აქედან ქედს, რომელიც გაჰყოფდა კლარჯეთს (მდინარე ჭოროხის ქვემო დინების აუზი) ტაოსაგან (მდინარე ჭოროხის შუა დინების აუზი).

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 4-5.

ლეონტის ამ ჩვენებათა ანტიკური მხარის უცხოური წყაროებით დამოწმების შედეგად დ. მუსხელიშვილი ასკვნის, რომ ქართული ეროვნული ტრადიცია, შემონახული ლეონტი მროველის მიერ, არსებითად სწორი უნდა იყოს.[1] ქართლსა და სომხეთს შორის გამავალ საზღვარს „ხუნანითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა"[2] ლეონტი მრავალგზის ახსენებს, რაც, ალბათ იმასაც ნიშნავს, რომ, მისი აზრით, უძველესი დროიდანვე სომხეთისა და ქართლის სამიჯნო ზონად უცვლელად მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფი ქედი რჩებოდა. უფრო მეტიც, არაქსის აუზში მდებარე რიგ ტერიტორიებს, ის, ზოგჯერ, ქართლის ფარგლებში ათავსებს. მაგალითად, ლეონტის ცნობით, ფარნავაზის მეფობისას აბოცი სამშვილდის საერისთავოს შემადგენლობაში იყო და ამდენად, მისი აზრით, ქართლის სამხრეთის საზღვრის მდინარე არაქსამდე გავრცელებასაც კანონიერი საფუძველი გააჩნდა. მისივე ცნობით, ამ სასაზღვრო ზოლის თავის სასარგებლოდ შეცვლისათვის, ქართველ და სომეხ ხელისუფლებს შორის კონფლიქტებსაც ჰქონია ადგილი, მაგრამ ძირითადი საზღვარი, მაინც, საბოლოოდ, უცვლელი რჩებოდა, რომელიც შემდეგ საერთაშორისო აღიარებითაც ყოფილა დაკანონებული. ამ აქტს ლეონტი ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე დიდს მიაწერს, რომელმაც თურმე „განუჩინა საზღვარი მირიანს და თრდატს ესრეთ: რომელთა ქუეყანათა მდინარენი დიან სამხრეთით და მიერთვიან რაჭსსა, ესე ქუეყანანი თრდატის კერძად დაყარნა; და რომლისა ქუეყანისა მდინარენი ჩრდილოთ დიან და მიერთვიან მტკუარსა, ესე მირიანის კერძად დაყარნა. და ესე რა განუგო კონსტანტინე მეფემან და შუამდგომელ ექმნა მათ, და წარვიდა თჳსად სამეფოდ".[3] ამით ლეონტი, საერთოდ, ასრულებს საუბარს სომეხ-ქართველთა საზღვრის შესახებ, ანუ, როგორც თვითონ ამბობს — „ძიებას

[1] დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი, 1977, გვ. 79-80.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 8.

[3] იქვე, I, გვ. 70.

საზღვართა ქართლისათა“. ნიშანდობლივია, რომ ლეონტის მიერ დასახელებული ეს საზღვარი, შუა საუკუნეთა მთელ სიგრძეზე სინამდვილეშიც უცვლელი დარჩა.

ამრიგად, ლეონტი მროველისა და მ. ხორენაცის თხზულებებში წარმოდგენილი თვალსაზრისი საქართველოსა და სომხეთის კუთვნილი ტერიტორიების თაობაზე, სრულიად ერთმანეთისაგან განსხვავებული და არსებითად საპირისპიროცაა. მ. ხორენაცით სომეხთა კუთვნილი ქვეყანა მოიცავდა ვრცელ ტერიტორიას ხმელთაშუა ზღვიდან კავკასიის წყალგამყოფ ქედამდე, რომლის მეჩხერად დასახლებული ერთი ნაწილი ბაბილონიდან ვანის ტბის მიდამოებში მრავალრიცხოვანი შვილებითა და შვილიშვილებით გამოსახლებულმა ჰაიკმა და შემდეგ მისმა შთამომავლებმა, თანდათანობით აითვისეს სამხედრო მოქმედებებისა და სამეურნეო საქმიანობის შედეგად. ამას გარდა, წინა აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი და მთელი კავკასია მათ პართიის მეფე არშაკმა მიაკუთვნა. ასე რომ, მ. ხორენაცის აზრით, კავკასიისა და წინა აზიის ერთი ნაწილის მომცველი ეს ტერიტორია სომხებს სავსებით კანონიერ საფუძველზე ეკავათ და მოზიარე აქ არავინ ჰყავდათ. ლეონტი მროველი, ფაქტობრივად, იმავე ვრცელ ტერიტორიას „კავკასიის მთიდან ორეთის ზღვამდე“ ქართველთა და სომეხთა, აგრეთვე, კავკასიის სხვა ხალხების, საერთო წინაპრის თარგამოსის წილხვედრილ (იგულისხმება ღმერთისგან) ქვეყნად მიიჩნევს, რაც იმას ნიშნავს, რომ თარგამოსის შვილები (გამორჩეული რვა შვილი) ყველა ერთად, მამის ქონების მემკვიდრეები არიან და მამის წილხვედრილი მათი საერთო ქონებაცაა, სადაც თითოეულ მათგანს საკუთარი წილი უდევს უფროს-უმცროსობის საყოველთაოდ მიღებული წესის მიხედვით. შესაძლოა, ამიტომაც ლეონტი ყოველ მათგანს შესაბამის რიგით ნომერს აკუთვნებს: „პირველსა ერქვა ჰაოს, მეორესა ქართლოს, მესამესა ბარდოს“ და ა. შ.[1]

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 4.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივად თავს იჩენს თარგამოსის შვილებს შორის უფლებრივი თანაფარდობის საკითხი. უფროს შვილს, ე. ი. გვარში უფროსს, საერთო ქონების უმეტესი ნაწილი — მთელის ნახევარი და, რაც მთავარია, ხელისუფლების გამომხატველი მამის საყოფელი (ე. ი. ტახტი) გადაეცემა, რის გამოც, ალბათ ქონების ეს ნაწილი „უმჯობესად" ითვლება. მამის შემდეგ ის გვარის, ანუ სახლის უფროსი, ე. ი. მამასახლისი ხდება, ამასთან დანარჩენი ძმების სამიზნეც, რომლებიც მემკვიდრეობის წესის საფუძველზე თავის რიგს ელიან მამის სამყოფელის დასაკავებლად. ამდენად, ლეონტი მროველი არა მარტო ასწორებს მ. ხორენაცის ვერსიას სომხური ტერიტორიის წარმოქმნაზე და ე. წ. „სომხურ ჩრდილოეთს" ქართველებთან ერთად ძველთაგანვე კავკასიის ხალხებით ასახლებს, არამედ მტკვრისა და არაქსის წყალგამყოფი ზონის სამხრეთით მდებარე ტერიტორიაზეც მომავლისათვის პრეტენზიასაც აცხადებს, როგორც თარგამოსის რიგით მეორე მემკვიდრის შთამომავალი.

აშკარაა, რომ საგანგებოდ თხზულების დასაწყისში გაჟღერებული მთავარი იდეა („ამბავი რვა ძმათა"), რომლითაც ლეონტი მროველი მ. ხორენაცის უპირისპირდება, არის კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობისა და ამდენად, მათი ძმობა-ნათესაობის იდეა, რაც თავისთავად გულისხმობდა საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით შებრძოლებას. ლეონტის დროს ამ იდეის ლეგიტიმაციას მყარ ნიადაგს უქმნიდა სელჩუკიანი თურქების მოხშირებული თავდასხმებით შექმნილი უდიდესი საფრთხე, რომელიც გადაგვარებითა და განადგურებით ემუქრებოდა მთელ კავკასიურ ცივილიზაციას, სადაც წამყვან კულტურულ ძალას საქართველო და სომხეთი წარმოადგენდა. ამასთან ის სავსებით პასუხობდა კავკასიაში ჰეგემონობისათვის გამართულ მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში, ფაქტობრივად, გამარჯვებული გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, რომელიც ამჯერად

(XI საუკუნის II ნახევარში) სომხებისგან გამიჯვნას კი არ ესწრაფვოდა, არამედ მათ მინდობასა და თავის გარშემო დარაზმვას ცდილობდა. ასეთ პირობებში, კავკასიის ხალხთა ნათესაობის თვალსაზრისს შედარებით ადვილად უნდა შეეღწია ადამიანთა ცნობიერებაში და მისაღები გამხდარიყო ლეონტის მიერ შექმნილი ლეგენდა თარგამოსისა და მისი რვა შვილის შესახებ. თუ ხსენებულ გარემოებათა ზეგავლენით, ქრისტიანულ მწერლობაში არსებულ ვერსიებთან ლეონტის ვერსიის შეთავსება, ასე თუ ისე, მაინც შესაძლებელი იყო, სომეხთა წინაპრის ჰაიკის მიჩქმალვა და მისი მნიშვნელობის დამცრობა იმ უბრალო მიზეზით ვერ მოხერხდებოდა, რომ ბერძნულ-ლათინური და მრავალსაუკუნოვანი სომხური ტრადიციით, უკვე კარგა ხნით დამკვიდრებული აზრით, თოგარმა-თარგამოსის ერთადერთ მემკვიდრედ ჰაიკი-ჰაოსი ითვლებოდა და მის ადგილას რომელიმე ძმადწოდებულის გადმონაცვლება, სომხურ მოსახლეობაში მაინც, ეჭვსქვეშ დააყენებდა, საერთოდ, ლეონტის ვერსიის სისწორეს, რაც იმდროინდელი ქართული პოლიტიკისათვის ერთობ საჭირო, კავკასიის ხალხთა გამაერთიანებელი იდეის დისკრედიტაციას გამოიწვევდა. თარგამოსის სამკვიდროდ მიჩნეულ ტერიტორიაზეც (არარატის მთის მიდამოები) ძველთაგანვე სომხები სახლობდნენ, რაც მემკვიდრეობის წესებზე შუა საუკუნეებში არსებული წარმოდგენები, სომეხთა წინაპარს, უპირობოდ, მამის პირმშოდ წარმოაჩენდა. ამიტომ, უნდოდა თუ არა ეს ლეონტი მროველს, სომეხთა ეთნარქი — ჰაოსი თარგამოსის პირველ შვილად და ძმათა შორის „უმეტეს გმირად" და მათზე „გამგებლად და უფლად" უნდა ეცნო.

თარგამოსის პირველ შვილად ჰაოსის ცნობამ და ამდენად, იერარქიის სათავეში მისმა ჩაყენებამ ლეონტის თხზულებას ფორმალურად, თითქოს, პროსომხური მიმართულება მისცა, მაგრამ სინამდვილეში ის მ. ხორენაცისა და მისი თანამოღვაწე სომეხი ავტორების მიერ წარმოდგენილი სურათისგან არა მარტო განსხვავებული, არამედ არსებითად საწინააღმდეგო

იყო. მ. ხორენაცი და V-X საუკუნეების სომხური საისტორიო მწერლობა კავკასიის ისტორიას, მითიური ჰაიკიდან დაწყებული სომხური სამეფოების არსებობამდე, ანუ XI საუკუნის ნახევრამდე, სომხეთის სრული პოლიტიკური ბატონობის ხანად სახავს, სადაც ქართველი ხელისუფლები სომხეთის მორჩილ მოხელეებად გამოიყურებიან. ისტორიის ასპარეზზე ჰაოსის ძმების შემოყვანით კი, ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები ჰაოსის საგმირო საქმეების თანამონაწილედ და გამარჯვებების თანაზიარად გამოჰყავს ლეონტის. ამასთან, სომეხთა ამ უპირატესობას მითიური ხანის ირეალური სამყაროს ფარგლებით ზღუდავს. ჰაოსის შემდეგ, თხზულების დასაწყისში წარმოდგენილი იერარქია სადღაც ქრება, ლეონტი გამორჩეულად არავის ასახელებს და ყველას მათ საერთო სახელით — თარგამოსიანებით აღნიშნავს, ჰაოსის შთამომავლები ცალკე არ სახელდებიან. იქმნება თანაბარუფლებიანობის სრული შთაბეჭდილება. თარგამოსიანები კარგა ხანს ერთად არიან, ერთად მოქმედებენ, ერთად იცავენ თავს. ფაქტები: ხაზარები გაძლიერდნენ კავკასიანები შეავიწროეს. ამ უკანასკნელებმა დახმარება სთხოვეს დანარჩენ თარგამოსიანებს. რადგანაც იმ დროს, ლეონტის განმარტებით, ისინი „იყვნეს მშჳდობით სიყუარულსა ერთმანეთისასა“, შეიკრიბნენ „ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი, და გარდავლეს მთა კავკასია. და მოტყუენნეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი, და აღაშენნეს ქალაქნი პირსა ხაზარეთისასა, და წამოვიდეს“.[1]

ჩვენი ავტორის წარმოდგენით, თარგამოსიანებს ერთი მთლიანი ქვეყანა გააჩნიათ, რომლის დაცვა ყველას საერთო საზრუნავია. ხაზარები კვლავ და უფრო მეტად გაძლიერდნენ, მათი სიმრავლის გამო თარგამოსიანებმა წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს და ხაზარებმა „წარტყუენეს ქუეყანა თარგამოსიანთა, და შემუსრნეს ყოველნი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი და ჩრდილოსანი. და დაურჩეს ციხე-ქალაქნი თუხარისი,

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 12.

სამშჯლდე და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანი, შიდა-ქართლი და ეგრისი".[1]

მოტანილ ტექსტში თარგამოსიანთა ქვეყნის ორგვარი გაგებაა მოცემული. ვიწრო გაგებით, ესაა თითოეული თარგამოსიანის კუთვნილი ცალკე სამკვიდრო, რომელიც თარგამოსმა თავის დროზე შემოუსაზღვრა თავის შვილებს. ფართო გაგებით კი ის ამ ქვეყნების ერთობლობაა და საერთოა ყველა თარგამოსიანისათვის. სწორედ ამ საერთო ქვეყნითა და მისი ერთიანი ძალებით წარსდგებიან ხოლმე ისინი გარე სამყაროს წინაშე. ნიშანდობლივია, რომ ახლა უკვე, მითოსური ხანისგან განსხვავებით, თარგამოსიანთა შორის უფროს-უმცროსობაზე უბრალო მინიშნებასაც აღარ ვხვდებით, საერთო პერსონალური წინამძღოლი მათ აღარ ჰყავთ. მაგრამ, თარგამოსიანებიც ყველა ერთნაირი შესაძლებლობისა და უნარის, რა თქმა უნდა, არ იყო და ლეონტიც თარგამოსიანთა საერთო მასიდან ამ ნიშნით გამოარჩევს ქართველებსა და სომხებს „სომეხთა და ქართველთა და ყოველთა თარგამოსიანთა",[2] რომლებზეც, მისი აზრით, დამოკიდებული იყო თარგამოსიანთა და მათი საერთო ბედიც. ამიტომაც, ყველა კრიტიკულ მომენტში ჩვენი ავტორი მათ ერთად ახსენებს, როგორც თარგამოსიანთა საერთო პოლიტიკის მთავარ განმსაზღვრელ ძალას. მაგალითად, თარგამოსიანებზე გაბატონებული სპარსთა მეფე თურქებთან იწყებს ბრძოლას. ლეონტის თქმით, „მაშინ პოვეს ჟამი მარჯუე სომეხთა და ქართველთა, და განუდგეს სპარსთა და განამაგრეს ციხენი და ქალაქნი მათნი. და შეერთნეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი".[3] რამდენიმე წლის შემდეგ, სპარსთა მეფე დიდ ლაშქარს აგზავნის „სომეხთა და ქართველთა და ყოველთა თარგამოსიანთა ზედა".[4] იგივე სურათი იხატება სხვა ეპიზოდების გადმოცემისასაც: „ვერ წინააღუდგეს სომეხნი და ქართველნი",

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 12.
[2] იქვე, გვ. 14.
[3] იქვე.
[4] იქვე.

„მაშინ დაუტევა სპანდიატ ბრძოლა სომეხთა და ქართველთა“, „განთავისუფლდეს სომეხნი და ქართველნი“ და ა. შ.[1] ერთი სიტყვით, ლეონტისათვის კავკასიაში პოლიტიკური სიტუაციის განმსაზღვრელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სომეხთა და ქართველთა კავშირია და ცდილობს შემდგომი ხანის (უკვე სახელმწიფოთა ურთიერთობის დონეზე) ისტორიის გადმოცემის დროსაც მკაფიოდ წარმოაჩინოს ქართველ და სომეხ ხელისუფალთა უმჭიდროესი კავშირი და თანამშრომლობა ისტორიის მთელ მანძილზე.

ქართველ მკვლევართა ერთმა ნაწილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ქართველებისა და სომხების ერთად მოხსენიებისას, სომეხთა ხსენება ყოველთვის წინ უსწრებს ქართველების ხსენებას, რაც ლეონტი მროველის სუბიექტური განწყობილების გამოვლენად მიიჩნია. მართალია, „სომეხნი და ქართველნი“ – ასეთი თანამიმდევრობით, ვიდრე პირუკუ, ქართველთა და სომეხთა ხსენება შედარებით უფრო ხშირია (12-ჯერ 4-ის წინააღმდეგ), მაგრამ ის მაინც მყარ საფუძველს ვერ იძლევა ხსენებული დასკვნისათვის.. ჯერ ერთი, არ ჩანს, რომ ლეონტის ტექსტში ეთნოსების დასახელება იერარქიული პრინციპის თანმიმდევრობით ხდებოდეს, რამდენადაც ეთნოსების ერთად მოხსენიებისას ოსები ორ შემთხვევაში ქართველებს წინ უსწრებენ, თუნცა მათ უპირატესობაზე არანაირი მინიშნება არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ასევეა გამოთქმა „თურქნი და ქართველნი“.[2] იერარქიულ პრინციპს რომ უდებდეს საფუძვლად ეთნოსთა დასახელებას, ლეონტი აღარ იტყოდა ლაშქარზე „ბერძენთა, სომეხთა, ოვსთა, მეგრთა და ქართველთაო“,[3] ანდა „ოვსთა, ლეკთა და ქართველთა“.[4] ყველას რომ თავი დავანებოთ, ჩამოთვლაში მეგრთა წინ მაინც უნდა დაეყენებინა ქართველნი, რადგანაც მისივე მტკიცებით, ქუჯი

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 16.
[2] იქვე, გვ. 15.
[3] იქვე, გვ. 57.
[4] იქვე, გვ. 46.

ფარნავაზს თავის უფლად სცნობდა. აშკარაა, რომ ჰაოსის მითიური ეპოქის გადმოცემის შემდეგ, ეთნოსთა ჩამოთვლას ლეონტი იერარქიული სქემის მიხედვით აღარ უნდა აწარმოებდეს. საფიქრებელია, ლეონტი კავკასიის ხალხთა წარმომავლობის თავისი ვერსიის ლოგიკიდან გამოდიოდეს, როცა სომხებისა და ქართველების ერთად მოხსენიებისას ჰაოსის შთამომავლები წინ უსწრებენ ქართველებს. ჰაოსმა მამის სამკვიდრებლის ნახევარი მიიღო, მეორე ნახევარი კი მისმა ძმებმა გაინაწილეს, რის გამოც ქართლოსის შთამომავლების ქვეყანა თავისი მოცულობით ჰაოსთა შთამომავლების ქვეყანასთან შედარებით უფრო მცირე უნდა ყოფილიყო. რეალურადაც, ისტორიის საკმაო პერიოდში სომხეთი ქართლზე გაცილებით ვრცელ ქვეყანას წარმოადგენდა. ეს ვითარება, ჩანს, აიძულებდა ლეონტის სომხები ქართველებზე წინ მოეხსენიებინა, როგორც უფრო დიდი ქვეყნის წარმომადგენლები. ასეთი ვარაუდის შემთხვევაში, დასმული საკითხისადმი ლეონტის სუბიექტური დამოკიდებულების შესაძლებლობა, ვფიქრობ, გამოსარიცხია.

თხზულების დასაწყისში მოცემული, ჰაოსის უფროსობით შექმნილი შთაბეჭდილება, რომელიც ძირითადად მითიური პერიოდით იფარგლება, ამ ეთნარქის შემდეგ თანდათან ფერმკრთალდება და ქართლში სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე მთლიანად ქრება. ლეონტის მიერ მოთხრობილი ქართლისა და სომხეთის სამეფოების პოლიტიკური ურთიერთობის უძველესი ისტორია არსებითად განსხვავდება და ფაქტობრივად, უპირისპირდება კიდეც ძველი სომხური საისტორიო მწერლობის დიდმპყრობელურ იდეოლოგიას, რომლის სანაცვლოდ ქართველი მემატიანე თანამშრომლობის და ნათესაობის იდეას ამკვიდრებს. უმთავრესად, ამ თვალსაზრისით ალაგებს და აშუქებს ის ძველი ისტორიის, თვით სომხურ წყაროებში დაცულ ფაქტებსაც კი.

საქართველოში სახელმწიფოს წარმოქმნისა და განვითარების პროცესს ლეონტი კავკასიაში ალექსანდრე მაკედონე-

ლის შესაძლო ლაშქრობასა და მის მიერ გატარებულ ღონისძიებებს უკავშირებს. მისი თქმით, დაიპყრო რა ალ. მაკედონელმა „ყოველნი კიდენი ქვეყნისანი“ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, სიცოცხლეშივე ოთხ თანატომელს გაუნაწილა თავისი უზარმაზარი სამფლობელო. მათ შორის „მისცა ანტიოქოზს ასურასტანი და სომხითი, და კერძო აღმოსავლეთისა უჩინა მას“.[1] „ხოლო ბიზანტიოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი, და უჩინა კერძო ჩრდილოსა“.[2] ასე რომ, ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობითი ომების შედეგად, საქართველო და სომხეთი, ლეონტის თანახმად, სხვადასხვა პოლიტიკურ სივრცეში აღმოჩნდნენ, რაც, თითქოს, ქმნიდა მათ შორის დაპირისპირების საბაბს, მაგრამ სიტუაცია მალე იცვლება და ქართველები და სომხები კვლავ ერთ პოლიტიკურ გარემოში, კერძოდ, სელევკიდების სამეფოს გავლენის სფეროში აღმოჩნდებიან და მათ თანამშრომლობას ძველებურად ხელი ეწყობა. ალექსანდრეს მიერ ქართლის პატრიკად დანიშნულმა აზონმა უკიდურესად დაამძიმა მისი ბატონობის უღელი, რასაც წინ აღუდგა ქართლის მოსახლეობა, მცხეთის მამასახლისის ძმისშვილის ფარნავაზის მეთაურობით. კაცთმოძულე აზონი ქართლიდან განდევნეს. ფარნავაზი დაეუფლა ქართლს „თჳნიერ კლარჯეთისა“, გამარჯვების ბოლომდე მისაყვანად კი, რადგანაც აზონს ბერძნები უმაგრებდნენ ზურგს, ასურასტანის მეფეს ანტიოქოსს ძღვენით მიმართა დახმარებისათვის და აღუთქვა მას მსახურება. ანტიოქოსმა „შეიწყნარა ძღვენი მისი, და უწოდა შვილად თჳსად, და წარმოსცა გჳრგჳნი. და უბრძანა ერისთავთა სომხეთისათა, რათა შეეწეოდიან ფარნავაზს“.[3] ამ ბრძანების შესაბამისად „მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით“[4] და ფარნავაზის საკუთარ ლაშქართან ერთად, რომელიც ქართლის მხედართა გარდა ეგრისისა და ოსთა მეომრებისაგან შედგებოდა,

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 19.
[2] იქვე, გვ. 20.
[3] იქვე, გვ. 23.
[4] იქვე.

შეუტიეს და სძლიეს ბერძნებს, აზონი კი მოკლეს. ამის შედეგად, განაგრძობს ქართველი მემატიანე, „ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი“.[1] შემდეგ ჩამოთვლის სათითაოდ ყველა საერისთავოს თავისი ადმინისტრაციული საზღვრების ჩვენებით და შენიშნავს, რომ „ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“.[2] ლეონტის გადმოცემით, „ოცდაშვიდისა წლისა მეფე იქმნა, და სამეოცდახუთ წელ მეფობდა ნებიერ. და მსახურებდა იგი ანტიოქოზს, მეფესა ასურასტანისასა... და აღაშენა და განავსო ქართლი... და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი“.[3]

ქართლში სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე ე. წ. თარგამოსიანებთან, განსაკუთრებით კი სომხებთან ქართველთა ურთიერთობაში ახალი ეტაპი შეინიშნება. ამ ურთიერთობაში თანდათანობით თავს იჩენს ქართველთა უპირატესობა და ინიციატივა. როგორც ვნახეთ, ჰაოსის შემდეგ, ლეონტის მიხედვით, თარგამოსიანთა შორის ინიციატორი და წინამძღოლი არავინ ჩანს. ისინი ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს და ერთად მოქმედებენ: „შეკრბეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი“, „შეერთნეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი“, და ა. შ. თარგამოსიანებიდან ინიციატივის მქონედ ლეონტი, ზოგჯერ, ასახელებს სომხებსა და ქართველებს ერთად, მაგრამ ამათგან რომელიმესთვის ჩამომავლობითი უპირატესობის მინიჭებას სულაც არ ცდილობს, თუ არ ჩავთვლით სომეხთა და ქართველთა ერთად ხსენებისას მოყვანილ თანმიმდევრობას, რის შესახებაც უკვე ითქვა. საყურადღებო უფრო სხვა მომენტია. ქართლში მირვანის გამეფებამდე ლეონტი სომეხთა მეფესა თუ მისი ადმინისტრაციის ძირითად წარმომადგენელ ერისთავს

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24.
[2] იქვე, გვ. 25.
[3] იქვე, გვ. 26.

ნიშანდობლივად არსად არ ახსენებს, რომლებიც სომხურ სახელმწიფოებრიობას განასახიერებდნენ. ჩანს, ქართლში მირვანის გამეფებამდე, ლეონტი არც ვარაუდობდა სომხეთში სამეფოს არსებობას. აშკარაა, რომ ის არც მითიურ ჰაიკს მიიჩნევდა მეფედ, რამდენადაც მას უბრალოდ ძმათა მიმართ „გამგებელს და უფალს“ უწოდებს, ისევე, როგორც მცხეთოსს თავის ძმათა მიმართ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა თარგამოსიანებმა ჰაოსის მეთაურობით ნებროთი დაამარცხეს, ლეონტის თქმით, „მაშინ ჰაოს ჰყო თავი თჳსი მეფედ ძმათა თჳსთა ზედა და სხუათაცა ნათესავთა ზედა, მახლობელთა საზღვართა მისთასა. ხოლო შჯდნივე ესე ძმანი წარვიდეს თჳსთჳსად ქუეყნად, და იყვნეს მორჩილ ჰაოსისა“. სულ სხვა კატეგორიულობითა და არგუმენტაციით გადმოგვცემს ლეონტი ნებროთის მეფობის ამბავს. „ესე რვანივე (ე. ი. ჰაოსი და მისი ძმები) ერთობით ჰმონებდეს ნებროთს გმირსა, რომელი იყო პირველი მეფე ყოვლისა ქუეყანისა“.[1] ამ ორი ცნობის ერთმანეთთან შედარებისას, დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ჰაოსი და ნებროთი ლეონტისათვის არ იყო თანაბარი მნიშვნელობის ხელისუფალი. თუ ნებროთს დარწმუნებით მეფეს უწოდებს, ჰაოსის მიმართ იგივეს არ იმეორებს, თავს იკავებს და აღნიშნავს, რომ ჰაოსმა თვითონ „ჰყო თავი თჳსი მეფედ“-ო. ეს კი, რა თქმა უნდა, საკმარისი არ იყო. მეფე სხვამაც უნდა იცნოს და აღიაროს. ამას გარდა, მეფეს მონებენ და ხარკს უხდიან. სწორედ ასეთ დამოკიდებულებას აღნიშნავს ლეონტი ნებროთსა და თარგამოსიანებს შორის, ვიდრე ეს უკანასკნელნი განუდგებოდნენ მეფეს. ჰაოსსა და მის ძმებს შორის კი ამისგან სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობდა. მართალია, ჰაოსს მისი ძმები მორჩილებდნენ, მაგრამ მას არც მონებდნენ და არც ხარკს უხდიდნენ. ცხადია, ლეონტის წარმოდგენით ჰაოსი არ იყო მეფე ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და ამდენად, არც სომხეთი წარმოადგენდა ჯერ სახელმწიფოს. ასურისტანის მეფესთან ფარნავაზის ურთიერთობის ჭრილში ნახსენებ „სომხეთის ერი-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 6-7.

სთავებს" რომ სომხური ადმინისტრაციის წარმომადგენლებად არ მიიჩნევს, ამას ლეონტი სავსებით გასაგებად გამოთქვამს, როცა წერს: „მოერთნეს ერისთავნი ანტიოქოზისნი სომხითით", ე. ი. ეს ერისთავები ანტიოქიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ყოფილან სომხეთში და ამიტომაც უბრძანებს მათ ასურასტანის მეფე ფარნავაზისთვის დახმარების აღმოჩენას.

ფარნავაზამდე ქართლში, ლეონტის თანახმად, მამასახლისთა მმართველობის სისტემა იყო გაბატონებული. ასეთსავე ვითარების არსებობას, ეტყობა, გულისხმობს თანადროულ სომხეთშიც, რამდენადაც იქ მეფის ან მის ადმინისტრაციაზე არავითარ მინიშნებას არ იძლევა. ფარნავაზის მეთაურობით და ანტიოქოსის დახმარებით ქართლი თავისუფლდება ბერძენთა დამოკიდებულებისაგან და საკუთარ სახელმწიფოებრიობას ჰქმნის, რომელიც ორგანიზაციულად სპარსთა სამეფოს მსგავსად ეწყობა. ეს სახელმწიფო წყობილება, ფაქტობრივად, ისეთივეა, რასაც მ. ხორენაცი ხატავს სომხეთისათვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის დროში წინ უსწრებს სომხურს და ამით შესაძლო სომხურ გავლენას ემიჯნება. ჰაოსის უფროსობიდან მომდინარე ჩამომავლობით მიღებული პრივილეგიები აქ უკვე საბოლოოდ კარგავენ თავის ძალასა და მნიშვნელობას. მართალია, ფარნავაზი და მისი მემკვიდრეები ასურასტანის მეფეს მსახურებენ, ე. ი. ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, მაგრამ ლეონტის თანახმად, ეს „მსახურება" იმდებად მსუბუქი და ფორმალურია, რომ მათ შორის ურთიერთობა უფრო სამოკავშირეო და მეგობრულია საგულვებელი.[1] ასე რომ, ფარნავაზის სამეფო დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო იყო და მას უკვე საერთაშორისო აღიარებაც ჰქონდა მოპოვებული, რამდენადაც ფარნავაზს თვით ასურასტანის მეფე ანტიოქოზმა გამოუგზავნა სამეფო გვირგვინი. გასაგებია, რომ ასეთი ხელისუფლის წინაშე სომხეთის მამასახლისის (როგორადაც ლეონტის უნდა წარმოედგინა იმ დროის სომეხთა ხელისუფალი)

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1970, გვ. 465.

შესაძლო შთამომავლობითი პრივილეგიები არაფერს ნიშნავდა, რადგანაც ეს უკანასკნელი მეფესთან შედარებით ბევრად უფრო დაბალი რანგის ხელისუფალი იყო.

ქართლის მესამე მეფე მირიან 1-ის მეფობის დასასრულისათვის, ლეონტის ცნობით, „ამის-ზე მიიცუალა ანტიოქისა მეფობა ბაბილონს. და მას ჟამსა შინა მეფე იქმნა სომხითს რომელსა ერქუა არშაკ (აშკარაა, გულისხმობს ძვ. წ. 190 წ. მაგნეზიასთან ანტიოქოს III-ის სასტიკ მარცხს რომაელებისაგან, რის შემდეგ ძვ. წ. 189 წ. არტაშესმა თავი სომხეთის მეფედ გამოაცხადა). ეზრახა მირვან არშაკს, და მისცა ასული თჳსი ძესა არშაკისსა, არშაკს“.[1]

გ. მელიქიშვილის შენიშვნით, ქართული წყარო სავსებით სამართლიანად უკავშირებს სომხეთის სამეფოს წარმოქმნას ანტიოქოსის მეფობის დასასრულს.[2] სომხეთში სამეფოს წარმოქმნისთანავე, ლეონტის მოწმობით, მეზობელი ქვეყნების სამეფო სახლები მოყვრდებიან, რაც უშუალოდ გამომდინარეობს ქართველი მემატიანის კონცეფციის ძირითადი შინაარსიდან, კავკასიის ხალხთა და განსაკუთრებით ქართველი და სომეხი ხალხების ნათესაობისა და თანამშრომლობის იდეიდან. ეს იდეა ლეონტის ნაშრომს თავიდან ბოლომდე გასდევს და წარმოდგენილი თითქმის ყველა სიუჟეტი მის გაშუქებას ემსახურება. მ. ხორენაცისგან განსხვავებით, თხრობა დიდი ტაქტითა და ორივე მხარის ღირსების დაცვით მიყავს. როდესაც სომხეთში მეფე გაჩნდა და ამის გამო ქართველი და სომეხი უმაღლესი ხელისუფლები რანგით გათანაბრდნენ, ჩამომავლობით მიღებული პრივილეგიების მნიშვნელობა მკითხველის თვალში კვლავ სომეხთა სასარგებლოდ უნდა წარმართულიყო. ეტყობა, ამიტომაც, ვიდრე სომხეთში მეფობის გაჩენის ამბავს გადმოგვცემდეს, წინასწარ გვაუწყებს მესამე ქართველი მეფის მირვანის ნებროთიანობას (ქართველთა მეორე მეფე საურმაგს, რადგანაც ვაჟი არ ჰყავდა, თავის მემკვიდრედ და შვილად მოუყვანია თა-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 28.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 466.

ვისი ცოლის ნათესავთაგანი „სპარსეთით შვილი ნებროთისი“, რომელსაც ერქვა სახელი მირვან).[1] ახლა უკვე ჩამომავლობით განსაზღვრული უპირატესობა, როგორც ქვეყნიერების პირველი მეფის ნებროთის შთამომავლისა, ქართველთა მხარეს იყო და ჰაოსის შთამომავლების პრეტენზიებს საფუძველი გამოცლილი ჰქონდა. ქართველი მეფის ეს უპირატესობა თუმცა აშკარად ხაზგასმულად არ არის გაცხადებული, მაგრამ მისი და შთამომავლების ნებროთიანობა თავისთავად გულისხმობდა მათ გამორჩეულობას. ასეთი სიუჟეტის შემოტანით ლეონტი ოსტატურად ხსნის მეზობელ ხელისუფალთა ურთიერთობაში იერარქიული დამოკიდებულების შესაძლებლობას და, ფაქტობრივად, უკუაგდებს მ. ხორენაცის ქედმაღლურ დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართველ ხელისუფალთა მიმართ. ამის შემდეგ ლეონტი მროველი თავის თხზულების თითქმის ბოლომდე, ძირითადად, ქართველ-სომეხთა თანამშრომლობისა და დანათესავების ფაქტებს გადმოგვცემს, რითაც მკითხველის ყურადღებას კავკასიის ხალხების ერთიანობის სასარგებლოდ წარმართავს.

დანათესავება, ლეონტის თანახმად, პირველ რიგში, მეზობელი ქვეყნების სამეფო სახლებს შორის მყარდება, რის შედეგადაც ფარნავაზიანთა ქართული დინასტია პართული წარმოშობის არშაკიანთა სომხურ დინასტიას უკავშირდება. ასეთი დაკავშირებების ლეონტის ცდები კარგად აქვს შენიშნული პ. ინგოროყვას. მისი დაკვირვებით, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქართველ მეფეთა სიაში მოხსენიებული არსოკ და არსუკ, ლეონტი მროველთან შეცვლილია სახელით „არშაკ“. პ. ინგოროყვას აზრით, ვარიანტი „არშაკ“ არის მწიგნობრული ინტერპრეტაცია სახელისა არსოკ (არსუკ), იმ მოსაზრებით, რათა ეს პირნი დაეკავშირებინათ არშაკიდების დინასტიასთან, თუმცა ასეთი დაკავშირების საფუძველს ვერ ხედავს.[2] სახელი „არშაკ“

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 27.

[2] პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბილისი, 1978, გვ. 513.

ლეონტის წარმოდგენით, ძველი სომხეთის ძლიერების ხანის სამეფო დინასტიას განასახიერებს[1] და მას, ე. ი. არშაკუნიანთა დინასტიას ერთგან განმადიდებელი ეპითეტითაც „დიდებულთა არშაკუნიანთა" მოიხსენიებს.[2] ამის გამო, ზოგი მკვლევარი ლეონტის მიკერძოებაში ადანაშაულებს, თითქოს, ასეთი დამოკიდებულება არშაკუნიანებისადმი მისი სუბიექტური განწყობილების გამოხატულება ყოფილიყოს. საგულისხმოა, რომ სუმბატ დავითის ძე კიდევ უფრო მაღალ ხარისხში წარმოგვიდგენს არშაკუნიანთა დინასტიას. ბაგრატ IV-ის დედის, მარიამ დედოფლის კეთილშობილებისა და განსაკუთრებული ღირსების წარმოსაჩენად ბაგრატიონთა დინასტიის მემატიანე წერს, რომ მარიამი „ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა".[3] მიუხედავად იმისა, რომ მარიამ დედოფალი მამით ვასპურაკანის სამეფო დინასტიის არწრუნების, ხოლო დედის მხრიდან ბაგრატუნების წარმომადგენელი იყო, ქართველი მემატიანე ამით არ კმაყოფილდება და დედოფლის განსადიდებლად, მისი აზრით, უფრო საპატიო არშაკუნიანობას მიაწერს. აშკარაა, რომ შუა საუკუნეების საქართველოში არშაკუნიანთა დინასტიაზე მაღალი წარმოდგენა ჰქონდათ და მათთან კავშირი საპატიოდ მიაჩნდათ. საგულისხმოა, რომ სომეხ არშაკუნიანებს ბასილ I-ის წინაპრად ასახელებს ბიზანტიური ისტორიოგრაფიაც.[4]

ასე რომ, ლეონტის თხრობაში ფარნავაზიანებისა და არშაკუნიანების ცალკეული წარმომადგენლების დამოყვრება და ამის საფუძველზე შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე არშაკუნიანი უფლისწულის აღმოჩენა არაფერს საჩოთიროს მაშინ არ შეიცავდა. საყურადღებო სულ სხვაა. მსგავსი ფაქტები მ. ხორენაცისთვის უცნობია. ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე

[1] იხ. აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 466.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 63.

[3] იქვე, გვ. 386.

[4] იხ. К. Н. Юзбашян, Армянские государства элохи Багратидов и Византия IX-XI вв, Москва, 1988, с. 101-105.

პერიოდში ფარნავაზიანთა ტახტზე სომეხი არშაკუნიანები მსხდარიყვნენ და ამის შესახებ მ. ხორენაცის არაფერი ეთქვა. ეს ხომ სომეხი მემატიანის კონცეფციის სრულიად საწინააღმდეგო მოქმედება იქნებოდა? ისღა დაგვრჩენია, ქართლის ტახტზე არშაკუნიანი მეფეების არსებობა ძირითადად, ლეონტის ინიციატივას მივაწეროთ. ეს, სხვათა შორის, ლეონტის თხრობაშიც იგრძნობა, რამდენადაც ამა თუ იმ არშაკუნიანი უფლისწულის ქართლის ტახტზე მოხვედრა და მათი წარმომავლობის ისტორია ხელოვნური შენათხზის დაღს ატარებს. ქრისტიანობამდელი ხანის ქართლის 23 მეფიდან 17 არშაკუნიანი გამოყავს, თუმცა მათი უმრავლესობის არშაკუნიანობა დამაჯერებლობას სავსებით მოკლებულია. ლეონტის თანახმად, პირველი არშაკუნიანი ქართლის მეფე, სომეხი მეფის ვაჟი არშაკი ყოფილა. ლეონტი არ ასახელებს ამ სომეხი მეფის სახელს, მაგრამ თუ მის მინიშნებებს გავითვალისწინებთ სელევკიანთა სამეფოს დაცემის შესახებ, მაშინ ის არტაშეს I-ს უნდა გულიხმობდეს, რომელიც ქართლის ერისთავებს მოუწვევიათ ფარნაჯომის ნაცვლად, რადგანაც ამ უკანასკნელს ქართველთა რჯულისთვის უღალატია და სპარსულის დანერგვას შესდგომია. არშაკის შემდეგ ქართლის მეფე, ლეონტის თანახმად, ხდება მისი ვაჟი არტაგი, მის შემდეგ კი ამ უკანასკნელის ვაჟი ბარტომი. ე. ი. ქართლის ტახტი შთამომავლობით გადაეცემოდა მამიდან შვილზე არშაკუნიან მეფეებს. ფაქტობრივად, აქ წყდება არშაკუნიანთა ზეობა ქართლის ტახტზე, რის შემდეგ ქართლის ტახტს სპარსელთა დახმარებით იკავებს ფარნაჯომის ვაჟი მირვან ნებროთიანი. ამ უკანასკნელის ვაჟს ტახტს ეცილება ადერკის ძე ქართამი, ასულისწული ბარტომ მეფისა, რომელიც თავის მხრივ ეგრისელი ქუჯის ძისწულია. ადერკის მხოლოდ დედა ჰყავდა არშაკუნიანი და, მიუხედავად ამისა, გამეფების შემდეგ ლეონტი მას არშაკუნიანად ნათლავს როგორც ბარტომის ძეს, თუმცა სინამდვილეში ბარტომს ძე არ ჰყოლია და ამიტომ ქუჯის შთამომავალი ქართამი იშვილა, რომლის შვილიც იყო ადერკი. ასე რომ, ადერკი ბარტომის შვილობილის შვილია

და წარმომავლობით არშაკუნიანი ვერ იქნებოდა. წინააღმდეგობა ლეონტის თხრობაში სრულიად აშკარაა. გაუგებრობას იწვევს ისიც, რომ ადერკის ყველა მომდევნო მეფე ქრისტიან მირიანამდე, მისი პირდაპირი შთამომავალია და ისინიც არშაკუნიანთა რიგში არიან ჩათვლილი. ამას გარდა, ნებროთიანი ქართველი მეფეებიც სომხეთის არშაკუნიანებთან დანათესავებას ცდილობენ: აძლევენ მათ თავის ქალებს ცოლად ან თვითონ ირთავენ ცოლად არშაკუნიანთა ქალებს.[1] ერთი სიტყვით, ქართული სამეფო დინასტიის კავშირი სომხეთის არშაკუნიანებთან უძველესი ისტორიის, თითქმის არც ერთ ეტაპზე არ წყდება. ლეონტის დაჟინებული ცდები ქრისტიანობამდელი ხანის ქართველი მეფეების უმეტესი ნაწილის გაარშაკიანებისა სრულიად აშკარაა. ასეთ მცდელობას, რა თქმა უნდა, რაღაცა მოტივი უნდა გააჩნდეს და რამდენადმე მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს. როდესაც ბიზანტიური ისტორიოგრაფია ახალი (მაკედონელთა) დინასტიის დამაარსებელს, უბრალო წარმომავლობის ადრიანოპოლელ ბასილ I-ს (867-886) შორეულ წინაპრებს სომეხ არშაკუნიანთა შორის უძებნიდა და თრდატ I-ის შთამომავლად სახავდა, ცხადია, ამით ბიზანტია თავის პრეტენზიებს აცხადებდა წარმოქმნის პროცესში მყოფ ბაგრატუნთა სომხეთზე.[2]

ლეონტი მროველის დროისთვისაც, სომხეთის მემკვიდრეობის დაუფლების ამოცანა სავსებით რეალურად იდგა ბიზანტიისა და საქართველოს წინაშე, რომლის რეალიზაცია საფუძვლიან სამართლებრივ დასაბუთებასაც ითხოვდა. ქართველ და სომეხ ბაგრატოვანთა საერთო წარმომავლობის გვერდით, ძველ ქართულ და სომხურ დინასტიათა ნათესაობის წარმოჩენას, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეეწყო პოლიტიკური აზრის ქართველთა პრეტენზიების სასარგებლოდ წარმართვისათვის და, მეორე მხრივ, სომხური საზოგადოება ქართული სახელმწიფოსადმი ნდობით განეწყო. თუ არა ასეთი მიზანი, უმოტივო

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 28, 33 და სხვ.

[2] კ. იუზბაშიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 100-105.

და გაუგებარი იქნებოდა სომეხი არშაკუნიანებისა და ფარნავაზიანების დაკავშირების ლეონტი მროველის დაჟინებული ცდები.

ლეონტი მროველი, ჩანს, ითვალისწინებდა, რომ ფარნავაზიანთა გაარშაკუნიანების მისი დიპლომატიური ხერხი, შესაძლოა გამაღიზიანებელი ყოფილიყო ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, რომელთა განვითარებული ღირსების გრძნობა ძნელად უნდა შეგუებოდა ძველი ქართული სამეფო დინასტიის თუნდაც ნაწილის სომხურ წარმომავლობას, რის გამოც, ეტყობა, თავის ამ ლეგენდარულ გადმოცემას საგულისხმო განმარტებებს ურთავს. არშაკუნიანი უფლისწულების გამოჩენა ქართლის სამეფო ტახტზე, ლეონტის თანახმად, არაა დაკავშირებული მეზობლებს შორის ომებთან ან სომეხთა მხრიდან ძალადობის რაიმე გამოვლენასთან. ქართლის ტახტზე მათ ქართველი ერისთავები იწვევენ. ქართლის ტახტზე ასვლის უმთავრესი და გადამწყვეტი პირობა ქართლის „მკვდრთა და ერისთავთა" თანხმობის გარდა, არის პრეტენდენტის ფარნავაზიანობა. ლეონტი საგანგებოდ შენიშნავს: „ქართველთა დიდი სათნოება აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ; და არა უნდა სხჳსა ნათესავისა მეფობა, რომელსამცა არა შესდგმიდა ფარნავაზიანობა".[1] ამ პრინციპის შესაბამისად, ლეონტის მიერ დასახელებული ქართლის ტახტის პრეტენდენტები, საიდანაც არ უნდა მოეწვიათ ისინი ერისთავებს — სპარსეთიდან, სომხეთიდან თუ თვით საქართველოს მხარეებიდან, ნათესაობის რომელიმე ხაზით (მამის ან დედის), ყოველთვის ფარნავაზიანები არიან. ამიტომ, ქართლის არშაკუნიანი მეფეებიც, წარმოშობით, ნახევრად მაინც ქართველები არიან, ხოლო თავისი მოღვაწეობითა და საქმიანობით სრული ქართველები, ქართული პოლიტიკური ინტერესების, სარწმუნოებისა და კულტურის ერთგული დამცველები. მაგალითად, ლეონტის მიხედვით, ქართლის ერისთავები სომეხი მეფის ძე არშაკს იმიტომ იწვევენ, რომ განდევნონ სპარსული სჯულის შემომღებელი ფარნაჯომი

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 32.

და დაიცვან მამაპაპური სარწმუნოება.[1] ასევე სხვა არშაკუნიანებიც ზრუნავენ ქართლის ძლიერებისათვის „დაჯდა მეფედ არშაკ; და მეფობდა იგი ნებიერად, და უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა. და უმეტეს მოამტკიცნა ზღუდენი ჯავახეთს, ქალაქსა წუნდას",[2] ე. ი. სომხეთთან საზღვრისპირა მხარეები. ბარტომ არშაკუნიანმა კი „უმატა ზღუდეთა მცხეთისათა და ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა".[3] ადერკი არშაკუნიანი „დაჯდა მცხეთას და მეფობდა კეთილად".[4] ლეონტის გადმოცემით, ქართლის არშაკუნიანი მეფეები წლების მანძილზე თავდაუზოგავად ებრძვიან ერვანდიან სომეხ მეფეებს ქართლის სამხრეთის საზღვრების დასაცავად და საბოლოოდ აღწევენ კიდეც მიზანს. ქართველი მემატიანის თქმით, „სიმჭნითა მათითა უკუმოიხუნეს საზღვარნი ქართლისანი".[5] ასე რომ, ლეონტის მიხედვით, ქართლის არშაკუნიან მეფეებს მხოლოდ სახელი უჩანთ არაქართული, თორემ თავისი არსით თავანკარა ქართველები არიან.

თავისი ისტორიული კონცეფციიდან გამომდინარე, ლეონტი მროველი საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს თხზულებაში ქართველ-სომეხთა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ფაქტების აღწერას, რომელთა მიზანი, როგორც საშინაო, ისე საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტა იყო. სწორედ ამ კონტექსტშია წარმოდგენილი არშაკუნიანი უფლისწულების აღზევება ფარნავაზიანთა ქართლის ტახტზე. ქართლის მეოთხე მეფე ფარნაჯომი რელიგიური რეფორმის გატარებას შეუდგა, რამაც ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. ფარნაჯომს ზურგს ძლიერი სპარსეთი უმაგრებდა, ამიტომ მეფით უკმაყოფილო ქართლის ერისთავებმა დახმარებისათვის სომხეთის მეფეს მიმართეს და ქართლის ტახტი მის შვილს

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 29.
[2] იქვე, გვ. 30.
[3] იქვე.
[4] იქვე, გვ. 35.
[5] იქვე, გვ. 50.

შესთავაზეს, რომელსაც ცოლად „ფარნავაზიანთა ნათესავი“ ჰყავდა. იმ დროის ქართული საზოგადოების შეხედულებით, უცხო ძალის გამოყენება შინაპოლიტიკურ ბრძოლაში ჩვეულებრივი და მისაღები იყო, თუკი მიზანი ამართლებდა ასეთ მოქმედებას.[1] სიმართლე კი ერისთავების მხარეს იყო, რომლებიც მამათა სჯულს იცავდნენ და სპარსული წესების დანერგვას ეწინააღმდეგებოდნენ. ქართველ-სომეხთა სამხედრო კავშირმა მოწინააღმდეგეზე გაიმარჯვა, დაიცვა ეროვნული სარწმუნოება. ამიტომ სომეხი უფლისწულის გამეფება და სომეხთა ძალის გამოყენება შუა საუკუნეებში მიღებული თვალსაზრისით, სავსებით გამართლებული იყო. ამის შემდეგ, ლეონტის გადმოცემით, ქართლის ტახტის გარშემო იწყება გააფთრებული ბრძოლა პრეტენდენტებს შორის, რომლებიც აქტიურად იყენებენ უცხო ძალას, ხან სპარსელებისა და ხან სომხების სახით. მკვლევარები ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ ქართლის ტახტზე სომხეთის სამეფო სახლის წარმომადგენელთა ყოფნისას, ეს ბრძოლები უფრო ხშირად, ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქრის გამარჯვებით მთავრდება, რასაც სომეხთა უპირატესობად აღიქვამენ და ლეონტის სუბიექტური განწყობით, ანდა სომხური ტრადიციის გავლენით ხსნიან.[2]

ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფცია ამგვარი ახსნის საბაბს, ვფიქრობ, მაინცდამაინც არ უნდა იძლეოდეს. გ. მელიქიშვილი, რომლის აზრით, ლეონტის თხზულებას „არმენოფილური დაღი აზის“, შენიშნავს, რომ ტექსტი დაწერილია კეთილგანწყობით როგორც სომეხთა, ისე ქართველთა მიმართ[3] და ეს სავსებით გასაგებია. ლეონტის კონცეფციის მიზანი კავკასიის ხალხთა, განსაკუთრებით კი ქართველთა და

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 11-12.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 63-65; ა. აბდალაძე, „ქართლის ცხოვრება“ და საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, თბ., 1982, გვ. 62-63 და სხვ.

[3] მაცნე, 3, 1967, გვ. 56.

სომეხთა თანამშრომლობისა და ერთიანობის პროპაგანდაა. ამიტომაც სომეხ-ქართველთა გაერთიანებულ ძალებს უფრო ხშირად ამარჯვებინებს, რათა ამ კავშირის უპირატესობა და მნიშვნელობა ცხადყოს ქართველთა ნებისმიერი სხვა შესაძლებელი ალიანსის წინაშე.

აქედან გამომდინარე, ისეთი ფაქტების გადმოცემისას, სადაც სომეხთა როლი შედარებით გამოკვეთილად მოჩანს, ჩვენი ავტორი ცდილობს შექმნილი შთაბეჭდილების შემამსუბუქებელ გარემოებებით გაწონასწორებას. მაგალითად, ქართლის ტახტზე არშაკუნიანი მეფეების აღზევების კანონზომიერება გამართლებულია მათი ფარნავაზიანობით დედის ან მამის ხაზით, ხოლო ქართველებსა და სომხებს შორის წარმოქმნილი საომარი მოქმედების აღწერისას, ორივე მხარეს რიგ-რიგობით, დაახლოებით, თანაბარ წარმატებას მიაწერს, რითაც დაპირისპირებული მხარეები საბოლოოდ დაზავებამდე და „სტატუს ქვოს“ აღდგენამდე მიჰყავს. ამ ეპიზოდების ლეონტისეული მოთხრობა იმითაცაა საყურადღებო, რომ ფაქტებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ის მკვეთრად უპირისპირდება მ. ხორენაცის ანალოგიურ მოთხრობას და მთლიანად უარყოფს ძველი დროიდანვე კავკასიაში სომეხთა უცილობელი პოლიტიკური ბატონობის ხორენაცისეულ კონცეფციას. ქართლზე სომხეთის პოლიტიკური უპირატესობის დროის მონაკვეთს ლეონტი კონკრეტული ქრონოლოგიური ჩარჩოებით საზღვრავს და ქართლში ორმეფობის დასაწყის პერიოდს ამთხვევს და ქართველ-სომეხთა ურთიერთობის ისტორიაში მას მოკლე და შედარებით უმნიშვნელო ეპიზოდად მიიჩნევს. იგი წერს: „ადერკისითგან ვიდრე ამათ მეფობამდე (ე. ი. ადერკის შვილიშვილების ფარსმან და კაოსის მეფობამდე) იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისასა. და უმეტეს არმაზელი მეფენი შეეწეოდნენ სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა. მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ. და დაივიწყა მან კეთილი ქართველთა, ემძლავრა ფარსმან არმაზელსა,

და მოულო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე".[1] მოყვანილი ტექსტიდან გამომდინარე, ქართლის სომხეთისადმი დაქვემდებარების პერიოდს ლეონტი, თითქოს, ქართლის მეფეთა ორი თაობის მმართველობის დროით საზღვრავს (ადერკისითგან ფარსმან და კაოსის მეფობამდე), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ლეონტის ცნობებს ადერკის შვილების — ბარტამისა და ქართამის მეფობის მშვიდობიანი და უშფოთველი ხასიათის შესახებ „და მეფობდა ესე ბარტომ და ქართამ მშჳდობით და სიყვარულსა ზედა ერთმანეთისასა",[2] გამოდის, რომ სომეხთადმი მორჩილების ხსენებული პერიოდი ქართლის მეფეთა მეორე წყვილის, ფარსმან და კაოსის მმართველობის ხანაზე, ე. ი. ადერკის შვილიშვილებზე მოდის, ამასთან, სომეხთა მორჩილი მთლიანად ქართლი კი არა, არამედ მტკვრის მარჯვენა მხარე, ფარსმანის სამმართველო ნაწილი ყოფილა: „უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწეოდნენ სომეხთა ყოველთა მტერთა მათთა ზედა"-ო. თავისთავად, თარგამოსიანთა ურთიერთშეწევნა საერთო მტრის წინააღმდეგ უჩვეულოს არაფერს შეიცავდა, მაგრამ ამჯერად ეს „შეწევნა" ცალმხრივი და ამასთან იძულებითიც იყო, რადგანაც „მეფე იარვანდ ... ემძლავრა ფარსმან არმაზელსა, და მოულო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე".

ასეთი დამოკიდებულება ქართველებსა და სომხებს შორის კი ლეონტის კონცეფციისათვის მიუღებელი იყო, რის გამოც სომეხთა მეფის საქციელს საძრახისად მიიჩნევს და საქართველო-სომხეთის ტრადიციული ურთიერთობის დარღვევაში იარვანდს ადანაშაულებს: „დაივიწყა მან კეთილი ქართველთა"-ო. ერთობ საგულისხმოა, რომ სომეხთა მეფის მიერ ჯავახეთის ნაწილის მიტაცებას მ. ხორენაცი არ აღნიშნავს, რაც, თითქოს, განსაზღვრულ ეჭვს უნდა აღძრავდეს მოყვანილი ფაქტის ნამდვილობაზე. მაგრამ სასაზღვრო კონფლიქტზე ყურადღების გამახვილება, რაც თავისთავად ქართლის დამოუკიდებელი

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 44.

[2] იქვე.

სახელმწიფოს არსებობის აღიარებასაც ნიშნავდა, რომლის სუვერენული უფლებები სომეხთა მეფემ უხეშად დაარღვია, რა თქმა უნდა, მ. ხორენაცის პოლიტიკურ ანგარიშებში ვერ შევიდოდა. მ. ხორენაცის თვალსაზრისისთვის ქართლის არსებობა მხოლოდ სომხეთის შემადგენლობაშია დასაშვები, რასაც ლეონტის მიერ დახატული სომხეთთან სასაზღვრო კონფლიქტის სურათი მკეთრად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც არის, რომ ლეონტი მროველისა და მ. ხორენაცის მიერ ამ პერიოდის საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიის ფაქტების გადმოცემა ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავდება შინაარსითა და ფორმითაც, რომელთაც ურთიერთისგან განსხვავებული, ერთმანეთის საპირისპირო პოლიტიკური კონცეფციის დაღი აზით.

სომეხთა მეფის იარვანდის ძალადობა, გასაგებია, ქართლის ხელისუფალთა საპასუხო მოქმედებას ითხოვდა და ლეონტი მროველიც დაწვრილებით გადმოგვცემს მეზობელთა შორის იმ დროს განვითარებულ საბრძოლო პერიპეტიებს. ქართლის მეფეების, ფარსმანისა და კაოსისგან განსხვავებით, მათი მემკვიდრეები არმაზელ და აზორკ, ლეონტის დახასიათებით მამაცნი და მარჯვენი იყვნენ და შეეცადნენ კიდეც სომეხთა მიერ მიტაცებული ქართლის ტერიტორიების დაბრუნებას. როგორც ჩვენი მემატიანე გვაუწყებს: „განიზრახეს ძიება საზღვართა ქართლისათა".[1] მათ მიიმხრეს ჩრდილოეთის ხალხები: ოსები, პაჭანიკები, ჯიქები, ლეკები, დურძუკები, დიდოელები და ვიდრე სომხები ამის შესახებ გაიგებდნენ, ფარულად შეკრიბეს ურიცხვი ლაშქარი, მოულოდნელად შეიჭრნენ სომხეთში და მთელი რიგი ოლქები — შირაკუანი, ბაგრევანდი, ბასიანამდე და ნახჭევანამდე მოაოხრეს, უამრავი ტყვე და დიდი ნადავლი, ქონება-განძი ჩაიგდეს ხელში და უკან დაბრუნდნენ. სომეხთა სარდალი სმბატ ბივრიტიანი დაედევნა და ბრძოლა გაუმართა ქართველებსა და ოსებს. ამჯერად უკვე სომხებმა

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 45.

მოაოხრეს ქართლი, მაგრამ ქართლის მეფენი აზორკ და არმაზელ, ლეონტის თქმით, „სიფიცხლითა გულისა მათისათა არა შეუშინდეს... არა დასცხრეს კირთებისაგან სომეხთა ზედა“. ქართველებთან დამეგობრებული ოსებიც ერთობლივად უტევდნენ და ავიწროებდნენ სომხებს, რის გამოც სომხებისა და ქართველ-ოვსთა ლაშქარს შორის ბრძოლა, ორივე მხარის ცვალებადი უპირატესობით კარგა ხანს გაგრძელდა, ბოლოს კი, როცა ქართველებმა სომეხთა ლაშქრის წინამძღოლი და მეფის ძე ზარეჰი დაამარცხეს ჯავახეთში, დაატყვევეს ცელის ტბასთან და დარიალის ციხეში გამოკეტეს, დაიწყო მოლაპარაკება დაპირისპირებულ მხარეებს შორის. ქართველმა მეფეებმა გაანთავისუფლეს სომეხი უფლისწული და აღუთქვეს საჭირო შემთხვევებში სამხედრო დახმარება, — „ხოლო ამისთჳს სომეხთა უკუმისცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი. და მიერითგან იქმნეს მოყუარე სომეხნი და ქართველნი და ოვსნი. და სამივე ერთობით ბრძოდეს მტერთა“ — საზეიმოდ აცხადებს ლეონტი მროველი,[1] რითაც კვლავ და კვლავ ყურადღებას ამახვილებს მისი კონცეფციის უმთავრეს თეზისზე: კავკასიის ხალხთა ურთიერთობაში ძირითადი თანამშრომლობა და მოყვრობაა.

ქართველ-სომეხთა ომების ისტორიის ლეონტის მსგავსად გადმოცემა, გასაგებია, რომ მ. ხორენაცის ხელს არ მისცემდა. მისი კონცეფცია ასეთ მოთხრობას, უბრალოდ, ვერ იგუებდა. ამიტომ ის ხსენებულ მოვლენებზე საუბრისას მხოლოდ ზოგადი შენიშვნებით კმაყოფილდება, მისთვის უხერხულ ფაქტებს კი სახეშეცვლილი შინაარსით წარმოგვიდგენს. მაგალითად, მის თხზულებაში ქართველ-სომეხთა ომები ალან-სომეხთა ომებადაა მონათლული, ხოლო ქართველები, ისიც მხოლოდ ერთი ნაწილი, ამ ომის უნებლიე და პასიურ მონაწილედაა გამოყვანილი. მ. ხორენაცი წერს: „იმ ხანებში ალანები შეუთანხმდნენ ყველა მთიელებს, მიიმხრეს ქართველთა ნახევარი ქვეყანაც

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 45-49.

და დიდძალი ლაშქრით მოეფინნენ ჩვენს მიწა-წყალს. არტაშესმა შეჰყარა თავისი მრავალრიცხოვანი ჯარი და ატყდა ომი ორ მამაც მშვილდოსან ნათესავს შორის".[1] როგორც ვხედავთ, მ. ხორენაცი არ ასახელებს ომის მიზეზებს, სომეხი მეფის მიერ ჯავახეთის ნაწილის მიტაცებას, ლაშქრობის მოთავედ ალანები გამოყავს და არა ქართველები და მათი მეფეები აზორკი და არმაზელი, მკითხველს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქართველები სულაც არ აპირებდნენ სომხებთან შებრძოლებას და მხოლოდ მისი ერთი ნახევარი მიიმხრეს ალანებმა, მეორე ნახევარი კი, იგულისხმება, სომეხი მეფის ერთგულებას შერჩა.

ერთი სიტყვით, ქართლი სომხეთის დაქვემდებარებულ ქვეყანადაა ნაგულისხმევი, ამიტომაც, არც ქართველთა მიერ კავკასიელებთან ერთად შირაკუანისა და ბაგრევანდის დალაშქვრასა და არც ქართლის დასაპყრობად სომეხთა სარდლის, სმბატ ბივრიტიანის მრავალგზის ლაშქრობაზე ამბობს რაიმეს. სომხეთთან დაპირისპირებულ ღირსეულ ძალად, მხოლოდ ალანებს მიიჩნევს: „ატყდა ომი ორ მამაც მშვილდოსან ნათესავს შორის"-ო. მისი დამოკიდებულება ქართლისა და ქართველების მიმართ აშკარად ქედმაღლურია, რაც კიდევ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს იმ ეპიზოდში, სადაც საუბარია ქართველთა მიერ სომეხი უფლისწულის ზარეჰის დატყვევებაზე. მ. ხორენაცი წერს: „ზარეჰი იყო პატივმოყვარე კაცი, მხეცებზე ნადირობაში მარჯვე, ხოლო ომში მხდალი, უვარგისი. იგი გამოცდილი ჰყავდა ქართველთა მეფეს, ვინმე ქარძამს, /რომელმაც/ აუჯანყა ქვეყანა, შეიპყრო და კავკასიის მთაზე ციხეში ჩასვა ზარეჰი. /ქარძამს/ შეებრძოლნენ არტავაზდი და ტირანი სმბატის თანხლებით და გამოიყვანეს ძმა ტალახიდან".[2] ტექსტის ამ ნაწილში ყურადღებას იქცევს ქართველი მეფის კნინობითად მოხსენიება „ვინმე ქარძამი", რაც უშუალოდ გამოხატავს ავტორის დამოკიდებულებას ქართლის უძველესი ისტორიის მიმართ. მიიჩნევს რა ქართველ მეფეებს ბევრად უფრო ნაკ-

[1] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 141.
[2] იქვე, გვ. 144-145.

ლები მნიშვნელობის ხელისუფლებად, ზარეჰის დატყვევებას მათ წარმატებად კი არ მიიჩნევს, არამედ სომეხი უფლისწულის უვარგისი თვისებებით ხსნის და და ქართველი მეფეების ბრძოლას სომეხთა ძალადობის წინააღმდეგ, მხოლოდ ანტისომხურ აჯანყებად განიხილავს. ასეთი თვალსაზრისის შესაბამისია ზარეჰის განთავისუფლების გარემოებათა ხორენაცისეული აღწერაც. მისი მტკიცებით, სომეხი უფლისწულის განთავისუფლება დაპირისპირებული მხარეების მოლაპარაკების შედეგად და ორივესთვის მისაღებ საფუძველზე კი არ მომხდარა, არამედ ზარეჰის ძმებსა და სმბატ ბივრიტიანს სამხედრო ძალის გამოყენებით უიძულებიათ ქარძამი დაეთმო მათთვის ტყვე. ამ მხრივ ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართველთა ტყვეობაში ყოფნას სომეხი უფლისწულისთვის სამარცხვინო მოვლენად მიიჩნევს, რის გამოც, მის განთავისუფლებას ტალახიდან ამოყვანას უთანაბრებს.

ლონტი მროველი, თავისი კონცეფციის შესაბამისად, მკითხველის ყურადღებას უმთავრესად მაინც საერთო მტრების, ძირითადად, სპარსელების წინააღმდეგ ქართველ-სომეხთა ერთობლივი ბრძოლის ეპიზოდებზე ამახვილებს. ამასთან, დამახასიათებელია, რომ მითურ ხანაში ერთობლივი ბრძოლის წინამძღოლი სომეხთა ეთნარქი იყო. მეზობელ სახელმწიფოთა თანამშრომლობის პერიოდში უკვე უფრო აქტიურნი ქართველები ჩანან. ასეთი სურათი იხატება, მაგალითად, ლეონტის თხზულებაში ფარსმან ქველის მოღვაწეობის აღწერისას. თხრობა გაშლილია მირდატ და ფარსმან მეფეების დაპირისპირების ფონზე. „მირდატს შეეწეოდნენ სპარსნი, ხოლო ფარსმანს სომეხნი“.[1] მირდატი ბოროტ ძალას განასახიერებს: „ესე მირდატ იყო კაცი ურვილი და მოსისხლე“,[2] ფარსმანი კი — კეთილს. მის დასახასიათებლად ლეონტი არ იშურებს მხატვრული გამომსახველობის არანაირ საშუალებას: „ხოლო ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნ-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 51.

[2] იქვე.

დობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მჭნე მჭედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ვითარცა უხორცო და ყოვლითავე უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა, რომელნი გარდაცვალებულ იყვნეს უწინარეს მისსა".[1]

ლეონტის მტკიცებით, ფარსმან ქველი თვით მირდატის მხარის ქართველებსაც უყვარდათ და სძულდათ მირდატი „მესისხლეობისა და მედგრობისათვის", რის გამოც, მათგან უმრავლესი გადაუდგა პატრონს. ფარსმან ქველი ქართლისა და სომხეთის მხედრობით ებრძვის სპარსელებს, მაგრამ კრიტიკულ სიტუაციებში მაინც ფარსმანისა და მისი სპასპეტის, ფარნავაზის მოხერხება და გმირობა წყვეტს ბრძოლის ბედს. ლეონტის თქმით, მრავალ დიდ გამარჯვებათა შედეგად „განითქუა სახელი ფარსმან ქუელისა და სპასპეტისა მისისა ფარნავაზისა. წინამძღუარ ექმნა იგი სპათა ქართლისა და სომხითისათა. და იწყო ბრძოლად სპარსთა და შესლვად სპარსეთს. და ვერღარა — ოდეს ვინ წინააღუდგა ფარსმან ქუელსა".[2]

ამ ტექსტში ლეონტი მროველი ერთგვარი შეპარვით, უაღრესად მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის. ქართლთან ერთად სომხეთის ჯარის წინამძღვრობა (ე. ი. სარდლობა) არ იყო ქართველ-სომეხთა ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მოვლენა და თავისი შინაარსით მკაფიოდ განსხვავდებოდა სამხედრო დახმარების იმ პირობებისაგან, რომლის დასახასიათებლად მემატიანეები იყენებდნენ გამოთქმას „მოირთო ძალი სომხითით", სპარსეთით თუ სხვა მხრიდან. სომხეთის ჯარის სარდლობა ქართლის მეფეს ამ ქვეყნის დაქვემდებარების შედეგად შეეძლო მხოლოდ, მით უმეტეს, რომ ლეონტის დასტურით, ეს შესაძლებელი გამხდარა ფარსმან ქველის გახმაურებული გამარჯვებებისა და მისი გავლენის გაზრდის შედეგად. ნიშანდობლივია, რომ ფარსმან I-სა (I საუკუნის 30-60-იანი წლები.) და ფარსმან II-ის (II საუკუნის 30-50-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 51.

[2] იქვე გვ. 52-53.

იანი წლები.) ბრძოლას სომხეთისათვის პართიის წინააღმდეგ თანხმობით ადასტურებენ რომაული წყაროები (ტაციტუსი და სხვები),[1] რის გამოც ლეონტის ეს ცნობა დამაჯერებლობას იმსახურებს. რამდენადაც ლეონტი მიზნად ისახავდა ორივე ხალხისთვის ქართველ-სომეხთა ერთიანობის განსაკუთრებული სასიკეთო მნიშვნელობა ეჩვენებინა, ალბათ, ამიტომაც გვერდს უვლის ფარსმან ქველის მიერ სომხეთის დაქვემდებარებისა თუ თავის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცევის ისტორიის დეტალებს და ყურადღება გადააქვს ასეთი კავშირის წარმატებულ შედეგებზე ძლიერი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლეონტის მტკიცებით, ფარსმან ქველის სარდლობით ქართველ-სომეხთა ლაშქარს თვით დიდი და ძლიერი სპარსეთიც კი ვეღარ იგერიებდა და მხოლოდ მუხანათი მზარეულის მოსყიდვით შეძლეს ფარსმანის მოწამლვა, რის შემდეგ სპარსელები ბარტამისა და მისი მომხრეების დახმარებით იპყრობენ ქართლს. სომეხთა მეფე ბერძნებს უკავშირდება, რომელთაც დასავლეთ საქართველოც უერთდება. ბრძოლა სპარს-ქართველებისა (ბარტამის მომხრეთა) და სომეხ-ბერძენ-ქართველთა ლაშქარს შორის, საბოლოოდ ამ უკანასკნელთა გამარჯვებით მთავრდება,[2] რაც ასევე ქართველ-სომეხთა კავშირის უპირატესობას ცხადყოფს. ამის საპირიპირო კონცეფციის შემოქმედი მ. ხორენაცი, როგორც მოსალოდნელი იყო, დუმილით გვერდს უვლის სომხეთის ისტორიაში ფარსმან ქველის როლსა და მნიშვნელობაზე საუბარს, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ-ლათინურ წყაროებში კარგად გათვითცნობიერებულ მწერალს, საფიქრებელია, სცოდნოდა ის მდიდარი მასალა, რომელიც ლათინ ავტორებს გააჩნდათ კავკასიაში სახელგანთქმული ქართველი მეფის შესახებ. მ. ხორენაცი ფარსმანს მხოლოდ ერთხელ ახსენებს, ისიც სომეხი მეფის ერთ-ერთი

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 511-568; 643-776.
[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 53-54.

მხედართუფროსის რანგში, რომელიც შეზღუდული წარმატებით მონაწილეობს სომეხთა საშინაო დინასტიურ ბრძოლაში ტახტის ერთ-ერთი პრეტენდენტის მხარეს.[1]

მ. ხორენაცისთვის ქართველ-სომეხთა თანაბარუფლებიანი კავშირი მიუღებელია. მისგან განსხვავებით, ლეონტი გაანაგრძობს გარეშე ძალასთან ქართველ-სომეხთა ერთობლივი ბრძოლის ეპიზოდების გადმოცემას. ფარსმან ქველის შვილის შვილიშვილი ამაზასპიც ძლიერი და „მსგავსი ფარსმან ქუელისა" იყო.[2] იგი წარმატებით ებრძოდა მოძალადე ოსებს, მაგრამ გადამწყვეტი და საბოლოო უპირატესობა მაშინ მოიპოვა, როცა, მემატიანის სიტყვით, „მოირთო ძალი სომხითით". ლეონტის თანახმად, ამის შემდეგ ამაზასპი გალაღდა, გაამპარტავანდა, დიდად შეავიწროვა წარჩინებულნი, რის გამოც ქართლის ერმა ის მოიძულა. ამასთან, „მტერ ექმნა იგი სომეხთა, და შეიყუარა სპარსნი".[3] ამის პასუხად დასავლეთ საქართველოს ხუთი ერისთავი განუდგა ამაზასპს და მოლაპარაკება გამართეს სომეხთა მეფესთან. გაიმართა ბრძოლა და ამჯერადაც სპარსელები დამარცხდნენ ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ლაშქრის წინაშე, რომელსაც ბერძნები და ოსებიც უჭერდნენ მხარს.

სპარსელების წინააღმდეგ ქართველ-სომეხთა სამხედრო თანამშრომლობის ერთობ შთამბეჭდავი სურათი აქვს დახატული ლეონტის უკანასკნელი ფარნავაზიანი მეფის — ასფაგურისა და სომეხთა მეფე კოსაროს (ხოსროს) ურთიერთობის ეპიზოდების გადმოცემისას. იგი წერს: „კოსარო სომეხთა მეფემან უწყო ბრძოლად ქასრე მეფესა სპარსთასა, და შეეწეოდა მას ასფაგურ, მეფე ქართველთა, და ამან ასფაგურ განუხუნის კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნის ოვსნი, ლეკნი, და ხაზარნი, და მივიდის კოსარო მეფისა თანა სომეხთასა ბრძოლად სპარსთა... და პირველსავე შესვლასა სპარსეთად ეწყო ქასრე, მეფე სპარსთა, და აოტეს იგი და მოსრეს სპა მისი. და მიერით-

[1] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 137-138.

[2] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 55.

[3] იქვე, გვ. 57.

გან ვერღარა წინააღუდგა ამათ მეფე იგი სპარსთა, და განამრავლეს შესვლა სპარსეთად და ტყუევნა სპარსეთისა... ვითარ იოტეს სომეხთა და ქართველთა და ჩრდილოსა ნათესავთა მეფე სპარსთა, და განამრავლეს შესვლა სპარსეთს და ოხრება სპარსეთისა; და ვერღარა ოდეს წინააღუდგა მეფე სპარსთა".[1]

სომხეთის ისტორიის ამ მნიშვნელოვან მოვლენაზე საუბარი აქვს მ. ხორენაცისაც. მაგრამ მის თხრობაში ქართველ-სომეხთა სამხედრო თანამშრომლობის ფაქტებმა ასახვა არ ჰპოვა. იგი, ძირითადად, საუბრობს ირანში პართული სამეფო დინასტიის სასანურით შეცვლასა და ამ მოვლენით გამოწვეულ რეაქციაზე არშაკიდულ სომხეთში. მხოლოდ ერთ წინადადებაში გაკეთებული მინიშნებით შეიძლება მიხვედრა, რომ იგი იმ ბრძოლებსაც გულისხმობს, რომელთა შესახებ ვრცლად მოგვითხრობს ლეონტი მროველი. მ. ხორენაცის თქმით, სომხეთის მეფე ხოსროვმა, როგორც კი შეიტყო ირანში დაწყებული არეულობის შესახებ, მაშინვე გაემართა პართიის უკანასკნელი მეფის, მისი ნათესავის არტაბანის გადასარჩენად. იგი რომაელთა დახმარებით ფიქრობდა პართული სამეფო დინასტიის აღდგენას, მაგრამ არ გაუმართლა. არდაშირ სასანიანი აქტიურად ამოქმედდა. მიიმხრო ირანის ყველაზე გავლენიანი გვარები, ხოლო ხოსროვის ნათესავი კარენ ფაჰლავის გვარი გაანადგურა. პოლიტიკური გართულებების გამო ვეღარც რომაელები დაეხმარნენ სომეხთა მეფეს. მიუხედავად ამისაო — წერს მ. ხორენაცი — მან (ე. ი. ხოსროვმა) „თავის ჯარითა და კეთილმოსურნეების, აგრეთვე, ჩრდილოელ ტომთა შეწევნით სძლია არტაშირს, აოტა იგი ინდოელთა ქვეყნამდე".[2] სომეხთა გამარჯვებით დასრულებული ბრძოლების დეტალურად და მხატვრული ხერხებით აღწერის მოყვარული სომეხი მემატიანე, ამჯერად, როგორც ვხედავთ, მეტად სიტყვაძუნწია. აშკარაა, სომეხთა მთავარი დამხმარის როლში ქართველთა წარმოჩენა მის კონცეფციას ეწინააღმ-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 59-60.
[2] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 159.

დეგებოდა, რის გამოც იძულებული გახდა ამ შემთხვევისთვის ბუნდოვანი და გაურკვეველი შინაარსის ეპითეტი „კეთილმოსურნეები" გამოეყენებინა ქართველთა მაგიერ.

სასანიანთა წინააღმდეგ სომეხთა ბრძოლის ამ ეპიზოდში ქართველთა მონაწილეობის ცნობამ ძველ სომხურ საისტორიო მწერლობაში მაინც შეაღწია, თუმცა ამ ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ტენდენციურობით. გრიგოლ პართელის ცხოვრების მიხედვით, სომეხთა მეფემ (ხოსრომ) „შეკრიბა მხედრობა ძლიერი ალვანთაგან და ქართველთა და სხვათა ნათესავთაგან" და ამ ძალებით სასანიანთა სახელმწიფოს ტერიტორიის რბევა-თარეში, თურმე, მთელი ათი წელი გაგრძელებულა.[1]

მოყვანილ ტექსტში, ქართველების მონაწილეობა სომეხთა ბრძოლაში ისეა წარმოჩენილი, თითქოს, ქართლი III საუკუნეში სომეხთა მეფის ხელქვეითი ყოფილიყოს, რაც სიმართლისაგან ძალზე შორსაა. ირანში სასანიანთა გაბატონებამდე ქართლის სამეფო იმდენად ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, რომ არათუ რომსა და პართიას არ ემორჩილებოდა, არამედ ზოგჯერ მათ წინააღმდეგ მტრულ აქციებსაც არ ერიდებოდა.[2] ამ დროისათვის კი ქართლი ისევ დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო იყო,[3] რასაც ლეონტის მიერ მოხმობილი ცნობებიც ადასტურებენ. ამ შემთხვევაშიც, ლეონტი მრავალი ასწორებს მოვსეს ხორენაცისა და, საერთოდ, ძველი სომხური ისტორიოგრაფიის მონაცემებს ქართველ-სომეხთა ურთიერთობის ისტორიაზე და ღირსეულად წარმოაჩენს ამ ურთიერთობაში ქართველთა როლსა და ისტორიულ მნიშვნელობას.

გაცილებით რთული იყო ქართული ენისა და დამწერლობის ისტორიის შეთავსება ლეონტის კონცეფციასთან. „ენათა გაყოფის" შემდეგ და შედეგად რომელი ენა მიიღო თარგამოსმა, ბიბ-

[1] ცხოვრება წმ. გრიგოლ პართელისა, ლეონ მელიქსეთ-ბეგის გამოც., ტფილისი, 1920, გვ. 7; ძველი მეტაფრასული კრებულები, თბილისი, 1986, გვ. 470-471.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 510-537.

[3] იქვე, გვ. 568.

ლიაში არაფერია ნათქვამი (მანამდე კი კაცობრიობა ერთ ენაზე საუბრობდა), ამიტომ ლეონტი თვითონ დაასკვნის: რამდენადაც თარგამოსის უფროსი ვაჟი — ჰაოსი სომეხთა ეთნარქი გახდა და არა მარტო გადმოცემით, არამედ თვითონაც იცოდა, რომ მისი თანამედროვე ჰაოსის შთამომავალთა ენა სომხური იყო, ცხადია, მამის — თარგამოსის და მისი სხვა შვილების ენაც სომხური იქნებოდა. ქართველთა ეროვნული შეგნებისათვის ერთობ უხერხული ეს დასკვნა, როგორც ჩანს, ლეონტის ისტორიული კონცეფციით იყო განპირობებული. მისი თეორია, როგორც ამას ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა „მოითხოვდა სომხური ენის პირველადობას და ლეონტი ცდილობს ზედმიწევნით უჩვენოს ქართული ენის წარმოშობა, სომხურის დატოვება".[1] ციტირებული წინადადების მეორე ნაწილი ცხადად გვიჩვენებს, რომ ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, ლეონტი მროველი თვითონვე გრძნობდა მიღებული დასკვნების უხერხულობას და მისგან თავის დაღწევასაც ცდილობდა. ხალხთა წარმომავლობაზე ბერძნულ-ლათინურ ლიტერატურაში და სხვა ძველ ავტორთა თხზულებებშიც ლეონტი მროველს, რა თქმა უნდა, საკმაო მასალა შეეძლო მოეპოვებინა, რომელიც არა მარტო აარიდებდა ქართველთა ეროვნული თვითშეგნებისათვის მიუღებელ დასკვნებს, არამედ ქართველთა წინაპრებს უპირატეს ასპექტშიც წარმოაჩენდა.[2] ამისთვის საკმარისი იქნებოდა, ალბათ, თარგამოსის ნაცვლად ქართველთა მამთავრად სხვა ბიბლიური პერსონაჟის დასახელება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უკვე შეუძლებელი იქნებოდა იმ პოლიტიკური სარგებლის მიღება, რასაც ქართველი მემატიანე თარგამოსის ოჯახის ერთ-ერთ უმთავრეს წევრად ქართველთა ეთნარქის შეყვანით ვარაუდობდა, მით უმეტეს, რომ ამ გზითაც მოახერხა ლეონტი მროველმა, როგორც მსოფლიო ისტორიის სისტემაში საქართ-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990, გვ. 380.

[2] დერმიშა გოგოლაძე, ლეონტი მროველის ქართველი ხალხის ეთნოგენეტიკური და გლოტოლოგიური კონცეფცია, „მნათობი", 9-10, 2000, გვ. 127-143.

ველოს ისტორიისათვის ადგილის აღმოჩენა,[1] ისე ქართველთა წარმომავლობის, საერთოდ, კაცობრიობის ეთნოგენეზისის პროცესში ჩართვა და ამით ქართველი ხალხის, მეზობლებთან ერთად, მსოფლიოს უძველეს ხალხთა რიგში ჩაყენება.

აშკარაა, ლეონტი მროველი „უხერხული" დასკვნებისა და ცალკეული დებულებებისათვის თავის არიდებას კი არა, მათ გაფერმკრთალებასა და სომეხთა უპირატესობის გამომხატველი, მის მიერ დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების რეალური ისტორიის მიღმა გადატანას ცდილობს.

ლეონტის მიხედვით, ბაბილონის გოდოლის აშენებისა და ენათა განყოფის შემდგომ, თარგამოსი იქიდან „წამოვიდა ნათესავითურთ მისით" და არარატსა და მასისს შუა დაემკვიდრა. ე. ი. „ენათა განყოფამდე" სომხებს, ქართველებს და სხვა კავკასიელებსაც თარგამოსთან ერთად ბაბილონში უცხოვრიათ, იქ კი მთელი კაცობრიობა ერთ ენაზე ლაპარაკობდა, „განძთა ქვაბის" მოწმობით ასურულ ენაზე. ენათა გაყოფის შემდეგ კი, როცა კაცობრიობა მთელ მსოფლიოში გაიფანტა, თარგამოსის შთამომავლობაც კულტურულ-პოლიტიკურ ინდივიდუალობას მხოლოდ საკუთარი მიწა-წყლის დაუფლების შემდეგ იძენს. არარატის მთის ძირას დასახლებისას, თარგამოსის შთამომავლობა ჯერ კიდევ არაა ერთმანეთისგან საბოლოოდ გამიჯნული და ერთად ცხოვრობს, რის გამოც მათ ერთ ენაზე უნდა ესაუბრათ და, რადგანც ეს ტერიტორია შემდეგში ჰაოსის წილხვედრი გახდა, გასაგებია, ეს ენა სომხური იქნებოდა – ასე უნდა ეფიქრა უეჭველია, ლეონტის, თარგამოსის შთამომავლების შემდგომი გამიჯვნისას კი, როცა კავკასიის ხალხთა მომავალი ეთნარქები საკუთარ მიწა-წყალს მოიზომავენ, თანდათან იცვლიან ადრინდელ კულტურულ სახეს და მათი ინდივიდუალობის მანიშნებელ უმთავრეს ფენომენს — ენას კიდევ ერთხელ იცვლიან.

ასე რომ, ლეონტი მროველის წარმოდგენით, თარგამოსის შთამომავალთა კულტურულ-პოლიტიკური ინდივიდუალობა

[1] გურამ მამულია, ლეონტი მროველის და ჯუანშერის წყაროები, მაცნე, ისტორიის სერია, 1964, 4.

და ამ ინდივიდუალობის გამომხატველი საკუთარი ენა, ვაერთო განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შედეგია და არა რომელიმე ნათესავის განსაკუთრებული პრივილეგია. ამიტომაა, რომ ქართლოსიანები თავის კუთვნილ მიწა-წყალზე მოსვლისთანავე, ერთბაშად კი არ იცვლიან მამის საცხოვრისიდან გამოყოლილ ენას, არამედ ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგად, სხვადასხვა უცხოენოვან სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში ყალიბდება და წარმოიქმნება მაშინ ცნობილი, უმნიშვნელოვანესი ენების ლექსიკური ფონდით გამდიდრებული ქართლოსიანთა საკუთარი ახალი ენა. ვფიქრობ, ასე უნდა გავიგოთ ლეონტის ცნობა ქართული ენის წარმოშობაზე, როცა წერს: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური. და ამათ ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული".[1]

ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი გურამ თევზაძე ქართული ენის წარმოშობის ლეონტისეული თეორიის არც პოლიტიკურ შინაარსს გამორიცხავს. იგი შესაძლებლად თვლის ლეონტის ამ თვალსაზრისის საქართველოსა და კავკასიის გაერთიანების შუა საუკუნეებრივ იდეასთან დაკავშირებას. მისი მსჯელობით, გაერთიანების იდეას სჭირდებოდა შემდგომი დასაყრდენი და იოანე ზოსიმე, ჯერ კიდევ მეათე საუკუნეში ქართულ ენას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა: მეორედ მოსვლისას ქრისტე ამ ენაზე განსჯისო. შესაძლებელია, წერს ბ-ნი გურამი, ენთუზიაზმის გარდა იგი ემყარებოდა გადმოცემას, რომელმაც მყარი ადგილი ნახა ქვეყნის ოფიციალურ ქრონიკაში, სადაც ლეონტი მროველი წერდა: „და იზრახებოდა ქართლსა შინა ექვსი ენა..." პირველმა ქართველმა მეფემ ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) „განვრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა". ამ მონაცემთა საფუძველზე ბ-ნი გურამი დაასკვნის, რომ შესაძლებელია იოანე ზოსიმე დარ-

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 16.

წმუნებული იყო, რომ ფარნავაზმა შეძლო და მაშინ ცნობილი, უმნიშვნელოვანესი ენების სიბრძნე გააერთიანა ქართულ ენასა და დამწერლობაში.[1] ასეთი ვარაუდის შესაძლებლობასთან ერთად, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოდესღაც საერთო წინარე ენის მქონე კავკასიის უძველესი მოსახლეობის ტომობრივი ნათესაობის ვარაუდის შესაძლებლობას, განსაზღვრულწილად, თანამედროვე მეცნიერების მონაცემებიც, თითქოს, ემოწმებიან, რომელთა შესახებ ცოდნა, ალბათ XI საუკუნეში ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი მახსოვრობას, მაშინ ლეონტის თეორიით ქართული ენა სომხურთან შედარებით დაჩაგრულად კი არა და პირიქით — გაცილებით სრულყოფილად გამოიყურება, რამდენადაც მან შეძლო და თავისთავში გააერთიანა ყველა მეზობლისა და იმ დროისთვის ცნობილი ენების სიბრძნე. ქართლოსიანთა ახალი ენის ეს დიდი სიმდიდრე საშუალებას აძლევდა თარგამოსიანთა შთამომავალ ყოველ ნათესავს ქართულ ენაში თავისი წილი, საკუთარი ენის სიბრძნეც შეეცნო, რაც ამ ენას მისთვისაც მახლობლად და მისაღებად აქცევდა.

ქართული ენის მიზიდულობის ეს უნარი, როგორც ჩანს, თარგამოსიანთა თავდაპირველ ენას (სომხურს) არ გააჩნდა, რის გამოც, ეტყობა, ის ქართლოსიანებთან ერთად დანარჩენებმაც მიატოვეს. ასეთი ქვეტექსტი, ცხადია, პოლიტიკური შინაარსითაა დატვირთული და წარსულს მომავლის სამსახურში აყენებს, ხოლო სომხეთზე ქართლის კულტურული დამოკიდებულების სომხურ ტრადიციას მთლიანად ნიადაგს აცლის. ამასთან ერთად, კავკასიის ხალხების სისხლით ნათესაობის იდეას, ამჯერად ლეონტი მათი ენების ნათესაობის აზრითაც ავსებს და ამტკიცებს, რაც სავსებით ლოგიკურია მისი პოლიტიკური მრწამსისათვის. უფრო მეტის თქმაც შეიძლება, კავკასიის ხალხების ენებთან შესაძლო ნათესაობა და ქართული ენის მიზიდულობის უნარი, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს ქართული ენის შექმნის ლეონტისეული ვარიანტიდან, მას საერთაშორისო მნიშვნელობის ენად აქცევდა კავკასიაში.

[1] გურამ თევზაძე, იდეოლოგია და კომენტარი შუა საუკუნეების საქართველოში (X-XII სს), „ანალები", 1, 2002, გვ. 20.

საგულისხმოა, რომ ისევე, როგორც ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, ლეონტის „მონათესავეები“ XII საუკუნის მიწურულისათვის ყველა საქართველოში შემოდიოდა, ასევე იმავე ხანებში „მეზობელთა ენების სიბრძნის გამაერთიანებელმა“ ქართულმა ენამ კავკასიაში მართლაც კანონიერად მოიპოვა საერთაშორისო ენის მნიშვნელობა და ეს მდგომარეობა მან, ფაქტობრივად, შუა საუკუნეთა მთელ სიგრძეზე შეინარჩუნა. ფაქტები: მონღოლთა ბატონობის პერიოდშიც კი, როცა დამპყრობლები ყოველნაირად ახალისებდნენ სეპარატიზმს, ანისში კეთდება აბუ საიდის ცნობილი სამთავრობო ოფიციალური წარწერა სპარსულ ენაზე, რომელსაც თან ერთვის მინაწერი სომხურ და ქართულ ენებზე,[1] რაც ქართულის ოფიციალურ სახელმწიფო ენის მნიშვნელობას მოწმობდა სომხეთში. ერთობ ნიშანდობლივი ფაქტია, რომ რუსი კოლონიზატორების მიერ ქართული ენის დევნის პირობებშიც კი, თვით XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში არა მხოლოდ თბილისში და საერთოდ საქართველოს ქალაქებში, არამედ განჯასა და ერევანში და ამიერკავკასიის რიგ სხვა ადგილებში თამასუქები ჯერ კიდევ ქართულად იწერებოდა.[2]

ამრიგად, ლეონტის მინიშნებებმა ამჯერადაც ჰპოვა განხორციელება მისი შემდგომი ხანის კავკასიის სინამდვილეში.

ქართული ენის ამგვარ თავგადასავალს, ჩანს, იზიარებდა ნ. მარიც, როცა წერდა: ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრიობის ენაა, კავკასიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობზე გავრცელებული... ქართულად ლაპარაკობს კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აბხაზთა გარკვეული ფენები, ისევე როგორც საქართველოს საზღვრებში მობინადრე სომხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ დიდოელნი, და თურქებიც კი... წარსულთან შედარებით ქართულს, როგორც კავკა-

[1] В. В. Бартольд, Персидская надпись на стене Анийской мечети Мануче. Сочинения, IV, Москва, 1966, с. 315.

[2] პაატა გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., ტ. 6, თბილისი, 1979, გვ. 327-328.

სიის საერთაშორისო ენას, რიგი პოზიციები დაკარგული აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართული ეროვნული ენა ამჟამადაც კავკასიის საერთაშორისო ენათაგანის ყველა თვისებების მქონებელია. ქართული ენა ნაწილობრივ კავკასიის კულტურული ცხოვრების სინთეზიც არის, რომელიც ძველადაც ერთი საზოგადოებრივი ენის შექმნას ცდილობდა.[1]

ლეონტის თხზულებაში მთელი ყურადღება მეფობის ხანაზეა გადატანილი, რომლის წინარე ისტორია ამ ხანის დადგომის შემამზადებელ საშუალებად გამოიყურება. „მეფეთა ცხოვრების" საწყისი ნაწილის მთელი პათოსი მიმართულია იქით, რომ დაანახოს მკითხველს, როგორ თანდათან და კანონზომიერად ყალიბდება ქართველობა თავისი სახელმწიფოთი, ენით და დამწერლობით. „ქართველთა ნათესავის" ერად ფორმირების ისტორიის ჩვენება იყო ავტორის თანადროული ქართული ფეოდალური საზოგადოების დაკვეთა, რომელიც საჭიროებდა აღმავლობის გზაზე შემდგარი ფეოდალური ერის ისტორიის ღირსეულად წარმოჩენას, რაც მის გამაერთიანებელ მისიას გაამართლებდა. ეპოქის დაკვეთა ლეონტიმ წარმატებით შეასრულა. შუა საუკუნეებში გაბატონებული პროვიდენციალიზმის საპირისპიროდ, ქართველთა საზოგადოებრივი და კულტურულ-პოლიტიკური განვითარება კანონზომიერ ისტორიულ პროცესად წარმოადგინა. ლეონტი თანმიმდევრულად აღწერს ქართლოსიანებისთვის მიკუთვნებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ურთიერთობათა ელემენტების ჩასახვისა და განვითარების პროცესს, საზოგადოებრივ ძალთა განლაგებაში დაწყებულ ცვლილებებს, რომელმაც, საბოლოო ჯამში პირველი ქართველი მეფის ტახტამდე და ქართულ ეროვნულ სახელმწიფომდე უნდა მიგვიყვანოს. ყურადღებას გვიმახვილებს უძველესი ქართული საზოგადოების აღმავალი განვითარების ისტორიულ პროცესზე, რომელიც თანდათან და თანმიმდევრობით იძენდა ერის დამახასიათებელ, იმ დროისთვის მისთვის ცნობილ ნიშნებს.

[1] Н. Марр, К изучению современного грузинского языка, Петроград, 1922, с. 13-14.

ქართლში სახელმწიფოს წარმოშობას, ლეონტი მროველი, ძირითადად, საგარეო-პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირებს, რომლებმაც დააჩქარეს მცხეთის მამასახლისის სახლის ხელში სამთავრო თუ სამეფო ხელისუფლების გადასვლის ხანგრძლივი პროცესი და მითიური ქართლოსის საყდრის სამეფო სახლად ტრანსფორმირება. ლეონტის მიხედვით, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მომცველი ფარნავაზის სამეფოს შექმნით დასრულდა ქართველთა საზოგადოებრივი განვითარების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელმაც მკაფიოდ გამოკვეთა ქართველთა ტერიტორიის საზღვრები და დააჩქარა ქართველთა კულტურულ-პოლიტიკური ინდივიდუალობის ფორმირება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო ფარნავაზის მიერ ქართული ენის სტატუსის ამაღლება სახელმწიფო ენის დონემდე. ამის თაობაზე ქართველი მემატიანე გვაუწყებს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.[1]

ქართული სახელმწიფოს წარმოქმნასთან ქართული მწიგნობრობის დაკავშირებას ძალზე საყურადღებოდ მიიჩნევდა ნ. ბერძენიშვილი. იგი წერდა: ხაზგასასმელი გარემოებაა და მეტად საყურადღებო, რომ ქართულმა ტრადიციამ ქართული მწიგნობრობის გაჩენა დაუკავშირა არა ქრისტიანობის შემოსვლას (როგორც ეს, მაგალითად, სომხური ტრადიციის მიხედვითაა. — გ. მ.), არამედ ქართული ეროვნული კულტურის დიდ ტეხილს — ქართული სახელმწიფოს წარმოქმნას. მაშინ გაფორმდა, ლეონტის წარმოდგენით (ან, სულერთია, მისი წყაროს წარმოდგენით), ქართული კულტურული ერთეულის წარმოქმნა (ტერიტორია, ენა, რელიგია, დამწერლობა, პოლიტიკური წყობა).[2] ქართულ ენასა და დამწერლობაზე ყურადღების გამახვილებით,

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 26.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990, გვ. 383.

მართალია, ლეონტი „ქართლის კულტურულ ინდივიდუალობას ასაფუძვლებდა სომხეთისა და საბერძნეთის მეზობლობაში“,[1] მაგრამ მხოლოდ არც ეს იყო საკმარისი კავკასიის შემკრების პრეტენზიის მქონე ერისათვის. პოლიტიკური ლიდერობა კულტურული ლიდერობითაც უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი და ლეონტიც ქართული დამწერლობის დიდ სიძველეს (დაახლოებით შვიდი-რვა საუკუნით) აღნიშნავს IV-V საუკუნეების მიჯნაზე მცხოვრები სომხური ანბანის შემოქმედის, მესროპ-მაშტოცის ქმნილებასთან შედარებით და ყველაფერ ამას შესანიშნავად ასაბუთებს ძველი ქართული სახელმწიფოს შექმნისთანავე გაჩენილი კულტურულ-პოლიტიკური მოთხოვნილებებით.

ლეონტისათვის, როგორც შუა საუკუნეების ისტორიკოსისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებისა და პირველი ქრისტიანი მეფეების მოღვაწეობის გაშუქებას, მით უფრო, რომ კავკასიაში სარწმუნოებრივი პრიმატობისათვის ბრძოლას ქართლისა და სომხეთის ეკლესიებს შორის, გარე ფაქტორების ზეგავლენით (ირან-ბიზანტიის დაპირისპირება) ადრიდანვე ჩაეყარა საფუძველი და ამ თემაზე უკვე არსებული საკმაოდ მდიდარი სომხური ლიტერატურა ქართველთა ქრისტიანული წარსულის მნიშვნელობას საეჭვოს ხდიდა. მიუხედავად ამისა, სომხური ისტორიოგრაფიის იდეოლოგიური წნეხის გასანეიტრალებლად ქართველ მემატიანეს საგანგებო ძალისხმევა არ დაჭირვებია. კავკასიაში ქრისტიანული სარწმუნოების აღმოცენებასა და გავრცელებაზე სომხური ისტორიოგრაფიის მიერ წარმოდგენილი ვერსია ქრისტიანული სარწმუნოების წინაშე სომეხთა გამორჩეულ დამსახურებათა თაობაზე, უკვე საკმაოდ არგუმენტირებულად იყო უარყოფილი „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ კრებულში შესული „ნინოს ცხოვრების“ ავტორის მიერ. თხზულებაში მოყვანილი არგუმენტებიდან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: საქრისტიანოში ქართლის გან-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990, გვ. 380.

საკუთრებული როლი წინასწარ, ჯერ კიდევ ქრისტიანობის გავრცელებამდე იყო განსაზღვრული, რამდენადაც ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული რელიქვია, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის ქრისტიანები ერთმანეთს ეცილებოდნენ, „სამოსელი ქრისტესი ყოვლად ზეგარდმო ქსოვილი... პირველ მოწევნულ იყო კუართი იგი ქრისტესი იერუსალიმით მცხეთად“.[1]

საყურადღებოა, რომ ქართლის ამ უპირატესობას თავისი პირით აღიარებდა დვინელი სომეხი მიაფორი, რომლის სიტყვითაც „ჩრდილოთა მცხეთელთა“ ღვთის განგებამ წილად არგუნა ისეთი დიდი სიწმინდე, როგორიცაა კუართი უფლისა. ამას გარდა, ბერძენთა სიამაყის უმთავრესი საგნის — ქრისტეს ძელის, ანუ ჯვრის ფლობაშიც ქართველები ბერძნებს ეზიარებოდნენ, რამდენადაც ამ ძელის ნაწილები, ქრისტეს „ფერხთა ფიცარნი“ და სამსჭვალნი, რომლითაც ქრისტე ჯვარს იყო გაკრული, ქართლში იმყოფებოდა. პირველი — ერუშეთის ეკლესიის, ხოლო მეორე მანგლისის ეკლესიის საძირკველში. რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია, თხზულების მიხედვით ქართველთა მომქცეველი ნინო ნათლავს სომეხთა წმინდანებად მიჩნეულ რიფსიმესა და მისი სახლის 50 წევრს და თვით ბერძენთა დედოფალ ელენეს მოქცევაშიც, თითქოს, უდევს წილი. ქართველი ავტორის დასკვნით, ქართლისა და წმინდა ნინოს მნიშვნელობა აღმოსავლეთის საქრისტიანოს წინაშე გაცილებით დიდია, ვიდრე სომხეთისა და მისი განმანათლებლის გრიგოლ პართელისა. ქრისტიანული რწმენის სიძველითაც ქართლი წინ უსწრებს სომხეთს, რამდენადაც ქართლის განსაკუთრებული როლი ქრისტიანობის გავრცელებამდე წინასწარ იყო განსაზღვრული. ამიტომაც მოხდა, რომ ქრისტიანული რწმენის ჩასახვისას სომხეთი მთლიანად ქართლზე აღმოჩნდა დამოკიდებული: სომეხთა ეკლესიის საფუძველი იმ ადამიანთა ძვლებზე დაიდო, რომლებიც ნინოს მიერ იყვნენ მოქცეულნი და მასთან ერთად მოევლინნენ სომხეთს.[2]

---

[1] ძეგლები, I, თბილისი, 1964, გვ. 87.

[2] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიდან, I, თბ., 1956, გვ. 75-83.

ასე რომ, კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების ისტორიული პროცესის მთავარ წარმმართველ ძალად ამჯერად უკვე ქართლი იყო გამოყვანილი, რაც ლეონტი მროველს ათავისუფლებდა დამატებითი კვლევა-ძიებისაგან და ამიტომაც, მან შუა საუკუნეების მწერალთა ჩვეულების მიხედვით, ქართლისა და კავკასიის გაქრისტიანების ეს ისტორია პირდაპირ ჩართო თავის ძირითად ნაშრომში ზოგიერთი უმნიშვნელო რედაქცული ცვლილებებით, რომელთა დანიშნულება, როგორც ჩანს, კონფესიური დაძაბულობის შემცველი ზოგი ადგილის შერბილება უნდა ყოფილიყო.

საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფის მოღვაწეობის გაშუქება, ლეონტისაგან მოითხოვდა კავკასიის ისტორიაზე სომხური თვალსაზრისის შეცვლას, რამდენადაც სომხური ისტორიოგრაფიის სულისკვეთების ყველაზე მკაფიო გამომხატველის, მ. ხორენაცის მტკიცებით, პირველი ქრისტიანი ქართველი მეფე მირიანი თრდატ III-ის ქვეშევრდომი და მისი ერთ ერთი სარდალი იყო და ამდენად, ქართლიც სომხეთის შემადგენლობაში იყო საგულვებელი.[1] კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობისა და ძმობის ლეონტისეული კონცეფცია, ფაქტობრივად, გამორიცხავდა მოძმეთა შორის მკვეთრ დაპირისპირებასა და მათ ქმედებათა მწვავე კრიტიკას ვერ იგუებდა. ამიტომ ქართული ისტორიოგრაფიის ღირსების დასაცავად და საკუთარი კონცეფციის გასამართლებლად ლეონტი ერთობ ორიგინალურ ხერხს მიმართავს. ქართველი მემატიანე მირიანს სასანიანთა მეფის შვილად სახავს და საქართველოს პირველი ქრისტიანი მეფის ხოსროიანობით, ფაქტობრივად, აგრძელებს და ახალ პირობებში კვლავ აცოცხლებს ძველი ქართველი ფარნავაზიანი მეფეების ნებროთიანობის იდეას. ამ ტრადიციის მნიშვნელობაზე ჯუანშერიც ამახვილებს ყურადღებას და თითქოს ლეონტის სათქმელს ახმიანებს, როცა ვახტანგ გორგასლის პირით აცხადებს: „რომელნი ვართ ნათესავნი ნებროთ გმირისანი, რომელი უწინარეს ყოველთა მეფეთა გამოჩნდა ქუ-

[1] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 169-172 (ალ. აბდალაძის გამოც.).

ეყანასა ზედა, რომელი ლომსა ძალითა ვითარცა თიკანსა მოიყვანებდა, კანჯართა და ქურციკთა ქუეითი იპყრობდა. რამეთუ ეზომ განდიდნა ძალი მისი, რომელ დაემორჩილნეს ყოველნი ნათესავნი ნოესნი".[1] ნოეს ნათესავებში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სომხები მოიაზრებოდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ მორჩილებაზე მიდგებოდა საქმე, ქართველი მეფეები სომხებს კი არა, პირიქით — სომეხი მეფეები ქართველ მეფეებს უნდა დამორჩილებოდნენ, როგორც ქვეყნიერების პირველი მეფის ნებროთ გმირის შთამომავლებს. ლეონტის არაპირდაპირი მტკიცებით, ამ ძველი ტრადიციის ძალა ქართველ ქრისტიან მეფეებზეც ვრცელდებოდა მათი ხოსროიანობის გამო. თუ ხორენაცით, სომეხი მეფეები ყოველთვის ამაყობდნენ პართიის სამეფო დინასტიასთან ნათესაობით და ეს კავშირი სომხეთის ძლიერების მნიშვნელოვან წყაროდ მიაჩნდათ, ლეონტით, მირიანი თვით პართელთა დამამხობელი სასანიანების კიდევ უფრო ახლო ნათესავია, სპარსეთის მეფის უფროსი პირმშო ვაჟია და, ბუნებრივია, სპარსელთა მხარდაჭერითა და კეთილგანწყობით სარგებლობს, რაც მას განსაკუთრებულ უპირატეს მდგომარეობას უქმნიდა კავკასიაში.

როგორც პართიის პირველმა მეფემ არშაკმა, ხორენაცით, სომხეთის მეფე მთელ კავკასიაზე გააბატონა, ასევე სასანიანი ქასრე, ლეონტის მიხედვით, მთელ კავკასიას აძლევს მირიანს სამმართველოდ. „და მისცა (მირიანს) ქართლი, სომხითი, რანი, მოვაკანი და ჰერეთი". ამ ცნობას ლეონტი სხვადასხვა ვარიაციებით კიდევ რამდენჯერმე იმეორებს: „და მეფობდა ესრეთ მირიან მცხეთით გაღმართ ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს, მოვაკანს და ეგრს".[2] როცა მ. ხორენაცი ხსენებული არშაკ პართიის მეფის წყალობაზე საუბრობდა, აღნიშნავდა, რომ კავკასიის გარდა სომხეთის მეფეს წინა აზიის ზოგიერთი ტერიტორიებიც მისცა.[3] თითქოს ამ ცნობის პასუხად, ლეონტი გვამცნობს: „ხოლო მირიანს (სპარსელებმა) გულის-სადებად

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 161.
[2] იქვე, I, გვ. 64-65.
[3] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 67.

მისცეს ბარტამისაგან ჯაზირეთი, და შამის ნახევარი, და ადარბადაგანი. და ესე ყოველი ქართლს, სომხითს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს ზედა მოურთეს".[1]

ასე რომ, მირიანის ქართლი, ლეონტის მიხედვით, თითქმის არაფრით ჩამორჩებოდა არშაკუნიანთა სომხეთს. მაგრამ ყველაზე დიდი უპირატესობა, რომელიც ქართლს გააჩნდა, ლეონტის აზრით, იყო მისი განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობა. ქართლისა და მცხეთის ცენტრალური მდებარეობა კავკასიაში მას ამ ქვეყანაზე სრული კონტროლის საშუალებას აძლევდა. ამ აზრს ლეონტი თავის თხზულებაში სპარსეთის სასანიანი მეფის პირით გადმოგვცემს. იგი წერს: სპარსეთის მეფემ „უკეთესად გამოარჩია მცხეთას დასუმა ძისა მისისა მეფედ. რამეთუ ყოველთა ქალაქთა სომხითისა და ქართლისათა, რანისა და მის კერძოთა, ყოვლისა უფროსად და უმაგრესად გამოარჩია და მახლობლად ჩრდილოთა მტერთა, რათა ბრძოდის მათ მუნით და იპყრობდეს ყოველთა კავკასიანთა".[2] ასეთი თვალსაზრისის დომინირებას ლეონტის დროინდელ საზოგადოებაში, გასაგებია, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კავკასიის მომავალი გაერთიანებისათვის მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც ამით კიდევ ერთ სერიოზულ არგუმენტს იძენდნენ თავის სასარგებლოდ.

ქართლისა და სომხეთის პოლიტიკური დაპირისპირება და მეტოქეობა მათ შორის, ლეონტის აზრით, ძირითადად, გარე პოლიტიკური ძალების ზემოქმედების შედეგი იყო და ამ მეტოქეობაში სძლევდა ის, რომელსაც უფრო ძლიერი მხარდამჭერები აღმოაჩნდებოდა. ლეონტის ცნობით, „კეისარმან მისცნა სპანი თრდატს და გამოგზავნა სომხითს მამულსა თჳსსა. გამოვიდეს სომხითს და გამოასხნეს სპანი ერისთავნი მირიანისნი".[3] მართალია, სომხითი თრდატს მამულად ერგებოდა, მაგრამ კეისრისა და მისი ჯარის დახმარების გარეშე იქ გამეფება მას არ შეეძლო. ამ ცნობის გადმოცემასთან ერთად, ლეონტი

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 67.
[2] იქვე, გვ. 61-64.
[3] იქვე, I, გვ. 69.

კიდევ ერთხელ არაპირდაპირ ადასტურებს, რომ თრდატის გამეფებამდე სომხეთს მირიანი და მისი ერისთავები მართავდნენ. სომხეთში თრდატის გამეფებისა და იქიდან მირიანის ერისთავების განდევნის შემდეგ, ლეონტის ცნობით, მეზობლებს შორის შფოთი მრავალი წლის განმავლობაში აღარ დამცხრალა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, მათ შორის დაუდგენელი პოლიტიკური საზღვრები იყო, რომლის გაფართოებასაც ორივე მხარე ცდილობდა მეზობლის ხარჯზე. ურთიერთობას ისიც ამწვავებდა, რომ, ლეონტის თქმით, ისინი ერთმანეთთან დაპირისპირებული მძლავრი სახელმწიფოების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ და ნებით თუ უნებლიეთ მფარველის მისწრაფებათა გამომხატველნიც უნდა ყოფილიყვნენ. შფოთი და დაპირისპირება მეზობლებს შორის იმ დრომდე გაგრძელდა, ვიდრე მათ, ბერძენთა კეისართან ერთად ქრისტეს ჯვრის სასწაულმოქმედი ძალა არ ირწმუნეს.

ახალი სარწმუნოების უპირატესობის მოწმე მირიანი განუდგება სპარსელებს და კონსტანტინე კეისრის სამსახურში დგება, რის შემდეგ ქართველ-სომეხთა ურთიერთობა ჩვეულ, ლეონტისათვის სასურველ კალაპოტში ექცევა. კეისარი ამოყვრებს ძველ მეტოქე მეზობლებს. მირიანის ვაჟი რევი ცოლად ირთავს თრდატის ქალიშვილს სალომეს. ბოლო ეღება სასაზღვრო კონფლიქტსაც. კონსტანტინე ბუნებრივ-გეოგრაფიულ საზღვარს უდებს მიჯნად მეზობლებს. მშვიდობა და სიყვარული მყარდება ერთი მამის შთამომავალ მოძმეებს შორის, რაც ქართველი მემატიანის კონცეფციის კანონზომიერ გამოვლინებას წარმოადგენდა.

ლეონტი მროველის კონცეფციის გავლენის კვალი ცხადად ამჩნევია, განსაკუთრებით მისი თანამედროვე ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებს. სომხებთან დამოკიდებულებაში მოყვრობა-ნათესაობის მსგავსი იდეოლოგია, სომხურ ისტორიოგრაფიასთან დაპირისპირების იგივე ფორმები (მიუღებელი დებულებების ღია კრიტიკის ნაცვლად მათი შეცვლა და შესწორება), გადმოცემის მსგავსი მეთოდი და სხვა, მეტ-ნაკლებად

ახასიათებთ ჯუანშერის თხზულებას, მატიანე ქართლისაჲს თუ სუმბათ დავითის ძის ქრონიკას. მაგალითად, ხსენებული თხზულებები კონკრეტული ქრონოლოგიური საზღვრებისა და თემატიკის ფარგლებში თანმიმდევრულად წარმოაჩენენ ქართველ და სომეხ ხელისუფალთა მოყვრობა-ნათესაობის ფაქტებს და მათზე აქცენტირებით ცდილობენ სომხეთის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში ქართველთა უფლებების ლეგიტიმაციას. ამასთან ერთად, სომხებთან კეთილისმყოფელი დამოკიდებულება ხელს არ უშლის სომხური ისტორიოგრაფიის ცნობილ სიუჟეტებს საკუთარიც დაუპირისპირონ. ჯუანშერის მტკიცებით, ვახტანგ გორგასალი მოყვრობითა და ნათესაობით ყოფილა დაკავშირებული სომხეთის სამეფო სახლის წევრებთან და უმაღლესი არისტოკრატიის ერთ ნაწილთან. ქართველთა მემატიანე ვახტანგის პირით გვაუწყებს, რომ პირველი ქრისტიანი სომეხი მეფე თრდატ III ქართველთა მეფის ნათესავი იყო დედის მხრიდან.[1] მისივე თქმით, ვახტანგს თავისი და ხუარანძე სომეხთა პიტიახშის — ბაკურისათვის მიუთხოვებია.[2] სომხეთზე ვახტანგის უფლების კანონიერების საჩვენებლად კი სომხეთის სამეფო სახლთან ნათესაობის გარდა, ჯუანშერი კიდევ უფრო შთამბეჭდავ არგუმენტს იშველიებს. მისი თქმით, სპარსეთის მეფეს თავისი ასული მიუცია ცოლად ვახტანგისთვის და მზითვად სომხეთი და მთელი კავკასიაც უბოძებია: „და მოსცა სომხითი და ყოველნი მეფენი კავკასიანნი მზითვად“.[3] ასეთ არგუმენტს, როგორც უკვე ითქვა, მიმართავდნენ მ. ხორენაციცა და ლეონტიც, რომლებიც საკუთარი ქვეყნისათვის სასურველი ტერიტორიის მფლობელობის დაკანონებას უცხო ხელისუფლებს მიაწერდნენ: პირველი — პართიის მეფეს არშაკს, მეორე კი — ქასრე სასანიანს. ქართველთა პრეტენზიებს ჯუანშერი ბიბლიური წარსულითაც ამაგრებდა, როცა ქართველი მეფეების უპირატესობას მათი ნებროთიანობით ხსნიდა, რის შესახებაც უკვე ითქვა. ამასთან, ჯუანშერს არ ავიწყდება

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 189.
[2] იქვე, გვ. 199.
[3] იქვე, გვ. 158.

პატივითა და ღირსებით მოიხსენიოს სომხებიცა და მათი საამაყო შვილებიც. ჯუანშერი დიდ მოძღვარს უწოდებს გრიგოლ პართეველს, ხოლო თრდატ III-ს გმირსა და მუშაკ ეკლესიათას,[1] რაც შუა საუკუნეების საზოგადოებისათვის ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება იყო. თხზულებაში არაერთგზის გვხვდება, აგრეთვე, ქართველ-სომეხთა საბრძოლო თანამშრომლობის ეპიზოდებიც. ყველა ერთად კი, როგორც ვხედავთ, სრულ თანხმობაშია ლეონტი მროველის პოლიტიკური კონცეფციის სულისკვეთებასთან და ა. შ.

ლეონტი მროველის, ჯუანშერის, „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორის და სუმბატ დავითის ძის დაინტერესება სომხური თემით, არსებითად, ერთსა და იმავე იდეოლოგიურ საფუძვლებს ემყარება და ფაქტების შერჩევისა და გადმოცემისას ისინი ერთმანეთს ავსებენ. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ გაერთიანებული საქართველოს მთავარი პოლიტიკური მიმართულება სომხეთის შემოერთებისა და კავკასიის მომავალი გაერთიანებისაკენ, ძირითადად განსაზღვრავდნენ XI საუკუნის ქართველი მემატიანეების დამოკიდებულების ფორმას მათი თანამედროვე და წინამორბედი სომხური ისტორიოგრაფიის ცნობილი ტენდენციების მიმართ. მათი ღია კრიტიკის ნაცვლად, ხსენებული ქართველი ავტორები თანადროულ საზოგადოებას სთავაზობდნენ დროის შესაფერისად გამართულ კავკასიის ისტორიის ახალ მოდელს, რომელიც უკვე თავისთავად უარყოფდა ახალი რეალობებისთვის შეუფერებელ ძველ სომხურ სქემას.

ნიშანდობლივია, რომ ლეონტი მროველის პოლიტიკურმა კონცეფციამ სომხურ ისტორიოგრაფიაშიც შეაღწია და მისმა მთავარმა იდეამ იქაც დაიმკვიდრა ადგილი. როგორც ჩანს, ქართლის ცხოვრების კრებულის შედგენისთანავე, ხელისუფალთა რჩევითა და დახმარებით, ის უნდა ეთარგმნათ სომხურ ენაზე, რამაც ხელი შეუწყო სომხურ საისტორიო ლიტერატურაში „ქართლის ცხოვრების“ თეორიული დებულებებისა და

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 160-161.

ცნობების გავრცელებას. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი კონცეფციისა და ქართული კულტურის გავლენის კვალი აშკარად შეიმჩნევა მხითარ აირივანელის „ქრონოგრაფიულ ისტორიაში“. სომხური ტრადიციის საპირისპიროდ, სომეხთა ლეგენდარული მამამთავარი ჰაიკი, მხითარ ეპისკოპოსს ქართველ მთავართა სიაში შეჰყავს[1] და აღნიშნავს მისი რვა ძმის არსებობას, რომელთაც, თურმე, მან გაუნაწილა ვრცელი ტერიტორია ტრაპიზონიდან დარიალამდე და დარუბანდამდე.[2] ამ გადმოცემაში მთავარი ისაა, რომ ჰაიკის ძმების არსებობის ცნობით, მხითარ ეპისკოპოსი ნებით თუ უნებლიეთ იზიარებს ლეონტი მროველის კონცეფციის მთავარ იდეას კავკასიის ხალხთა ნათესაობის შესახებ, რაც კავკასიური მასშტაბის მრავალეროვნული ქართული სახელმწიფოს უმთავრეს დოქტრინად იყო უკვე მიღებული. ასევე, სომხური ტრადიციის საპირისპიროდ, მხითარ აირივარენცი იზიარებს ლეონტის თვალსაზრისს ქართული ანბანის შექმნის თაობაზე, როცა წერს, რომ პირველმა ქართველმა მეფემ ფარნავაზმა ექვსი ენიდან შექმნა ქართული ენა და მანვე შექმნა მათი დამწერლობაო.[3]

სომხური ტრადიციისგან განსხვავებით, თარგამოსის შვილებზე – ჰაიკსა და მის შვიდ ძმაზე ლაპარაკობს ვარდან არეველციც.[4] სხვა ადგილას კი იმავე თემაზე საუბრისას წერს: „ქართველთა მეფობის დასაბამზე მათ წიგნებში წერია, რომ თარგამოსი რვა ვაჟით მოვიდა აირარატის გავარში დიდი წარღვნის შემდეგ. მისი სამი ვაჟი ჰაოსი, ქართლოსი და კავკასოსი გახდნენ პირველი ტახტის მფლობელები, გაბატონდნენ ქვეყნებზე და თავიანთი სახელების მიხედვით უწოდეს ჰაისი, ქართლი და კავკასია. /ისინი/ ბატონობდნენ პონტოს ზღვიდან კასპიის ზღვამდე“.[5]

---

[1] მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფიული ისტორია, ლ. დავლიანიძის გამოცემა, თბილისი, 1990, გვ. 31.

[2] იქვე, გვ. 47.

[3] იქვე, გვ. 57.

[4] ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ნოდარ შოშიაშვილისა და ეკა კვაჭანტირაძის გამოცემა, თბილისი, 2002, გვ. 42.

[5] იქვე, გვ. 116.

ქართველ-სომეხთა ნათესაობის მანიშნებელ ამ ტექსტებში ყურადღებას იქცევს ერთობ საგულისხმო გარემოება, რომლის მიხედვითაც დასახელებული სომეხი ავტორები დუმილით გვერდს უვლიან ლეონტის ცნობას ჰაოსის პირმშოობისა და მასთან დაკავშირებული პრივილეგიების არსებობაზე, რაც, თითქოს, მათ ინტერესებს უნდა შორდებოდეს. მართალია, მხითარ აირივანეცი განსაზღვრული ინიციატივის მქონედ წარმოგვიდგენს ჰაოსს, რომელიც უშუალოდ უნაწილებს ძმებს ტერიტორიას ტრაპიზონიდან დარუბანდამდე, მაგრამ ძმებს შორის უპირატესობის მქონედ არავის ასახელებს. ძმების თანაბარუფლებიანობა კიდევ უფრო მკაფიოდაა აღბეჭდილი ვარდან არეველცის მოყვანილ ტექსტში, რომლის თანახმად მხოლოდ თარგამოსის სამი ვაჟი — ჰაოსი, ქართლოსი და კავკასოსი ბატონობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე პონტოს ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ისინი თვითონ გახდნენ პირველი ტახტის მფლობელები. როგორც ჩანს, არსებული სინამდვილე (მონღოლთა ბატონობის პირობებშიც კი ქრისტიანული სომხეთი საქართველოს შემადგენლობაში „გურჯისტანის ვილაიეთში" განიხილებოდა) შორეული წარსულის რეკონსტრუქციის სხვა საშუალებას აღარ იძლეოდა, სომხური ტრადიცია კი სომეხთა გენეტიკურ უპირატესობაზე, ახლა უკვე, დამაჯერებლობას მოკლებული, ანაქრონიზმად გამოიყურებოდა.

ლეონტი მროველის შინაგანად მთლიანი და მწყობრი თეორიის მიზანი, როგორც ვნახეთ, არის ისეთი იდეურ-მორალური საყრდენის შექმნა, რომელიც კავკასიაში შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების წამყვანი როლის სამართლიანობას არა მარტო ისტორიული განვითარების კანონზომიერებით ცხადყოფდა, არამედ გარე პოლიტიკურ ძალებთან ბრძოლაში სომხეთის მემკვიდრეობაზე მის უფლებას სათანადოდ დაასაბუთებდა და, საერთოდაც, კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანების მისიასაც მას დაუკავშირებდა. ასეთი რთული და საპატიო ამოცანის რეალიზაციისათვის შესაფერისი უნივერსალური იდეოლოგიური ფორმულა აღმოჩნდა ყოველგვარი

კონფესიური და პოლიტიკური დაპირისპირებისაგან თავისუფალი კავკასიის ხალხთა მონათესაობის ლეონტის ისტორიული კონცეფცია, რაც გამართლებული იყო, აგრეთვე, ამ ხალხების ხანგრძლივი თანაცხოვრებითა და საერთო პოლიტიკური თავგადასავალით. დღევანდელი გადასახედიდან, ქართველ ავტორთა ერთი ნაწილის მიერ „უხერხულად" თუ „საჩოთიროდ" მიჩნეული საკითხები, რომლებიც, ფაქტობრივად, კონცეფციის ასაგებად ინერტულ საშენ მასალად იყო გამოყენებული, ლეონტის მონათესაობის პრინციპების ფონზე, ჩანს, უპირატესად დადებითად იყო აგებული, რამდენადაც „ქართული ისტორიული აზრი შუა საუკუნეთა მთელ სიგრძეზე იზიარებდა ლეონტის ამ თეორიას" (ნ. ბერძენიშვილი), რისი მოწმობაცაა ის ნიშანდობლივი ფაქტი, რომ ლეონტის კონცეფციას „ქართლის ცხოვრების" არც ერთ ხელნაწერში და არც „ქართლის ცხოვრების" გაგრძელებებში ცვლილება არ განუცდია. ის მისაღები აღმოჩნდა შუა საუკუნეების სომხური მოსახლეობისა და კავკასიის სხვა ხალხებისათვისაც. თუკი არავითარი ტომობრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ფეოდალურმა საქართველომ არ იცოდა (ნ. ბერძენიშვილი), ამაში თავისი კუთვნილი წილი დამსაბურება, გასაგებია, ლეონტი მროველის ისტორიულ-პოლიტიკურ კონცეფციასაც ჰქონდა. შუა საუკუნეების ქართული მონარქიის ინტერესების შესაბამისი კონცეფციის დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა და, საერთოდ, ეპოქის ამოცანებთან მისი სრული თანხვედრა, ცხადია, განაპირობებს მის ისტორიულ მნიშვნელობას.

კავკასიის ხალხებისათვის სამარადისო მნიშვნელობისად დარჩება, ალბათ, კონცეფციის პოლიტიკური მოწოდება – საერთო ძალით, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ხალხთა თანამშრომლობის ეს იდეა, ვფიქრობ, საუკუნეთა სიღრმიდან ახლაც ეხმიანება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

P. S.

ლეონტის კრიტიკოსების ბრალდებები ქართველი მემატიანის არმენოფილობის თაობაზე, მეცნიერული კვლევისას ემოციებისათვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭების შედეგია, რაც გამოწვეულია ჰაოსის უფროსობისა და სომხური ენის პირველადობის ცნობათა კონცეფციის საერთო ტექსტიდან მოწყვეტით განხილვის გამო. სავსებით მართალი იყო ბ-ნი დავით მუსხელიშვილი, როცა 1966 წ. გამართულ დისკუსიაზე განაცხადა, რომ ჰაოსის უპირატესობის საკითხი... არ არის ძირითადი პრობლემა. როდესაც ისტორიკოსის კონცეფციას ვეხებით მთლიანობაში, უნდა გამოვიდეთ ერთი სრულიად ცხადი ამოსავალი წერტილიდან, რომ ეს კონცეფცია შესაძლებელია შექმნილიყო მხოლოდ XI საუკუნეში, როგორც ამ დროს მიმდინარე პოლიტიკური პროცესის იდეოლოგიური დასაბუთება.[1]

მტკიცება, თითქოს ლეონტის თხზულება „ქართლის ცხოვრების" კრებულში შემთხვევითაა შეტანილი საპატრიარქოსა და ხელისუფლების უყურადღებობით, ძალზე ძნელი დასაჯერებელია იმ დროს მიმდინარე მძაფრი კონფესიური დავის პირობებში და, შეიძლება ითქვას, ასეთ მსჯელობას ერთგვარად გულუბრყვილობის დაღიც აზის. ფაქტია, რომ ლეონტი მროველის კრიტიკა ლიტერატურულად უკვე XII საუკუნეშივე დაფიქსირდა „ნინოს ცხოვრების" ახალი რედაქციის ავტორის, არსენის მიერ, რომელიც, ს. ჯანაშიას დაკვირვებით, ლეონტის რედაქციაგამოვლილ „ნინოს ცხოვრებას" ამბისა და თხრობის „შეუწყობლობას", „განბნეულობას", „აღრეულობას" უკიჟინებდა.

როგორც ვხედავთ, ლეონტი მროველის კონცეფციას ქართული საზოგადოების ცხოველი ინტერესი, დავა და ცხარე კამათი ადრიდანვე გამოუწვევია, რაც საპატრიარქოსა და ხელისუფლების ყურადღების მიღმა არ შეიძლებოდა დარჩენილიყო. თუ საზოგადოების ერთი ნაწილის მწვავე რეაქციის მიუხედავად, ლეონტის თხზულება ხელისუფლებამ „ქართლის ცხოვრების" კრებულში მაინც დატოვა, ჩანს, საამისოდ მას სერიოზული

[1] „მაცნე", ისტორიის . . . სერია 1, 1968, გვ. 330-331.

საფუძველი ჰქონდა. XII საუკუნეში, როცა სომხეთი უკვე საქართველოს შემადგენლობაში იმყოფებოდა, ქართველებისა და სომხების საერთო წარმომავლობით ერთმანეთთან დაკავშირება, ეროვნული სიამაყის განსაკუთრებული გამძაფრების ამ პერიოდში გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ქართული ფეოდალური საზოგადოების ზედა ფენის ერთი ნაწილისათვის, რომელიც ვითარების ბატონ-პატრონად გრძნობდა რა თავს, სომეხთა თუნდაც ფორმალური უპირატესობის წარსულთან შეგუება არ სურდა. მიუხედავად ამისა, ფსევდო-არსენის თანამოაზრეებმა ქართულ საზოგადოებაში ძლიერი დასაყრდენი ვერ ჰპოვეს და გავლენიანი დასიც ვერ შექმნეს. უფრო მეტიც, კ. კეკელიძის დაკვირვებით, მიუხედავად თავისი მიზნისა, არსენის ამ შრომას მოქალაქეობა ვერ მოუპოვებია ჩვენში და ხმარებიდან ვერ გამოუდევნიათ „ნინოს ცხოვრების" არსებული რედაქციები, ბატონობა შერჩენია ლეონტი მროველის რედაქციას, რომელიც მრავალ ხელნაწერშია წარმოდგენილი, თან „ქართლის ცხოვრებაშიაც" მიღებული.[1] რაც შეეხება აზოს შესახებ თხრობას, ჯერ ერთი, ის უპირისპირდებოდა ბაგრატოვანთა წარმომავლობის ამავე საგვარეულოს ოფიციალურ ვერსიას, რის გამოც უკვე წინასწარ იყო განწირული მარცხისათვის, ამას გარდა, სამხრეთიდან ქართველთა გადმოსახლების თვალსაზრისი, ფაქტობრივად, უარყოფდა კავკასიაში ქართველთა ავტოქტონობას და ამით მოვსეს ხორენაცის წისქვილზე ასხამდა წყალს, რომელიც თავგამოდებით ამტკიცებდა ყველაზე ადრე კავკასიაში სომხები მოვიდნენო, ქართველებს კი ის ნაბუქოდონოსორის მიერ დასავლეთიდან გადმოსახლებულ ტყვე ივერიელთა მოდგმის ბედს აკუთვნებდა.[2] კავკასიაზე ისტორიული უფლების სომხებთან ერთად გაზიარება, რასაც ამ ხალხთა ლეონტისეული საერთო წარმომავლობა გულისხმობდა, დაპირისპირებისგან თავისუფალი და დიდი პოლიტიკის შესაფერი თეორია იყო. ამიტომაც გაძლო ლეონტის ამ კონცე-

[1] კ. კეკელიძე, არსენ ბერი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბილისი, 1980, გვ. 312-313.

[2] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 107.

ფციამ შუა საუკუნეების მთელ სიგრძეზე, ვიდრე ქართველ ხელისუფალთა კავკასიური პოლიტიკის პრეტენზიები რუსეთის იმპერიამ მთლიანად არ აღმოფხვრა.

ლეონტის თხზულებაში ჰაოსიანთა შორეული წარსულის უპირატესობის მანიშნებელი ადგილები საზოგადოებისათვის კვლავაც გამაღიზიანებელი და მიუღებელი შეიქნა ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და მეზობელ ხალხთა შორის სიძულვილის მთესველი რუსული პოლიტიკის ზეგავლენით. ობიექტურადაც, სომხური კაპიტალის მიერ საქართველოს სიმდიდრეთა მნიშვნელოვანი ნაწილის ხელში ჩაგდება და მთავრობის მიერ უპირატეს მდგომარეობაში მისი ჩაყენება, თავისთავადაც, გამაღიზიანებელ ფაქტორს ქმნიდა ამ ხანაში ლეონტის კონცეფციის დადებითად აღქმისათვის.

მას შემდეგ, რაც ლეონტის მოწინააღმდეგეებმა ხელისუფლების მიერ სანქციონირებულ „ქართლის ცხოვრების" კრებულში მისი თხზულების შეყვანის ფაქტს დასაბუთებული ახსნა ვერ მოუძებნეს, ეჭვქვეშ დააყენეს თვით ლეონტის ავტორობაც და მას ხან რედაქტორის, ხან კი გადამწერის როლი აკმარეს. უფრო მეტიც, „მეფეთა ცხოვრების" ანონიმურ და წინაქრისტიანული ხანის კრებულად გამოცხადებაც მოითხოვეს.[1] „მეფეთა ცხოვრების" ზოგ ნაწილს დიდი სიძველის ელფერი რომ დაკრავს, ეს სავსებით ბუნებრივია. ლეონტი ადრეულ წყაროებს, რა თქმა უნდა, იყენებდა და ზოგ მათგანს ასახელებდა კიდეც. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ძველი წყაროების ცნობებს შერჩევით იყენებდა თავისი პოლიტიკური კონცეფციის გასამართად და სრულყოფისათვის, რამაც საშუალება მისცა მას დროის შესაფერისი ორიგინალური ნაშრომი შეექმნა. ასეთი თხზულება კი მეცნიერულ-პუბლიცისტური ქმნილებაა და არა რედაქტორისა თუ, მით უმეტეს, გადამწერის ნაღვაწი. ლეონტი მროველიც სრულიად რეალური ისტორიული პიროვნებაა. მისი კონცეფცია, რომ XI საუკუნის ეპოქალურ მოვლენებს მიესადაგება და იმ დროს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების იდეოლოგიურ

[1] ვ. გოილაძე, არის ლეონტი მროველი ქართველთა ჰეროდოტე?, კრიტიკა, 4, 1989, გვ. 129.

დასაბუთებას წარმოადგენდა, დღეისათვის სადავო აღარაა. XI საუკუნისთვის კი ლეონტის სახელის მქონე რუისის მთავარეპისკოპოსი დოკუმენტურადაა დადასტურებული (სოფ. თრეხვის 1066 წ. წარწერა და XI საუკუნის ათონის ხელნაწერი). ასე რომ, „მეფეთა ცხოვრების“ დაწერის დროცა და მისი ავტორის ვინაობაც სავსებით გარკვეულია.

კიდევ ერთი შენიშვნის შესახებ. XI საუკუნის 60-70-იან წლებში სელჩუკიანი თურქების გამანადგურებელი შემოსევებისას, ლეონტის თხზულების დასაწერად შეუფერებელი დრო იყოო. ვფიქრობ პირიქით, ლეონტის თხზულების მთავარი იდეის – საერთო მტრის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა ძალების გაერთიანების საჭიროება, ისე მძაფრად ალბათ არასდროს იგრძნობოდა, როგორც ამ დიდი უბედურობის დროს. იმ რთულ და მძიმე პირობებში ლეონტი მროველის კონცეფციის შექმნა და საზოგადოების განსასჯელად მისი გამოტანა მოწმობდა, რომ კავკასიის პოლიტიკური ერთეულების გაერთიანება საქართველოს მესვეურებს სავსებით რეალურად ესახებოდათ და მისთვის სამზადისსაც პრაქტიკულად შესდგომოდნენ კიდეც. ეჭვი არაა, რომ ამ სამზადისმა უაღრესად დადებითი როლი შეასრულა მომავალში ლეონტის „მონათესავეთა“ საქართველოს შემადგენლობაში გასაერთიანებლად.

დასკვნა

კავკასიის ხალხთა წარმომავლობაზე ლეონტი მროველის კონცეფცია ბიბლიური სქემის მიხედვით აგებული სრულიად რეალური პოლიტიკური პროგრამის შემცველი ნააზრევია, რომელიც კონკრეტული ისტორიული ეპოქის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოსა და კავკასიის მომავალი გაერთიანების თანხვედრილი ინტერესებით იყო განპირობებული.

ლეონტი მროველის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისათვის ფეოდალური საქართველო თავისი განვითარების მაღალ

საფეხურზე უკვე იყო შემდგარი. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების განვლილი ორსაუკუნოვანი პერიოდი ცხადად მოწმობდა, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის წარმოებული ხანგრძლივი ბრძოლა, კარგა ხანი იყო, მთელი კავკასიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში გადაზრდილიყო და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც XI საუკუნის შუა წლებში სომხურმა სახელმწიფოებრიობამ საბოლოო მარცხი განიცადა „საქართველო მოწოდებული აღმოჩნდა ქცეულიყო იმ ცენტრად, რომლის გარშემო ერთიანდებოდა მთელი კავკასია" (ნ. ბერძენიშვილი). ამ დროისათვის კავკასიის უმეტესი ნაწილი, ფაქტობრივად, უკვე მოქცეული იყო გაერთიანებული საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური განვითარების ორბიტაში და ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ამ ქვეყნის ქრისტიანული ნაწილის ჩართვას მაინც, საგარეო ფაქტორის გარდა, თითქმის აღარაფერი უშლიდა. ამ ვითარებაში, ქართული ისტორიოგრაფიისა და მწერლობის ამოცანა, ბუნებრივია, მომავალი გაერთიანებული დიდი სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძვლების შემაგრება და მისი შემდგომი განვითარება უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ დამახასიათებელია ქართული ენის განდიდება იოანე ზოსიმეს მიერ, „მეფეთა ცხოვრების" ჩანართში ქართველთა ნათესავის „საზეპურო" გამორჩეულ ერად გამოცხადება და სხვ.

ამ ვითარებაში საკუთრივ ლეონტი მროველის, როგორც ისტორიკოსის წილად საკმაო სირთულის პრობლემები იკვეთებოდა გადასაჭრელად. უპირველესად, საჭირო იყო მომავალი დიდი სახელმწიფოს შექმნის სამართლიანობის დასაბუთება კავკასიისა და საერთაშორისო ასპარეზზე. შემდეგ კი, V-X საუკუნეების სომხური ისტორიოგრაფიის მიერ კავკასიაში დანერგილი სომეხთა ტოტალური უპირატესობის სინდრომის განეიტრალება და კავკასიის ისტორიის სომხურისგან განსხვავებული ახალი მოდელის შექმნა, სადაც ღირსეულად იქნებოდა წარმოდგენილი მომავალი გაერთიანების მეთაური საზოგადოების ისტორია. ამასთან, ლეონტის მიერ შემოთავაზებულ

კავკასიელთა თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის იდეებს, მრავალეროვნული საზოგადოების ეთნიკურად და კონფესიურად განსხვავებული ნაწილის ცნობიერება გაერთიანებული ქართული სახელმწიფოსადმი ნდობით უნდა განეწყო და მათი გაუცხოება გამოერიცხა. ერთი სიტყვით, ლეონტის მიერ წარმოსახულ ისტორიას მომავალი კავკასიური მასშტაბის ქართული მონარქიის შემადგენლობაში მყოფი ყველა ხალხი უნდა დაეკმაყოფილებინა.

დასმული პრობლემები ლეონტიმ მარტივი გენიალობით გადაჭრა. ბიბლიის ავტორიტეტის მოშველიებით კავკასიის ხალხების ეთნარქები თარგამოსის შვილებად და მთელი კავკასია, მისი სამხრეთის მიმდგომი ქვეყნებით, მათსავე საცხოვრებელ სივრცედ გამოაცხადა. ეს ვარიანტი დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა სომხური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისს, რომელიც კავკასიაში სომხების გარდა ვერავის ამჩნევდა. მაგრამ რეალობა ისეთი იყო (ლეონტის დროს სომხური სახელმწიფოებრიობის უკანასკნელი ნაშთებიც კი ქრებოდნენ), რომ ღირსების დასამშვიდებლად სომხები მათი ეთნარქის – ჰაიკის თარგამოსის ფორმალურ უფროს შვილობას უნდა დასჯერებოდნენ. ქართველთა მეთაურობით კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანება წარმოდგენილი თეორიით იმ სიტუაციაში ნიშნავდა თარგამოსის დაშლილი სახლის აღდგენას ბიბლიური მამამთავრის შთამომავლების მიერ. ამდენად, კავკასიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება საღვთო საქმედ და თარგამოსიანთა საპატიო მოვალეობად გაიაზრებოდა, რაც ყველა კავკასიელის ინტერესს შეადგენდა. მით უმეტეს, გარეშე მტრების მოძალების პირობებში (ბიზანტიის აგრესია და თურქ-სელჩუკების შემოსევები), როცა ქართული სახელმწიფოებრიობა ერთადერთი თავშესაფრის მნიშვნელობას იძენდა მათთვის.

კავკასიის ხალხთა გაცხადებული წარმომავლობაც მათი საერთო მტრის წინააღმდეგ ძალების გაერთიანებას, ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობას კარნახობდა. ასეთი თანამშრომლობის არაერთი მაგალითი მოჰყავს ლეონტი

მროველს კავკასიის ძველი ისტორიიდან. ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს მათ შორის არსებულ თანხმობასა და ძმურ სიყვარულზე. ჩვენი ავტორის აზრით, ყოველგვარი წარმატების საფუძველი, როგორც ცალკეულ პირებს, ისე ხალხებს შორის მშვიდობა და ურთიერთსიყვარულია. მისი თქმით, „და ესე თარგამოსიანთა ყოველნი მას ჟამსა იყვნეს მშვიდობით სიყვარულსა ერთმანეთისასა“ და ა. შ. ლეონტის დროს, მთელი კავკასიის თარგამოსის სახლად გააზრებას ამ ქვეყნის ხალხთა წარმოდგენაში მას საერთო სამშობლოდ აქცევდა და ამ ახალი სახელმწიფოს სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობას ყველა მათგანს თანაბრად უქმნიდა. ეს იდეოლოგია, ჩანს, საფუძვლად დაედო მომავალი დიდი საქართველოს სახელმწიფოს საშინაო ურთიერთობას, სადაც ტოლერანტობა სახელისუფლო პოლიტიკის ქვაკუთხედი გახდა.

ხორენაცის საპირისპიროდ, ლეონტიმ თავის თხზულებაში „ქართველთა ნათესავის“ ღირსეული ისტორია წარმოაჩინა, რომელიც უკვე ფარნავაზის დროიდან სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარებით მეწინავეობდა კავკასიაში. ფარნავაზის დროიდანვე, მისი აზრით, „ქართველთა ნათესავს“ ფეოდალური ერის ყველა ძირითადი ნიშანი გააჩნდა: ტერიტორია, ენა, რელიგია, დამწერლობა, პოლიტიკური წყობა. ასე რომ, ქართველთა მეთაურობით კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური გაერთიანება გამართლებული იყო ისტორიის კანონზომიერი განვითარებითაც.

ლეონტი მროველის თვალსაზრისი კავკასიის ხალხების საერთო წარმომავლობაზე ეფექტური სამართლებრივი ხასიათის საბუთიც იყო საერთაშორისო ასპარეზზე სომხეთის მემკვიდრეობისათვის ბრძოლაში ბიზანტიის წინააღმდეგ. სამართლის თვალსაზრისით, თარგამოსის შთამომავლების მემკვიდრული უფლებები, ცხადი, უპირატესი მნიშვნელობის არგუმენტი უნდა ყოფილიყო იმპერიის უსამართლო ძალადობასთან შედარებით.

LEONTI MROVELI ON THE COMMON ANCESTRY OF THE CAUCASIAN NATIONS
SUMMARY

An outlook on the ancestry of the Caucasian nations of Leonti Mroveli, XI century Georgian ecclesiastical and political figure, archbishop and chronicler, was in view of its humanitarian and political contents a unique idea conceived within the medieval community. The consanguinity argument provided by Leonti Mroveli envisaged Caucasian nations' collaboration and unification of their combative forces. Being in conformity with the experience of those nations' long-time co-existence and common political background, this idea was more efficient for the resolution of problems caused by the political developments of the Caucasus from mid XI century on, than a force employment and opposition.

The Armenian statehood suffered final defeat in mid XI century. Georgia turned out to be a centre uniting the whole Caucasus. When Leonti Mroveli announced the Caucasian nations as descendants of the biblical forefather Togarmah with the living space in the whole Caucasus and its adjacent southern countries it meant in such a period of time that the political unification of the Caucasian countries led by the Georgians was to be perceived as a restoration of Togarmah's broken up house by the descendants of the biblical forefather. The unification of the Caucasus within the borders of a single state was comprehended as a pious hope and honourable duty of the Togarmah's descendants. It was of significant political importance in terms of the Caucasian nations' consolidation and the Caucasian world's strengthening, especially under the conditions of intrusion of the foreign enemies (the Seljuk Turks' sweeping invasions). The Georgian statehood was becoming the only shelter and main guarantor of the Caucasus safety.

Medieval Georgian historians had been sharing this concept of Leonti Mroveli throughout the period under review which virtually represented a political call for the Caucasian nations to collaborate and fight against the common enemies - an ideology which seems to have everlasting importance for the Caucasus.

შინაარსი

ლეონტი მროველის თვალსაზრისი კავკასიის ხალხთა საერთო წარმომავლობაზე 3

საკითხის ისტორიოგრაფია 5
კონცეფციის შექმნის ისტორიული წინამძღვრები 49
მომავალზე ორიენტირებული კონცეფცია 88
დასკვნა 146
Summary 150

გუჩამ მაისურაძე

ლიტერატურა ჯარიანად

თვალსაზრისი კავკასიის ხალხთა
საერთო წარმომავლობაზე

თბილისი
2010

მადლობას ვუხდით ევროპულ ფონდ
HORIZON-ს ფინანსური დახმარებისთვის

Our deep gratitude for financial support
to the European Foundation HORIZON

რედაქტორები: ლეილა სიხარულიძე, რუსუდან კაიშაური

დამკაბადონებელი ნიკოლოზ გელაშვილი

„კულტურულ ურთიერთობათა
ცენტრი – კავკასიური სახლი“
თბილისი, გალაკტიონის ქ. 20